

85


SELF MADE

ერთა
ერთობები

ვიცე თავისი თავი შექმნა

85

მისამართი კონკრეტული დღი



SELF MADE
ვიცე თავისი თავი შექმნა

ივანე ქავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია კრებულს უძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს მერაბ კოკოჩაშვილს, რომელიც ქართულ საზოგადოებაში კინო-რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის სახელითაა ცნობილი. კრებული მერაბ კოკოჩაშვილის ბიოგრაფიულ ჩანახატს მოიცავს, რომელიც ეფუძნება მარინა კერესელიძის წიგნიდან — „მერაბ კოკოჩაშვილი“ ფაქტოლოგიურ ამონარიცებს, ასევე ნინო კაჯულის რეჟისორით გადაღებული ფილმისთვის (ვინც თავისი თავი შექმნა) მიცემულ ინტერვიუებს და სხვა პრესასა თუ სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ მასალებს.

კრებულის ავტორი და რედაქტორი: ნინო კაჯულია

სარედაქტო ჯუფი:
თამარ ჩიხლაძე
ეკა ბედიაშვილი

კომპ. უზრუნველყოფა:
მიხეილ თვარაძე

სარჩევი

1 პიოგრაფიული ჩანახატი (ამბავი, კომენტარი, პოზიცია)	
რატომ დაარქვეს მერაბი?	9
რატომ აღარ დაბრუნდა მამა?	10
მეზობელი უშანგი ჩხეიძე	12
პაატა სააკაძის თავის მოქრის ამბით შეშინებული 6 წლის მსახიობი	14
სკოლაში დაწერილი ლექსი ბერიაზე და დედის საყვედური	15
სირცხვილის გრძნობა, რაც სკოლაში ნინო მასწავლებლისგან ისწავლა	17
ჭავჭავაძეების და ჯორჯაძეების შთამომავალი და წინაპრების კვალი	22
სწავლა და პრაქტიკა „ვგიკში“ და მეგობრების დაარსებული კომუნა	33
პირველი ნაბიჯები კინორეჟისურაში	37
არდადეგებზე	39
დიდი მწვანე ველი	42
ბიოგრაფიული ამონარიდი და რეჟისორის პოზიცია ცენზურის მატარებელი სისტემის წინააღმდეგ	50
დასახიჩრებული ფილმები	50
მათხროვრებო! — გმირის სულისშემძღვრელი ყვირილი ეკრანიდან	54
გზა	57
ნუცას სკოლა	60
დოკუმენტალისტიკა	63
რეაქცია თბილისის სურნელზე და ამეტყველებული მეხსიერება	69
მსახიობთა შერჩევის თავისებური მეთოდი	72

უნივერსიტეტი და პედაგოგიური მოღვაწეობა	75
რეზისორის ხედვა ქართული კულტურის დღევანდელ	
მდგომარეობასა და მის განვითარებაზე	79
ხელისუფლებასთან და პოლიტიკასთან მიმართება	83
პრიზები და ჯილდოები	86
2 რას ჰყვებიან მარაგ პოპრაშვილზე პოლეგები,	
ხელოვანები და ახლობლები	87
ელდარ შენგელაიას წარმოდგენები მეგობარ	
მერაბ კოკოჩაშვილზე	87
რა აერთიანებთ ლანა ღლობერიძეს და	
მერაბ კოკოჩაშვილს	91
ნინელი ჭანკვეტაძის პირველი შთაბეჭდილება — რატომ არ	
შეიძლება მერაბ კოკოჩაშვილს უარი უთხრა როლზე	93
დავით გუჯაბიძის დაუვიწყარი დღეები მერაბ კოკოჩაშვილის	
გვერდით მუშაობისას	95
ნინაპირობა, რამაც თსუ-ში კინო-ტელე ხელოვნების	
პროგრამის წარმატება უზრუნველყო	96
ეზოპეს ენა, რამაც მერაბ კოკოჩაშვილი წითელ ტერორს	
გადაარჩინა	99
მერაბ კოკოჩაშვილის იუბილე თსუ-ში და ფილმში	
დასმული სწორი აქცენტები	100
3 ოჯახური გარემო	123
საგულდაგულოდ შენახული რელიკვია მერაბ კოკოჩაშვილის	
ოჯახში	129
ბლიცი – პიროვნული შტრიხები	132

• • •

ბატონი მერაბი, პირველ რიგში, უნივერსიტეტის პროფესორია, გარდა იმისა, რომ ცნობილი კინოხელოვანი და რეჟისორია. თაობები აღიზარდა ბატონი მერაბის ფილმებზე. ათწლეულებზე მეტია, რაც იგი უნივერსიტეტის პროფესორია და არაერთი თაობის სამსახურში დგას, როგორც მასწავლებელი და მოძღვარი. გარდა ამისა, ბატონმა მერაბმა ბევრი საინტერესო ფილმი გადაიღო, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის ისტორიას, მეცნიერების ისტორიას საქართველოში. მან გაგვიცოცხლა ისეთი დიდი სახელები, როგორიც არის ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე... ძალიან ამაყნი ვართ იმით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვყავს ასეთი რანგის პროფესიონალი და პროფესორი, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ჩვენი უნივერსიტეტის სახეს.

გიორგი შარვაშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სიტყვა, რომელიც მან ქართულ ფილმოგრაფიაში შეტანილი წვლილისათვის და ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მერაბ კორჩაშვილის უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დაჯილდოებისას წარმოთქვა (2019 წ.).





ელდარ შენგელაძი




ოთარ იოსელიანი


...

„თუ ეს ყველაფერი საბჭოთასდროინდელ მონობაში გაკეთდა, მაშინ გაუმარჯოს ასეთ „მონობას!“ — 2018 წელს ფოტოხელოვანის იური მეჩითოვის მიერ მედიაში გახმოვანებულმა ამ ნარატივმა ქართულ საზოგადოებაში მწვავე დისკუსია გააჩაღა, თუმცა საბჭოთა ნოსტალგიის გაღვივების ნაცვლად საზოგადოებამ მყაცრი დასკვნები გააკეთა და შეფასებაში ასე შეჯერდა — ხელოვნების შედევრები სწორედ ტოტალიტარული სისტემის მხილებისთვის იქმნებოდა და არაერთ ხელოვანს საკუთარი სიტყვისა თუ გამოხატვის თავისუფლება სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ეს მონობა კი არა, გმირობა იყო!

საბჭოთა ცენზურის ქრონიკაში პირველი ცენტრალურებული, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კინო-ორგანიზაციის შექმნაც ანონსირდება. ე.წ. სახ-კინო 1924 წელს შეიქმნა და მისი ფუნქცია ფილმების შინაარსის კონტროლი, ასევე საბჭოთა კინოს გავრცელება იყო. შემდეგში მისი სახელწოდებები იცვლებოდა, მაგრამ მთავარი პრინციპი, რომ კინო იდეოლოგიური პროპაგანდის იარაღი უნდა ყოფილიყო და, ამავე დროს, მყაცრი საბჭოთა ცენზურის პირობებში ყველაფერი გაეკონტროლებინათ, 70 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ე.წ. 60-იანების, ქართველ კინემატოგრაფისტთა ჯგუფის დამსახურება სწორედ ის იყო, რომ ისინი დაუპირისპირდნენ კინოს საბჭოთა პროპაგანდის იარაღი ქცევის პრინციპებს და თავისი სათქმელი თქვეს. ეს სათქმე-




ლი, პირველ რიგში, იყო პიროვნების თავისუფლება. 60-იანი წლების ქართულ კინემატოგრაფიულ ლანდშაფტს ელდარ და გიორგი შენგელაიები, ოთარ იოსელიანი, ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, მიხეილ კობახიძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი და სხვები ქმნიდნენ. ეს პერიოდი გამოირჩევა საავტორო კინოს გამოცოცხლებითაც. პიროვნების თავისუფლების იდეის გამოხატვა 60-იანელთა თაობის ფილმებში სხვადასხვა ხერხით ხდებოდა – ზოგმა აირჩია იგავური მეთოდი, როგორც ეს ელდარ შენგელაიას ფილმებში ჩანს („ცისფერი მთები“, „შერეკილები“); მაგალითად ოთარ იოსელიანი კი სარკაზმით და იუმორით ცდილობდა ამ ხაზის გატარებას. სწორედ ამ თაობის წარმომადგენელია და ამ პრინციპების დამცველია რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილიც. ის ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც საბჭოთა ცენზურის სიმწვავე იწვინა, ტკივილი იგემა, თუმცა იბრძოლა, გარისკა, იეშმაკა (კარგი გაგებით) და თავისი გაიტანა.



მიხეილ კობახიძე



ლანა ღოღობერიძე



მერაბ კოკოჩაშვილი

„როცა კარგად ხარ, ისე მშვიდდები, ველარ აკეთებ იმას, რაც ბრძოლით უნდა მოიპოვო. აუცილებლად უნდა გქონდეს წინააღმდეგობა, რომ გაანგრიო. და როცა მას ანგრევ, ესაა ბედნიერება“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში. მისი განვლილი ცხოვრების გზა, როგორც ჩანს, ბედნიერი სვლების გზაა, რადგან სირთულეთა და წინააღმდეგობათა გადალახვის არაერთ ცნობას შეიცავს რეჟისორის ბიოგრაფია.

ნინო კაჯულია

გაზეთ თბილისის უნივერსიტეტის რედაქტორი,
უურნალისტი

დ 1 დ

პიოგრაფიული ჩანახატი

(ამბავი, კომენტარი, პოზიცია)

რატომ დაარქვეს მერაბი?

მერაბ კოკოჩიშვილი 1935 წლის 21 მარტს დაიბადა თბილისში, მუსიკოსების ოჯახში. დედა — მარინე (მაკა) ჯორჯაძე პიანისტი იყო, მამა — არჩილ კოკოჩიშვილი — მევიოლინე, რომელმაც თბილისის კონსერვატორია დაამთავრა და მუსიკოსი გახდა. ბედმა და პროფესიამ იგი სათნო და კეთილშობილ ადამიანთან — მარინე ჯორჯაძესთან შეახვედრა.

დავით და ნინო ჯორჯაძეების ქალიშვილი — მარინე — ერთხანს თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი სწავლა კონსტანტინოპოლის სამუსიკო კოლეჯში გააგრძელა. ამ დროს საქართველოში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, 1921 წელს, ქართული პოლიტიკური ელიტა ახალი რეჟიმისგან თავის გარიდების მიზნით



არჩილ კოკოჩიშვილი



მარინე ჯორჯაძე

ბათუმიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა. მარინე ჯორჯაძე გაუფრთხილებიათ — ვინ იცის, საქართველოში რა ამბები დატრიალდეს, იქ დაბრუნებაზე არც იფიქროო. მაგრამ, ყველას გასაკვირად, მან დაბრუნება არჩია. როდესაც ქართველ ემიგრანტთა გემმა კონსტანტინოპოლიდან გეზი ევროპისკენ აიღო, მარინე ჯორჯაძე პატარა იალქნიანი გემით ბათუმისკენ გამოემართა...

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან არჩილ კოკოჩაშვილს დაუკავშირა თავისი ბედი.

მერაბ კოკოჩაშვილის მშობლები აბაკელიას (ყოფილ მცირე სასამართლოს) მყუდრო ქუჩაზე ცხოვრობდნენ. აბაკელიას ქუჩის მე-13 სახლის ბოლო, მესამე სართული, თავის დროზე, მერაბ კოკოჩაშვილის ბაბუას — დავით ჯორჯაძეს იჯარით აუღია.

„რომ დავიბადე, აი, ამ სახლში ფაეტონით მომიყვანეს. ამ ფაქტს დღემდე ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს... სახელი ბიძაჩემის, მერაბ ჯორჯაძის პატივსაცემად დამარქვეს და ეს ძალიან საინტერესოდ მომხდარა: საფრანგეთში რეპრესირებულ ბიძაჩემთან — მერაბთან მიმოწერა ოჯახს აკრძალული ჰქონდა. ბებიაჩემი ამ ამბავს ძალიან განიცდიდა. მე რომ დავბადებულვარ და სახელის დარქმევაზე მიმდგარა საქმე, ვერ გადაეწყვიტათ — რა სახელი შეერჩიათ. მაშინ მამაჩემს უთქვამს: — სახელებს ქალალდის პატარა ფურცლებზე დავწერ და ქუდში ჩავყრი. ერთი ამოვილოთ და ფურცელზე რაც ეწერება, ის სახელი დავარქვათო. ასეც მოქცეულან. ფურცელზე, რომელიც ამოიღეს, „მერაბი“ ეწერა. მხოლოდ ბებიაჩემის გარდაცვალების შემდეგ გავიგეთ, რომ მამას ყველა ფურცელზე ეს სახელი დაუწერია, ბებია რომ გაეხარებინა...“ — იგონებს მერაბ კოკოჩაშვილი.

რატომ აღარ დაბრუნდა მამა?

არჩილ კოკოჩაშვილი, რომელიც ცხოვრებაში იმ ქალიშვილს შეეყარა, რომელმაც 1921 წელს საქართველოს დატოვება არ ისურვა, თავად შეიქმნა ბოლშევიკური ტერორის

მსხვერპლი. ცოლ-ქმარს, ალბათ, წარმატებული მომავალი ექნებოდა, რომ არა საბჭოთა რეჟიმის პათოლოგიური სიძულეით არისტოკრატისა და განათლებული ადამიანებისადმი. გასული საუკუნის 30-იანმა წლებმა მათი ცხოვრება სხვადასხვა გზით წაიყვანა.

ბოლშევიკების აღზევების პერიოდში მერაბ კოკოჩაშვილის მშობლები რუსთაველის თეატრში მუშაობდნენ. დააპატიმრეს რეჟისორი სანდრო ახმეტელი და დირიჟორი ევგენი მიქელაძე... არჩილ კოკოჩაშვილიც ამ ტალღამ იმსხვერპლა. 1937 წელს სახლიდან წაიყვანეს და წლების მანძილზე ოჯახმა მის შესახებ არაფერი იცოდა.

„მამა რეპრესირებული იყო. მე მაშინ 2-3 წლის ვიყავი. ფაქტობრივად, მამის ყველა ფუნქცია და ვალდებულებები დედამ აიღო საკუთარ თავზე. ხმამაღლა საბჭოურ სისტემაზე ვერავინ ლაპარაკობდა. მამა გადასახლებულია. არ ვიცით — ცოცხალი არის თუ არა. მას შემდეგ, რაც ის წაიყვანეს, წერილიც არ მოსულა. ჩვენ არ ვიცით — სად არის, როგორ არის. ყველა მოთხოვნაზე პასუხია მხოლოდ ერთი — არის გადასახლებული. გადასახლეს იმიტომ, რომ როცა მისი ხელმძღვანელი ევგენი მიქელაძე დააპატიმრეს და დახვრიტეს, მამას უთქვამს — ასეთი ღირსეული ადამიანის დაპატიმრება არ შეიძლება, ეს შეცდომა და დანაშაულიაო. მეორე დღესვე მოაკითხეს მამას და წაიყვანეს. როგორც დედისგან ვიცი, როცა აიყვანეს, სახლში ყველაფერი გადააბრუნეს და წაიღეს. მე მაშინ ავად ვიყავი თურმე და მეძინა. წასვლისას მამას უთქვამს — ხვალვე დავბრუნდები, ახლა რომ ვაკოცო, გაიღვიძებს ბავშვიო. ვინც მოვიდა მის წასაყვანად, იმას უთქვამს — აკოცე, აკოცეო. მან იცოდა, რომ მამა აღარ დაბრუნდებოდა. ასეთი დრო იყო „— იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

ოჯახმა მხოლოდ 1956 წელს მიიღო ცნობა არჩილ კოკოჩაშვილის რეაბილიტაციის შესახებ, საიდანც შეიტყვეს, რომ არჩილ კოკოჩაშვილი ეტაპირებული იყო და 1938 წელს გარდაიცვალა.... როგორც მერაბ კოკოჩაშვილი ჰყვება, დედამ არც იცოდა, რომ მამა მატარებელში დაღუბულა, როცა ის ციმბირისკენ მიჰყავდათ. ცნობაში თურმე ეწერა, რომ არ-

ჩილ კოკოჩაშვილი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. სად არის დაკრძალული, ოჯახმა არ იცის. წერილშიც ამის შესახებ არაფერი ყოფილა მითითებული.

მარინე ჯორჯაძე რეპრესიებს გადაურჩა და უმამოდ ზრდიდა ერთადერთ ვაჟს – მერაბ კოკოჩაშვილს, რომელსაც დედის სიმამაცე და კეთილშობილება უკვირს — როგორ გაზარდა ისე, რომ არ გაბოროტებულიყო: „გარკვეულ დრომ-დე დედა არ მეუბნებოდა, რომ მამა რეპრესირებული იყო. თა-ვად კი ვხვდებოდი, ხალხის დამოკიდებულებამ მიმახვედრა, მაგრამ დედას ვუმალავდი. დაახლოებით 13 წლისა ვიყავი, როცა თავად დამსვა და მიამბო, რა უბედურებაც გადახდა თავს ჩვენს ოჯახს. მაშინ გავიგე, რას განიცდიდა იგი მთე-ლი ამ ხნის განმავლობაში. დედამ მიამბო — როგორ გავიდა მამის სანახავად 1937 წლის იმ ავბედით დღეს სადგურში, საი-დანაც გადასახლებულები სატვირთო ეშელონებით გადაჰყ-ავდათ და როგორ ვერ მოახერხა უკანასკნელად მაინც შეევ-ლო თვალი საყვარელი ადამიანისათვის. ამ ნაამბობის შემდეგ თითქოს რაღაც სივრცე გაიხსნა, ჩვენს შორის საიდუმლო აღარ არსებოდა. ამან გული ამიჩუყა, ავტირდი...“ — იგ-ონებს მერაბ კოკოჩაშვილი.

მეზობელი უშანგი ჩხეიძე

საქართველოში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, როცა საცხოვრებელი „ზედმეტი ფართების“ ჩამორთმევა დაიწყო, მერაბ კოკოჩაშვილის ბაბუამ, დავით ჯორჯაძემ, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული სახლი აბაკელიას ქუჩაზე, ბინაში უცნობების შემოსახლებას არჩია მეგობრებისთვის დაეთმო ოთახები.

„საოცარ გარემოში ვიზრდებოდი. მეზობლები ერთ შე-კრულ ოჯახად ვცხოვრობდით. ერთმანეთის თანადგომისა და გატანის ბევრი საოცარი მაგალითის მოტანა შემიძლია, მაგრამ ერთი ამბავი უნდა გავიხსენო, რომელსაც თავად არ მოვსწრებივარ, დედაჩემისგან მსმენია. ეს ამბავი 1924 წლის აჯანყებასთან არის დაკავშირებული. ბიძაჩემს – მერ-

აბ ჯორჯაძეს და დედაჩემის დის ქმარს — ბაქია თუთ-ბერიძეს, რომლებიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრები იყვნენ, ერთ ღამეს ჩვენთან ეძინათ. იმ ღამეს მათ დასაპატიმრებლად მოსულან. კიბის პირდაპირ სურმავების ბინა იყო (იქ რე-ჟისორ კოტე სურმავას მამა ცხოვრობდა). მოსულები მათ კარს მისდგომიან. სურმავები მიხვდნენ — რაშიც იყო საქმე და მოსულებს „გზა აუბნიეს“ — ურჩიეს ქვევით ჩასული-ყვნენ და ეზოს მხრიდან კიბ-ით ასულიყვნენ. ამით დრო მოიგეს, ბიძაჩემი მერაბი და ბაქია გააფრთხილეს და მათ სახ-ურავიდან გაქცევით უშველეს თავს... თუმცა, მათი დაპატიმ-რება მერე მაინც შეძლეს...“ — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი დედის ნაამბობს.

აბაკელიას ქუჩის სახლის გამორჩეული მკვიდრი იყო კოკოჩაშვილების ოჯახის ერთ-ერთი მეგობარი — მსახიობი უშანგი ჩხეიძე, რომელიც ერთ დიდ შუმაბანდიან ოთახში ყო-ფილა დაბინავებული.

„ჩვენს ოთახებს შორის კარი თითქმის არასოდეს იკეტე-ბოდა. ზაფხულობით ერთმანეთში გამავალი ოთახების ყვე-ლა კარს აღებდნენ და ბინა, როგორც უფროსები ამბობდნენ, „კოჯრის ნიავით“ გრილდებოდა...“

მე რომ დავიბადე, უშანგი უკვე ავად ყოფილა. სწორედ იმ წელს დაუნებებია თავი თეატრში ყოველდღიური სიარუ-ლისთვის. უკანასკნელი როლი 1933 თუ 1934-ში ითამაშა. რო-გორც მიამბეს, ფეხი უშანგი ჩხეიძემ ამადგმევინა... უშანგი თავის ოთახში დივანზე ყოფილა წამოწოლილი და ბალს შეექ-ცეოდა, მე კი ჩვენს ოთახში იატაკზე დავფორთხავდი. ეტყო-



უშანგი ჩხეიძე

ბა გართობა უნდოდა, ბლის ყუნწს ძაფი გამოაბა, გადმომიგდო და ნელ-ნელა თავისკენ გასწია. ბალს რომ ვერ მივწვდი, ფორთხვით გაცემევი, მერე წამოვდექი და ფეხით მივედი უშანგისთან თურმე... ასე ვისწავლე სიარული“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

უშანგი ჩხეიძესთან ძალიან ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი მსახიობები, მათ შორის, ვერიკო ანჯაფარიძე და მერი დავითაშვილი. ალბათ მათი რეკომენდაციით მოხვდა 6 წლის მერაბ კოკოჩაშვილი კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ გადასაღებ მოედანზე.

პაატა სააკაძის თავის მოქრის ამბით შეშინებული 6 წლის მსახიობი

ვერიკო ანჯაფარიძის მეუღლე, ქართველი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელიც სტალინის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა, მისი დაკვეთით ფილმ „გიორგი სააკაძეს“ იღებდა. ამ ფილმში მერაბ კოკოჩაშვილმა პატარა პაატა სააკაძე განასახიერა. ყველას ახსოვს ეპიზოდი, როცა გიორგი სააკაძე თავადაზნაურობას ისრების მაგალითზე უჩვენებს ერთიანობის აუცილებლობას და ამ ეპიზოდში მთავარი მოქმედი პირი სწორედ პატარა პაატა სააკაძეა. შემდგომ მოგონებებში მერაბ კოკოჩაშვილი იხსენებდა, რომ სადღაც ყური მოკრა — „პაატას თავი უნდა მოქრანო“ და ეს გადაღებები მისთვის ცოტა ხანი კოშმარად იქცა, სანამ კარგად არ დარწმუნდა, რომ მის თავს საფრთხე არ ელოდა.

„30-იანი წლების ბოლოს, როდესაც ფაშიზმი მდვინვარებდა, სტალინი მიხვდა, რომ პროპაგანდაა საჭირო და მთელი რიგი ფილმები გადაიღეს გამოჩენილ მოღვაწეებზე, მათ შორის, გიორგი სააკაძეზე, ასევე, ივანე მრისხესანეზე, ალექსანდრე ნეველზე და ა.შ. სწორედ მაშინ გადაწყვიტა სტალინმა, რომ „გიორგი სააკაძე“ და „არსენა“ ყოფილიყო გადაღებული. მე ამ ფილმი პატარა პაატა სააკაძის როლს ვასრულებდი. ერთხელ დამსვეს და მითხრეს — ახლა შენი



6 წლის მერაბ კოკოჩაშვილი პაატას როლში (ფილმი: „გიორგი სააკაძე“)

ქანდაკება უნდა გავაკეთოთო. როცა ვიკითხე — რატომ-თქო, მითხვეს — როგორ, არ იცი? პაატას თავი უნდა მოჭრანო. 6 წლის ვიყავი, მეტის კი არა. — რა უნდა მოჭრან-მეტქი? — ისევ ვიკითხე შეშინებულმა. — თავი უნდა მოგჭრან და ეს თავი შაჲაბასმა გიორგი სააკაძეს და მის მეუღლეს უნდა გაუგზავნოსო. ძალიან შემეშინდა. მაგრამ მერე მიხეილ ჭიაურელმა თქვა: — პაატარა ხარო. ამიტომ ფილმში უკვე ცოტა დიდ პაატა სააკაძეს მოჭრეს თავი და მის როლს უკვე გაიოზ შარაშიძე ასრულებდა. ასე რომ, მე კი არა, მას „მოჭრეს“ თავი, — იგონებს მერაბ კოკოჩაშვილი პირველი მსახიობობის გამოცდილების კულუარულ ეპიზოდს.

სკოლაში დაწერილი ლექსი ბერიაზე და დედის საყვედური

მერაბ კოკოჩაშვილი 1942-1953 წლებში თბილისის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა, რომელიც ოქროს მედლით დაამთავრა.

მოგონებები სკოლაში სწავლის პერიოდზე მდიდარია იმდენად, რამდენადაც მერაბ კოკოჩაშვილის კლასი მთელ სკოლაში გამორჩეული იყო.

„ჩემი თანაკლასელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის ვაჟი — მერაბი იყო. ასეთ კლასე-

ლებს საგანგებოდ არჩევდნენ ხოლმე... ჩვენს საკლასო ოთახს, სადაც მეორე კლასიდან დავდიოდით, სტალინის ოთახი ერქვა. კედლებზე სტალინის, ლენინის, ბერიას, ორჯონიშვილის და სხვა ბელადების სურათები ეკიდა. „მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე — ეს არის სწავლა ფრიადზე!“ — ასე მოგვიწოდებდა სტალინის ლოზუნგი. ბუნებრივია, შესაფერის დავალებებს გვაძლევდნენ. ერთხელ ლექსის დაწერა დაგვავალეს. ოთახის აურა, როგორც ჩანს, ზეგავლენას ახდენდა ჩვენზე. ზოგმა ლენინზე დაწერა ლექსი, ზოგმა სტალინზე... მე ბერიაზე დავწერე... ერთი სული მქონდა, დედაჩემისთვის მეჩვენებინა. დედა შინ არ იყო, ორ ადგილას მსახურობდა და გვიან ბრუნდებოდა. ვიდრე არ მოვიდა სახლში, არ დავიძინე. ოთახში რომ შემოვიდა, თვალი გავახილე და ვახარე — ლექსი დავწერე-მეთქი. ნაიკითხა ჩემი ლექსი და მითხრა: — არ დავინახო, კიდევ ლექსი დაგეწეროსო... ასე დასრულდა ჩემი გაპოეტების მცდელობა.

კიდევ ერთი ამბავი მგვრის ლიმილს დღემდე: გერმანიასთან ომი უკვე დაწყებული იყო. პაპიდაჩემთან კახეთიდან სტუმრად ქაქუცა ჩოლოყაშვილის უფროსი ქალიშვილი ციცნა ჩამოვიდა. სასტუმრო ოთახში მრგვალ მაგიდასთან ჩაის სვამდნენ და საუბრობდნენ. მაგიდას ხავერდის მძიმე სუფრა ჰქონდა გადაფარებული, მის ქვეშ თავს მყუდროდ ვგრძნობდი და იქ თამაში ძალიან მიყვარდა. იმ საღამოსაც მაგიდის ქვეშ ვთამაშობდი. როგორც ჩანს, ქალბატონები პოლიტიკაზე საუბრობდნენ. სიტყვამ მოიტანა და ჩემი თავშესაფარიდან ასეთი რამ გავიგონე:

— რაც უნდა იყოს, ჰიტლერი კაციჭამიაა, — უთხრა პაპიდაჩემს ციცნამ.

— ჩვენსას მაინც ვერ შეედრება, მასთან შედარებით ნამდვილი ვეგეტარიანელია! — თქვა პაპიდაჩემმა სტალინზე... “იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

სირცხვილის გრძნობა, რაც სკოლაში ნინო მასწავლებლისგან ისწავლა

მერაბ კოკოჩაშვილს სკოლაში კარგი სამეგობრო ჰყავდა. ბევრი მათგანი მოგვიანებით სახელოვანი მეცნიერი თუ ხელოვანი გახდა. მათ შორის იყვნენ კინოპერატორი ლომერ ახვლედიანი, კომპოზიტორი გურამ ბზვანელი, არქიტექტორები ლევან ჯანდიერი და ლევან კილაძე, პალეობიოლოგები ირაკლი თაქთაქიშვილი, თამაზ ლომინაძე და გურამ მელაძე, გეოგრაფი გივი გიგინეიშვილი... შემდგომში მათგან 3 რუსთაველის პრემიის ლაურეატი იყო, ერთი — ლენინური პრემიის და, ასევე, საბჭოთა სახელმწიფო პრემიის.

„რომელი ერთი გავიხსენო... მათი შემდგომი წარმატება ცხოვრებაში ჩვენი მასწავლებლების დამსახურებაც იყო. არაჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ... საბჭოთა სისტემის პირობებში მოგვიხდა სწავლა, მაგრამ მათ თაობას ძველი კულტურა მოსდევდა. სკოლის დირექტორი ჯაჯუ ჯოჯიკია გახლდათ. ადრე მენშევიკი თუ ფედერალისტი ყოფილა. კონსტიტუციას გვასწავლიდა... მახსოვს, ერთხელ მათემატიკის დავალების გადაწერით ვიყავი გართული. მეგობარმა დრო იხელთა, ფეხსაცმელი გამიხსნა და წამართვა. საქმეს არ ვუღლალატე, ვიფიქრე, გადაწერას დავასრულებ და გავედევნები-მეთქი. დავსვი წერტილი და წამოვხტი. ის ბიჭი კლასიდან გავარდა. სახაზავი ვესროლე, რომელიც კარში გაერჭო. ამ დროს ჯაჯუ ჯორჯიკია გამოჩნდა. ის ჩვენს ოჯახს კარგად იცნობდა. გავშეშდი... ჯაჯუ თუ კაბინეტში დაგიმარტოვებდა, უსიამოვნებას ვერ ასცდებოდი. ვიდექი და ველოდი, რას იზამდა. მან გადმომხედა და მითხრა: — რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, თავი დაანებე ამ ბაგრატიონებს და რატიშვილებს, ეთამაშე ჩარკვიანსო...“ — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

რეჟისორის პირად არქივში 1980 წლით დათარიღებული ერთი წერილი ინახება, რომელიც მერაბ კოკოჩაშვილმა თავისი სკოლის მასწავლებელს ნინო ალადაშვილს მისწერა:

„ძვირფასო ქალბატონო ნინო, ნინო მასწავლებელო, გაკვეთილი უმიზეზოდ ბევრჯერ გამიცდენია და, სიმართლე გითხრათ, სინდისს მაინც და მაინც არ შევუწუხებივარ, მაგრამ დღევანდელი გაცდენილი საიუბილეო შეხვედრა თქვენთან სამუდამოდ დამამახსოვრდა. მაპატიეთ, ქალბატონო ნინო, და ჩათვალეთ, რომ წერილის ნაცვლად მე ვარ დარბაზში.

ალბათ, რამდენი ახალგაზრდა გაგიზრდიათ – ასობით, ათასობით... გაკვირვებული ვარ, როგორ გამიხსენეთ ამ ზღვა ხალხში შვიდი წლის ბიჭი, რომელსაც ოცდათვრამეტი წლის წინ სხვა ორმოც ბავშვთან ერთად ასწავლიდით.

ნათლად წარმოვიდგინე პირველი სკოლა, პირველი კლასი პირველ სართულზე, თქვენი მუდამ მშვიდი, კეთილი სახე. ასე მახსოვს, რომ მაშინაც ჭალარა იყავით, ქალბატონო ნინო. იქნებ ეს ბავშვური წარმოდგენაა მასწავლებელზე, მაგრამ მე ასე მახსოვს.

თქვენ გვასწავლიდით ყველაფერს, რასაც პირველკლასელი უნდა სწავლობდეს: „აი ია“, „დედა“, „აი თხა“... მაგრამ ყველაზე მთავარი, რასაც მე გაცილებით გვიან მივხვდი, სიკეთე იყო. თქვენი გაკვეთილები, უპირველეს ყოვლისა, სიკეთისა და ურთიერთბატივისცემის გაკვეთილები იყო. ნუ იფიქრებთ, რომ მე, 45 წლის კაცმა, ლამაზი სიტყვებით გადავწყვიტე თქვენი შემკობა. სიტყვა გამიგრძელდა, თორემ მხოლოდ ერთი ეპიზოდის გახსენებას ვაპირებ.

მე და ჩემმა თანაკლასელებმა გაკვეთილზე ვიცელქეთ. ჩვენებურად ამას „არევა“ ერქვა. თქვენ კუთხეში დაგვაყენეთ. თქვენს ზურგს უკან კვლავ გავაგრძელეთ „არევა“ — ერთმანეთს ენას ვუყოფდით და ამხანაგებს ვაცინებდით. გაკვეთილები რომ დამთავრდა, მე და ჩემს მეგობარს (მის გვარს არ დავასახელებ, ჩვენ ახლაც მეგობრები ვართ) წერილები გადმოგვეცით და გვითხარით — მშობლებს მიუტანეთო.

ქუჩაში გამოვედით, ჩემი მეგობარი შეწუხებული ჩანდა. ახლა რა ვქნათ? — მკითხა. — რა უნდა ვქნათ, სახლში მივიტანოთ წერილები-თქო, — ვუპასუხე. — რას ამბობ, ბებიაჩემი გაგიუდება! — სასტიკი უარი განაცხადა წერილის შინ მიტანაზე მეგობარმა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეც

იძულებული გავხდი, დედაჩემისთვის წერილი დამემალა, ვინაიდან, მე რომ გამომეჩინა და ჩემს მეგობარს — არა, წერილების არსებობა მაინც გამოაშკარავდებოდა და მე, ჩვენი ბავშვური გაგებით, მეგობარს გავცემდი.

იმ დღემ წყნარად ჩაიარა. გათენდა დილა და მე სკოლაში წავედი. ახლა ისიც გავიხსენოთ, ქალბატონო ნინო, რას ვჭამდით, რას ვსვამდით და რა გვეცვა. ჩვენ ხომ ომის დროს ვსწავლობდით. გახსოვთ, ალბათ, ქალბატონო ნინო, ერთი ციცქა ფუნთუშები, რომელზეც ერთი წვეთი მანდარინის ჯემი ეცხო...

რა ჩქარა გადის ხმარებიდან ზოგიერთი სიტყვა. ჩემმა შვილებმა არც კი იციან, რას ნიშნავს სიტყვა „კალოში“. როცა ვუხსნი, ვერ წარმოუდგენიათ, რა საჭიროა ერთ ფეხსაცმელზე მეორე რეზინის ფეხსაცმლის წამოცმა. ალბათ, ვერც მიხვდებიან, სანაც თვითონ არ გაიგებენ, რას ნიშნავს სისტემატურად სველი ფეხსაცმლით სიარული...

აი, იმ დილით, მე რომ ვიგონებ, გაწვიმდა. ეს წვიმა „საბედისნერო“ ალმოჩნდა ჩემთვის. ალბათ, იმიტომ, რომ ტყუილი აუცილებლად უნდა გამოაშკარავდეს. ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს.

პირველ გაკვეთილზე კარზე დააკაკუნეს და საკლასო ოთახში დედაჩემი შემოვიდა. მას ხელში „კალოში“ ეჭირა.

— ო, მობრძანდით, ქალბატონო. ალბათ, მერაბმა ჩემი წერილი გადმოგცათ, არა? — მიეგებეთ თქვენ დედაჩემს.

დედაჩემს ძალიან გაუკვირდა, მე კი ვიგრძენი, როგორ წამეკიდა ყურებზე ცეცხლი. დედაჩემი დიდხანს ვერ ხვდებოდა — რაზე იყო ლაპარაკი. სად ჩავმძვრალიყავი, არ ვიცოდი. ჩემს მეგობარს (ის ჩემს გვერდით იჯდა) მკვდრის ფერი ედო. სხვათა შორის, ის დღესაც ფერმკრთალია. მართალია, დღეს ცნობილი არქიტექტორია, მაგრამ იმ დღის შემდეგ სამუდამოდ დაკარგა ფერი. თქვენ კი, ქალბატონო ნინო, ჩემო ნინო მასნავლებელო, თქვენ მიხვდით — რა დღეშიც ვიყავით და ვიდრე დედაჩემი სიტუაციაში გაერკვეოდა, მოულოდნელად გაიცინეთ — ეს რა გულმავიწყი ვყოფილვარო... მერე ჩანთა ამოქექთ, რაღაც ფურცლები ააშრიალეთ და თქვით: — აი,

აქ არ ყოფილა?! მაგრამ, რახან მობრძანდით, ბარემ გეტყვით, წერილის წაკითხვას რაღა აზრი აქვსო. მერე შემომხედეთ, თვალებში ლიმილი შეგეპარათ და დაიწყეთ: — მერაბი კარგი ბიჭია...

მე სირცხვილისგან ვიწვოდი, ცრემლი მახრჩობდა, ყურები მიწუოდა და ცხვირიდან წვინტლი მდიოდა, თქვენ კი მაქებდით და მაქებდით.

ამ გაკვეთილის შემდეგ ვცდილობ, არ ვიცრუო და, თუკი ჩემს ცხოვრებაში შევძლებ მივაღწიო რაიმე კარგს და ჭეშმარიტს, ჩათვალეთ, რომ ამაში თქვენი სიკეთე და ნიჭიერება ურევია.

გმადლობთ, ქალბატონო ნინო და კიდევ ერთხელ მაპატიეთ დღევანდელი გაცდენა...“

ეს წერილი, რომელიც მერაბ კოკოჩაშვილის არქივში ინახება, იმაზე მიუთითებს, რომ სწავლის გარდა მან სკოლაში სიკეთისა და ადამიანობის გაკვეთილიც ბევრი მიიღო.

• • •

არც შინ და არც გარეთ არავისგან უგრძნია მერაბ კოკოჩაშვილს, რომ „ხალხის მტრის“ შვილი იყო. დედა ერიდებოდა შვილთან საბჭოთა სისტემის ძაგებას, მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპოქამ მას დიდი ტრავმა მიაყენა. მერაბ კოკოჩაშვილი დედას პიონერთა სასახლეშიც გაუშვია და ცდილობდა — მის ერთადერთ ვაჟს ფართო განათლება მიეღო.

„აქტიური პიონერი და კომუნისტიკურელი არ ვყოფილვარ, მაგრამ პიონერთა სასახლე ჩემთვის იყო ერთ-ერთი თავისუფლების ადგილი. იქ შესანიშნავი პედაგოგები იყვნენ. მზია ერისთავი და ალექსანდრა ჯაფარიძე — პირველი ქალი, რომელიც უშბაზე ავიდა, ჩვენი მასწავლებლები იყვნენ. მათ მთელი საქართველო შემომატარეს და შემაყვარეს ჩვენი ქვეყანა. პიონერთა სასახლეში ფუნქციონირებდა შესანიშნავი ლიტერატურული წრე, რომელსაც ქალბატონი ქეთევან ანანიაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ გაიზარდა ლანა ლოლობერიძე, რეზო თაბუკაშვილი, ოთარ და თამაზ ჭილაძები... პი-

ონერთა სასახლე შენი ოცნებების დაკმაყოფილების წყარო იყო. მართალია მას პიონერთა სასახლე ერქვა, მაგრამ სინამდვილეში ის თავისუფლების წყარო იყო. ასე რომ, ყოველთვის შეიძლება, ის, რაც სხვა მიზნითაა გაკეთებული, სხვაგვარად გამოიყენო, თუ შენ ჭეშმარიტების პოვნა გინდა“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

ერთადერთი, რასაც გული ვერ დაუდო, მუსიკა იყო, არა-და დედას ძალიან უნდოდა — მერაბიც მამას გზას გაჰყოლოდა. „მამას ნაქონი ვიოლინოც კი მომცა, მაგრამ ჭირივით მეზარებოდა მუსიკაში მეცადინეობა და მეოთხე კლასში რომ ჩავრჩი, მითხო — კისერიც გიტეხია, რაც გინდა, ის გააკეთეო... ასე დამთავრდა ჩემი მუსიკალური „კარიერა“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

ჭავჭავაძების და ჯორჯაძების შთამომავალი და წინაპრების კვალი

იმის პარალელურად, რასაც მერაბ კოკოჩაშვილი სკოლაში სწავლობდა, ის იგებდა მისი სახელოვანი წინაპრების ამბებს... როცა სკოლაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ რომანტიკიკოსებს მიადგნენ, მერაბ კოკოჩაშვილმა საფუძვლიანად გაიგო მისი დიდი წინაპრის — ალექსანდრე ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ. მან განსაკუთრებული ინტერესით ამოკრიბა ყველა ინფორმაცია, რაც მისი დიდი ბაბუის — ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ ისტორიულ წყაროებში თუ საკუთარი ოჯახური წრეების მეხსიერებაში არსებობდა.

მერაბ კოკოჩაშვილის დედის — მარინე ჯორჯაძის დედა იყო წინო ჭავჭავაძე, რომელიც მეთერთმეტე შვილი გახლდათ დავით ჭავჭავაძის. დავით ჭავჭავაძე კი რომანტიკოსი პოეტის — ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი იყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ერეკლე მეორეს („პატარა კახის“) მარჯვენა ხელის, რუსეთის სამეფო კარზე ქართლ-კახეთის ელჩის — გარსევან ჭავჭავაძის ვაჟი გახლდათ, რომელიც თვით ეკატერინე მეორეს ნათლული იყო.

• • •

ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც მკვლევართა ნაწილის აზრით, საქართველოში რომანტიკიული მიმდინარეობის ფუძემდებელია და ქართულ ლირიკაში წმინდა საზოგადოებრივ-დემოკრატიული მოტივების შემომტანად ითვლება, 1786 წელს პეტერბურგში დაიბადა. მისი მამა — გარსევან ჭავჭავაძე გახლდათ 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის თანაავტორი და ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ერთ-ერთი ხელისმომწერი. ალექსანდრემ, მომავალმა პოეტმა, რომელიც იმპერატორის კარზე იზრდებოდა, ბავშვობიდანვე შეისწავლა რუსული, ფრანგული, გერმანული ენები. ქართულ ენასა და ლიტერატურას ის პირველად დედამ აზიარა.



1804 წელს გარსევან ჭავჭავაძემ იმპერატორს წარუდგინა თხოვნა ვაჟიშვილის კამერპაჟად ჩარიცხვის შესახებ. მამას თხოვნა დაკმაყოფილდა. იმავე წელს, მალევე, ცარიზმის მოხელეთა აღვირასნილობის გამო, არაგვის ხეობის ქართველ მთიელთა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებასთან დაკავშირებული იყვნენ ფარნაოზი და სხვა ბატონიშვილები. 1804 წლის სექტემბერში თავისუფლების სულით განმსჭვალული 18 წლის ალექსანდრე ფარნაოზი ბატონიშვილთან გაიქცა და მთიელ აჯანყებულებს შეუერთდა. მეფის რუსეთის ჯარებმა აჯანყება სწრაფად ჩაახშეს და მისი მეთაურები სასტიკად დასაჯეს. ალექსანდრე ჭავჭავაძე თბილისის საპყრობილები მოათავსეს. 1805 წელს იგი ტამბოვში გადაასახლეს 3 წლით. გადასახლებაში შვილს გარსევანიც გაჰყვა. გარსევანმა იმპერატორს ვაჟის შენწყალების თხოვნით მიმართა — მაჩუქეთ შვილი, შეინწყალეთ, სიყმანვილით მოუვიდაო. 1806 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძეს დანაშაული აპატიეს და ტამბოვის გადასახლებიდან გაათავისუფლეს. 1807 წელს ალექსანდრე პაჟთა კორპუსში ჩარიცხეს, რომელიც მან 1808 წელს დაამთავრა და იმავე წელს მიიღო პოდპორუჩიკობა. სპარსელთა წინააღმდეგ ერევანში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის შემდეგ, 1811 წელს, იგი პორუჩიკი გახდა.

1804 წელს რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების გამო დასჯილ პოეტს 1812 წლის თებერვალში გზავნიან კახეთში — სიღნაღისა და თელავის მაზრებში კახელ გლეხთა აჯანყების ჩამხშობ ექსპედიციაში. როგორც ქართველი მწერალი იონა მეუნარგია თავის მოგონებებში წერს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავიდან მოინდომა კახეთის დამშვიდება ტკბილი სიტყვით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შემდეგ, როცა სროლაზე მიდგა საქმე, ამ შებმაში მთავრობის მხარემ გაიმარჯვა, მაგრამ ამ ბრძოლაში ალექსანდრე ცდილობდა — საქმე ისე მაინც გაეთავებინა, რომ ბევრი უბედურება არ მომხდარიყო. თავად პოეტი ლამის იმსხვერპლა ამ აჯანყებამ. ერთმა გლეხკაცმა ის ფეხში დაჭრა. მაშინ პოეტს ქუთათურმა თურმანიძეებმა უმკურნალეს, რომლებიც იმ დროშიც კარგი ექიმები ყოფილან. განკურნების შემდეგ, 1813-1814 წლებ-

ში, ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსეთის ჯარს მიჰყვება და ნაპოლეონის წინააღმდეგ სამამულო ომში მონაწილეობს. ბრძოლებში წარჩინებისთვის ალექსანდრე ჭავჭავაძემ არა ერთი ჯილდო მიიღო. მისი უმაღლესი ჯილდო იყო საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი. თითქმის ერთი წელი მან დასავლეთ ევროპაში მოქმედ არმიაში გაატარა. იქ იგი უშუალოდ გაეცნო ფრანგ ხალხსა და მის კულტურას. 1817 წელს პოეტმა პოლკოვნიკის ჩინიც მიიღო. სამშობლოში დაპრუნების შემდეგ, მოგვიანებით, იგი საგანგებო დავალებათა შემსრულებლის თანამდებობაზე დაინიშნა გენერალ ერმოლოვთან.

სტუმართმოყვარეობით განთქმული ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მაშინდელი საქართველოს მონინავე აზრისა და კულტურის ერთ-ერთი მთავარი კერაც იყო. რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, ვისაც კი საქართველოში ყოფნა უხდებოდა, უპირველეს ყოვლისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში ეცნობოდა ქართველი ერის ისტორიასა და მწერლობას.

1826 წელს პოეტმა გენერალ-მაიორის წოდება მიიღო. ამას მოჰყვა ყუბანის ჯარების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა. მის სამხედრო კარიერაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა 1827 წელი, როდესაც ალექსანდრემ რუსეთ-სპარსეთის ომში მიიღო მონაწილეობა და დაიპყრო თავრიზი. ამ პერიოდიდან ალექსანდრე ჭავჭავაძე ხან აზერბაიჯანშია, ხან — სომხეთში. 1828 წელს მონაწილეობს რუსეთ-ოსმალეთის ომში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1832 წელს რუსეთის იმპერიის წინააღმ-



ალექსანდრე ჭავჭავაძე

დეგ მოწყობილ შეთქმულებას. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაში. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, პოეტს შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში დიდი თანამდებობა უნდა დაეკავებინა. შეთქმულებასთან ალექსანდრე მთელი ოჯახით იყო დაკავშირებული. ცნობილია, რომ შეთქმულთა შორის მეტად პოპულარული ლექსი — გრიგოლ ორბელიანის „აიარალისა“ მისმა მეუღლემ, სალომემ გაავრცელა. მაგრამ შეთქმულება დამარცხდა და მის მონანილებს სასტიკად გაუსწორდნენ. სასჯელს ვერც ალექსანდრე ჭავჭავაძე ასცდა. იგი კვლავ ტამბოვში, მხოლოდ ახლა უკვე 4 წლით გადაასახლეს. მას სასჯელი არც იმუამად მოუხდია ბოლომდე — ცოტა ხანში იმპერატრიცას ნათლული (ეკატერინე მეორეს მიერ მონათლული) გაათავისუფლეს „ნარსულში დამსახურებისთვის“ და პეტერბურგში გაიწვიეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე სახელმწიფო სამსახურს დაუბრუნდა და მას შემდეგ რუსეთის იმპერიისადმი ორგულობაში შემჩნეული აღარ ყოფილა.

1838-1841 წლებში, როგორც საკარანტინო ზონის უფროსმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიდი მუშაობა გასწია სხვადასხვა ადგილას გამდვინვარებული შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1841 წლს პოეტს კვლავ აწინაურებენ — იგი გენერალ-ლეიტენანტი გახდა.

1842-1843 წლებში იგი ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას ასრულებს.

1843 წლს ალექსანდრე ჭავჭავაძე კახეთის მილიციის უფროსად დაინიშნა, რომლის შექმნის უშუალო მიზანი კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის — შამილის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. 1843 წლის 21 სექტემბერს იგი კავკასიისკენ დაიძრა და დაიპყრო დიდოეთი. ცნობილია ერთი საინტერესო ფაქტი ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ პერიოდის მოღვაწეობიდან. 1845 წელს თბილისში სტუმრად მყოფ მთავარმართებელ ვორონცოვისთვის

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ქართული გაზეთის დაარსება უთხოვია. 1845 წელსვე პოეტი ახლად დაარსებული სათეატრო კომიტეტის წევრი გახდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა იყო. მის სახლში გამუდმებით იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, თეატრალური წარმოდგენები, დისკუსიები საზოგადოებრივ საკითხებზე. შეკრებილნი კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს. ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის, იონა მეუნარგიას გადმოცემით, ქართული მუდმივი თეატრის შექმნის იდეა ალექსანდრეს ოჯახში ჩასახულა. სცენისმოყვარეთა პატარა წრეც ჩამოყალიბებიათ, რომლის სათავეში თავად პოეტი მდგარა. სწორედ ამ პერიოდში უთარგმნია მას პიერ კორნელის ტრაგედია „სიდი“, საოჯახო წარმოდგენაც მოუმზადებიათ, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი ალექსანდრეს უნდა შეესრულებინა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო წარმოდგენა ჩაშლილა.

რაც შეეხება ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახურ გარემოს, მას 1810 წელს შეურთავს სარდალ იონა ორბელიანის ქალიშვილი — სალომე ორბელიანი. მათ 4 შვილი, 14 შვილიშვილი და 31 შვილთაშვილი ჰყავდათ. უფროსი ქალიშვილი ნინო ჭავჭავაძე ცნობილი რუსი მწერლის — გრიბოედოვის მეუღლე იყო. მეორე ქალი — ეკატერინე — სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის — დავით დადიანის მეუღლე გახლდათ. მესამე შვილი იყო გენერალ-მაიორი დავითი, მეოთხე კი — სოფიო — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბარონ ნიკოლაის მეუღლე გახლდათ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სრულიად მოუღლოდნელად გარდაიცვალა. 1846 წლის 6 ნოემბერს პოეტი ვორონცოვის დაბადებისადმი მიძღვნილ ნადიმზე იყო მიწვეული. დღის პირველ საათზე სახლიდან ახალი გამოსული, საპარადოდ გამოწყობილი ალექსანდრე ჭავჭავაძე ეტლით მიემგზავრებოდა ვორონცოვთან. გზად მიმავალს, ახლანდელი ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში, ეტლში შებმული ცხენი

დაუფრთხო ბინიდან გადმოღვრილმა წყალმა. პოეტი შეეცადა მეტლეს მიშველებოდა. ალექსანდრე წამოდგა, უნდოდა აღვირს სწვდომოდა, მაგრამ შინელის კალთა ბორბალმა ჩაიხვია, ეტლიდან გადმოვარდა და თავით ფილაქანზე დაეცა. გონიასული პოეტი მეორე დღეს დილის 9 საათზე გარდაიცვალა საკუთარ სახლში. მესამე დღეს მთელმა თბილისმა გააცილა პოეტის ნეშტი კახეთში. დაკრძალეს შუამთის მონასტერში — საგვარეულო აკლდამაში. მის საფლავზე დადებულია ქვა, რომელსაც აწერია: „მარად უვიწყოსა სიმამრისა სამარესა დავსდე ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმან“.

ასეთი წინაპარი ჰყავდა მერაბ კოკოჩაშვილს, რომლის დედაც ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილი იყო პოეტის ერთადერთი ვაჟის — დავით ჭავჭავაძის ხაზით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ.

„ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩემთვის ყოველთვის იყო მაგალითი, როგორ უნდა მოქცეულიყო ქართველი ადამიანი, შეიძლება ასეც ითქვას. ის ორჯერ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული რუსეთში: ერთხელ, სრულიად ახალგაზრდა, 18 წლის ასაკში, მაშინ, როდესაც რუსეთმა გააუქმა მეფობა საქართველოში და ის რუსეთის გუბერნიად აქცია. მაშინ სწორედ მამამ იხსნა დიდი ბრძოლით იგი პატიმრობიდან. ამის შემდეგ ალექსანდრე ამთავრებს სასწავლებელს, სადაც ეუფლება ევროპულ კულტურას და სამხედრო საქმეს, რაც მისი ცხოვრების მომავალი ხდება. ამის შემდეგ იწყება ომი ნაპოლეონთან. საინტერესოა ისიც, რომ იგი იღებს მონაწილეობას ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ნაპოლეონი თავს ესხმის რუსეთს, ე.ი. რუსეთს ართმევს რუსეთობას, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამავე დროს, ის ებმება იმ ომებში, რასაც რუსეთის იმპერია ანარმოებს და მასთან ერთად იბრუნებს საქართველოს და სომხეთის იმ რეგიონებს, რომელიც წარმეული ჰქონდა ჩვენს ქვეყანას იმ დროისთვის. მიუხედავად ამისა, როცა ალექსანდრე გრძნობს იმ ზეწოლას და იმ საშინელ მდგომარეობას, რაც ქართველ ხალხს, გლეხობას, მოსახლეობას აქვს რუსეთის იმპერიის გამო, იგი ხელმეორედ იღებს 1932 წლის აჯანყებაში მონაწილეობას. მას კვლაც პა-

ტიმრებენ, კვლავ ასახლებენ. ამის შემდეგ ალექსანდრე წერს წერილს რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს, სადაც უხსნის, რომ ძალადობით საქართველოში ვერაფერს მიაღწევენ, რომ ეს დიდი კულტურის ქვეყანაა, რომელსაც თუ ადამიანურად მოექცევი, ამ შემთხვევაში გაცილებით დადებითის მომტანი შეიძლება გახდეს რუსეთისთვის. ალექსანდრე მოუწოდებს იმპერატორს, რომ პატივისცემაა საჭირო დიდი კულტურის მქონე იმ ხალხისთვის, ვისაც ქართველი ჰქვია. და რუსეთის იმპერიამ ეს ამბავი ნაწილობრივ მაინც გაიგო. ამას მოჰყვა გიმნაზიის შექმნა საქართველოში, გაზეთების გამოცემა, ქართული თეატრის პირველი დადგმა... იტალიური ოპერაც კი შეიქმნა... რატომ ვამბობ ამას, იცით? ეს იყო პიროვნება, რომელსაც ქართული კულტურის, ქართული იდენტობის შენარჩუნება და დაცვა აუცილებლობად მიაჩნდა და ამას აკეთებდა ის ყოველთვის, ყველგან. შთამომავლობისთვის ეს ისეთი მაგალითია, რომ აბსოლუტურად გამორიცხულია, ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნებასთან დაკავშირებულ საქმეებს ზეგავლენა არ მოეხდინა ჩემზე. ამიტომ იქცა იგი იმ მაგალითად, რომლისთვისაც უნდა მიმებაძა. სხვანაირად არ შეიძლებოდა“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

მერაბ კოკოჩაშვილის ბებია — ნინო ჭავჭავაძე საქართველოში რუსეთის მეფისნაცვლის კარზე ფრეილინა ყოფილა. ის ცოლად გაჰყვა დავით ჯორჯაძეს — ერთ-ერთ პირველ ქართველ ინჟინერს. საქორწინო საჩუქრად მათთვის მეფის ნაცვალსა და მის მეუღლეს დიდებული ფრანგული სერვიზი მიურთმევიათ. ამ სერვიზიდან შემორჩენილი ნივთები, სხვა საგვარეულო რელიკვიებთან ერთად, დღემდე სათუთად ინახება კოკოჩაშვილების ოჯახში. მაგრამ, ნივთებზე ძვირფასი მერაბ კოკოჩაშვილისთვის მოგონებებია...

• • •

დავით ჯორჯაძის სახელი დაკავშირებულია ქვეყნისათვის მრავალ სასიკეთო საქმესთან, მათ შორის, „ქართული თეატრის“ და პირველი ქართული უნივერსიტეტის შენობის მშენებლობასთან. ჭავჭავაძის გამზირზე, უნივერსიტეტის



მერაბ ჯორჯაძე

წინ დღესაც დგას ჭადარი, რომელიც, დავით ჯორჯაძეს, პატივისცემის ნიშნად, უნივერსიტეტის მშენებლობის დასრულებისას დაარგვევინეს.

დრამატული იყო დავით ჯორჯაძის ვაჟის – მერაბის ბედი, რომელიც მერაბ კოკოჩაშვილის ბიძა გახლდათ და რომლის სახელიც დაარქვეს მას. მერაბ ჯორჯაძეს – უნიჭიერეს ახალგაზრდას, განათლებით ეკონომისტს – წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ საქართველოს ისტორიის ჩარხი სხვა მიმართულებით დატრიალდა. 1924

წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად აჯანყებაში მონაწილეობისათვის მერაბ ჯორჯაძე დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენის სისრულეში მოყვანას დუშეთის ციხეში ელოდებოდა. ღამით ქაქუცა ციხეს თავს დაესხა და პატიმრები გაათავისულა. მერაბ ჯორჯაძე მას გაჰყვა ჯერ სტამბოლში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში. მერაბ ჯორჯაძე ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, იქ უმაღლესი სამხედრო აკადემია დაამთავრა, მაგრამ სამხედრო სამსახურის დასაწყებად საფრანგეთის მოქალაქეობა უნდა მიეღო, რაზედაც მან თვითონ თქვა კატეგორიული უარი, რადგან თვლიდა, რომ ის საქართველოს მოქალაქე იყო. 1937 წელს ესპანეთში წავიდა და იქ იბრძოდა ფრანკოს წინააღმდეგ, ოლონდარა რესპუბლიკელების, არამედ აბსოლუტიზმის მხარეზე. ფრანკოს გამარჯვების შემდეგ იქაც დაპატიმრება ელოდა და იძულებული გახდა საფრანგეთში დაბრუნებულიყო. მეორე მსოფლიო ომი უკვე დაწყებული იყო. საფრანგეთ-

ში პეტენის მთავრობა დახვდა. მერაბ ჯორჯაძე დაპატიმრეს და ლუქსემბურგის საზღვართან დატოვეს...

„ერთობ კომიკურ სიტუაციაში ჩავარდნილა ბიძაჩემი. „ფერნანდელის გმირივით“ ცალი ფეხი ლუქსემბურგში ჰქონდა, ცალი — საფრანგეთში და ასე დადიოდა ამ ორი ქვეყნის საზღვარზე. ბოლოს უთხოვია — დამარეკინეთო. თხოვნა შეუსრულეს. ცოტა ხანში უზარმაზარი მანქანა მოსრიალდა, ბიძაჩემი დიდი პატივით სალონში შეიპატიუეს და სადღაც წაიყვანეს. თურმე ლუქსემბურგის პრინცთან დაურეკია, რომელთან ერთადაც პარიზის სამხედრო აკადემიაში უსწავლია. მეგობრობამ ასეთი სამსახური გაუწია. მალე პრინცმა ბიძაჩემი ბელგიაში გადაიყვანა, სადაც ის 1943 წელს გარდაიცვალა. მას იქ მეუღლე დარჩა — ოლგა შერბატოვა. მასთან ურთიერთობის დამყარება მხოლოდ 80-იანი წლების მეორე ნახევარში მოხერხდა“, — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

• • •

არანაკლებ შთამბეჭდავია კოკოჩაშვილთა საგვარეულოს ისტორია. ამ გვარის სხვადასხვა წარმომადგენლებს საქართველოსთვის დიდი სამსახური გაუწევიათ და ადამიანებისთვის ბევრი კეთილი საქმე უკეთებიათ.

„ძალიან მიყვარდა ჩემი წინაპრების ამბების მოსმენა და ახლა სხვებს სიამოვნებით ვუამბობ... ერთხანს კოკოჩაშვილების გვარის წარმომავლობით დავინტერესდი. რატომ-დაც მეგონა, რომ ჩვენი გვარი სიტყვა „ყოჩიდან“ მოდიოდა. თურმე ვცდებოდი. როგორც ბაბუაჩემმა მითხრა, ჩვენი წინაპარი საზანოელი აზნაური ქაქუჩა (ქაიხოსრო) ქოჩეჩაშვილი ყოფილა. იგი, თუ არ ვცდები, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ელჩობას გაჰყოლია თურქეთში. სტუმრობა კარგა ხანს გრძელდებოდა: მიღება, საუბარი, მერე პურ-მარილი და ასე გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში. ახალგაზრდა აზნაურებს, როგორც ჩანს, ეს ერთთვეროვნება მოსწინდათ და დაიწყეს აქეთ-იქით „ძრომიალი“. ჩვენი ქაქუჩა გამუსულ-მანებულ ქართველ ქალს გამიჯნურებია და ყოველდღე მასთან დადიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შეუსწრეს... ატყდა

ერთი ამბავი, ხმლების ტრიალი. ქაქუჩას ძლივს გამოუღწევია და გარეთ გავარდნილა, მაგრამ ქუჩაში დამბაჩების სროლით გაედევნენ. ქაქუჩას ერთი სახლის ლია კარი დაუნახავს და შევარდნილა. იქ თურმე კათოლიკური მისია ყოფილა. ბერები ბმა კარი ჩარაზეს და მდევარი არ შეუშვეს, მაგრამ ბერები-სგან თავის დაღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა: მისის შენობა ერთი კვირის განმავლობაში მის გამო აღყაში იყო. ფანჯრი-დან დაუნახავს, როგორ შესხდნენ მისი თანამემამულები ცხ-ენებზე, ხელი დაუქნიეს და ელჩობა საქართველოსკენ გზას გაუდგა.

გავიდა დრო და კათოლიკე ბერების დახმარებით თავგა-დასავალგამოვლილი იმერელი აზნაური შინ დაბრუნდა. ამ ვიცი, როგორ შეხვდა მისი ოჯახი ამ ამბავს, მაგრამ ფაქტია, რომ ქაქუჩას გულმა კვლავ ახალციხისკენ გაუნია. როგორც ჩანს, ის ქალი შეჰყვარებია. წასულა, სატრფო მოუნახავს, კა-თოლიკე ბერებისთვის მადლობის ნიშნად კათოლიკობა მი-ულია, ქალიც ქრისტეს რჯულზე მოუქცევია და ცოლად შეურ-თავს. ასე გავხდით კოკოჩაშვილები და კათოლიკები. ქაქუჩას ბევრი შვილი ჰყოლია, ძლიერი და შეძლებული ოჯახი შეუქმ-ნია, ვაჭრობისთვის მიუყვია ხელი. შემდეგში ოჯახობით საქა-რავნე გზებით დადიოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მრავალი ფათერაკი გამოუვლიათ, ინდოეთა მდეც მიუღწევიათ.

ამ მრავალშვილიანი ოჯახის ერთ-ერთი შტოს შთამომავ-ლები საქართველოში წამოსულან, ქუთაისში დამკვიდრებუ-ლან და აქ ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებიათ.

ქუთაისში პირველი აფთიაქი კოკოჩაშვილებისა იყო. ეს აფთიაქი პეტრე-პავლე კოკოჩაშვილს დაუარსებია. აქ, სხ-ვადასხვა წამალთან ერთად, ტკბილი წყალიც იყიდებოდა. ამ აფთიაქში დაუწენია მუშაობა პატარა ბიჭს, რომელიც თურმე გულმოდგინედ სწავლობდა რეცეპტებს. ეს ბიჭი მიტროფანე ლალიძე იყო...

კოკოჩაშვილების განათლებულ ოჯახში სხვადასხვა პროფესიას მისდევდნენ. მათ შორის იყვნენ ექიმები, მოსა-მართლეები, ადვოკატები... ბაბუაჩემი — ვასილ კოკოჩაშ-ვილი ადვოკატი იყო. დღემდე შენახული მაქვს მისი პორტ-

სიგარი მადლიერი წარწერით. ეს ნივთი მას კაცმა აჩუქა, რომელიც ბაბუაჩემმა ციხისგან იხსნა. ბებიაჩემი, ვასილის მეუღლე — ლუჩია ყაუჩხიშვილი-კოკოჩაშვილისა, ქუთაისში ქალთა გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო....“ — ამ-ბობს მერაბ კოკოჩაშვილი, რომელსაც ზედმინევნით შეუს-წავლია წინაპრების თავგადასავლები და საგმირო ამბები, რითაც ამაყობს.

სწავლა და პრაქტიკა „ვგიკში“ და მეგობრების დაარსებული კომუნა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 50-იან წლებში, კინოინ-დუსტრიაში დიდი ცვლილებების ხანა დაიწყო, რამაც ქარ-თულ კინოზეც მოახდინა გავლენა. ამ დროს წარმოჩინდნენ სწორედ ახალგაზრდა რეჟისორები — რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, შემდეგ უკვე ელდარ შენგელაია, თამაზ მელიავა და სხვები... მერაბ კოკოჩაშვილიც ამ თაობას მიეკუთვნება. როგორც მერაბ კოკოჩაშვილისგან ვიგებთ, კინო მისი გად-აწყვეტილება იყო, რადგან ამ პერიოდში ახალგაზრდობა სწორედ კინოფილმებით სულდგმულობდა.

„40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში კინო საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი უძლიერესი საშუალება იყო. რუსთაველი იყო კინო-თეატრების პროსპექტი. მაშინ რუსთაველის პროსპექტზე 10 კინო-თეატრი მაინც ფუნქციონირებდა. ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში აუარებელი უცხოური ფილმი შემოვიდა. საშუალება გვქონდა, ყოველ ორშაბათს ახალი ფილმი გვენახა, რაც ჩვენზე მოქმედებდა და შთაბეჭდილების ქვეშ გვაქცევდა. ინტერესი იმხელა იყო, რომ ზოგჯერ სკოლის მაგივრად კინოში მივდიოდით დილის სე-ანსზე. ყოფილა შემთხვევა, როცა კინოსეანსის დროს, უცებ, ანთებულა შუქი და კარებში მდგომი სკოლის დირექტორი დაგვინახავს. მერე ყველას სკოლაში მიგვერეცებოდა გა-კვეთილებზე. ასე რომ, კინო მაშინ ძალიან დიდი პოპულარ-ობით სარგებლობდა. თანაც ბევრი საინტერესო ქართული ფილმი გამოვიდა. „ქეთო და კოტე“ 5-6-ჯერ მაინც მქონდა

ნანახი. ვფიქრობ, ამ გატაცებამ დიდი ზეგავლენა იქმნია ჩემი პროფესიის არჩევაზე”, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

•••

მერაბ კოკოჩაშვილი 1953 წელს მოსკოვში წავიდა და მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩაირიცხა. ე.ნ. „ვგიყი“ კინორეჟისორის კვალიფიკაციით მან 1961 წელს დაამთავრა.

ერთადერთი ვაჟიშვილის მოსკოვში გაგზავნაზე დედა თავიდას უარზე იყო, მაგრამ მეზობელმა უშანგი ჩხეიძემ ქალბატონი მარინე დაარწმუნა მერაბ კოკოჩაშვილის რუსეთში გაშვების აუცილებლობაში.

„დედას ძალიან არ უნდოდა ჩემი გაშვება მოსკოვში. ერთადერთი შვილი ვყავდი. ჩვენს მეზობელთან უშანგი ჩხეიძესთან ხშირი საუბრები გვქონდა ხოლმე და მან უთხრა დედას – ძალიან უნდა წასვლა და არ შეიძლება აკრძალვა, გაუშვიო. დედამ დაუჯერა და ასე მოვხვდი მოსკოვის ინსტიტუტში“, — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.



მოსკოვში ჩასვლისთანავე მერაბ კოკოჩაშვილმა თავის „კინემატოგრაფიულ ნათლიას“ – მიხეილ ჭიაურელს მიაკითხა და მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩაბარების სურვილი გაანდო. მიხეილ ჭიაურელს მისი განზრახვა არ მოსწონებია და უთქვამს: — შენც და შენი მეგობრებიც სულელები ხართ, ფილმებს მაინც არავინ გადაგაღებინებთ. სულ ოც სურათს ვიღებთ და ყველაფერი განაწილებულიაო. ჭიაურელს მერაბ კოკოჩაშვილისთვის იმ 20 რეჟისორის გვარიც ჩამოუთვლია, ვისაც უახლოეს წლებში ფილმები უნდა გადაელო.

„ყურები ჩამოვყარე და წასვლა დავაპირე. გამაჩერა. — თუ გინდა, ხუთ წუთში გეტყვი იმას, რაც ხუთი წლის განმავლობაში უნდა ისწავლოო, — მითხრა. სმენად ვიქეცი. — იმისათვის, რომ რეჟისორი გახდე, სამი რამ არის საჭირო, — მიხსნიდა მიხეილ ჭიაურელი. — უპირველეს ყოვლისა, საჭიროა „ერთი ადგილი“ (რბილად ვამბობ, თორემ ბატონი მიშა ყველაფერს თავის სახელს არქმევდა) და რადგან ამ სიშორეს ჩამოეთრიე, ესე იგი ეს „ერთი ადგილი“ გქონია; მეორე — უნდა გქონდეს ზურგი. იცი რა არის ზურგი? (თვალები მორცხვად დავხარე, ვინაიდან მისი დახმარების იმედი მქონდა). ბატონი მიშა გაინია და მის უკან კედელზე სტალინის სურათი დავინახე რუსული ნარწერით — „ძვირფას მიშას! იოსებ სტალინი“. აი, ეს არის ზურგიო, — მითხრა. წასვლა რომ დავაპირე, გამაჩერა — ბარემ, მესამე პირობასაც გეტყვიო. — მესამე ნიჭია, — მითხრა და დაამატა: — მოთმინება... მოთმინება... და კიდევ მოთმინება...

მიხეილ ჭიაურელისგან წამოსულმა მერაბ კოკოჩაშვილმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და ინსტიტუტში ჩაბარებითა და სწავლით სამი პირობიდან ორი მაინც შეასრულა. მან ყველას აჩვენა, რომ „ერთი ადგილი“ ნამდვილად ჰქონდა და ნიჭმაც ხელი შეუწყო — წარმატებული კინორეჟისორი დამდგარიყო.

„სხვათა შორის გამოცდები კარგად ჩავაბარე და, სამწუხაროდ, პირველ ჯერზე, სიაში არ მოვხვდი. მივმართე დეკანატს და ვიკითხე — უმაღლესი ქულები მაქვს და სიაში

რატომ არ ვარ-მეთქი. მითხრეს — შენ კიდევ ერთი გამოცდა უნდა ჩააბაროო. დამიბარეს. მივედი და სამანდატო კომისიის წევრებმა მამაზე დამინიჭეს საუბარი. 1953 წელია და ჯერ არ იყო მამა რეაბილიტირებული. გამომკითხეს — რას აკეთებდა მამა? ვუთხარი, რომ მუსიკოსი იყო და ვიოლინოზე უკრავდა. — სხვა არაფერიო? — ჩამაცივდნენ დაკვირვებით. — მე მხოლოდ ეს ვიცი-თქო, — ვუპასუხე. დამანებეს თავი და მეორე დღეს უკვე სიაში ვიყავი. ბატონი მიშას გავლენა რომ არა, შესაძლოა ჩემი ოჯახის „წარსულის“ გამო ინსტიტუტში ვერც მოვხვედრილიყავი...

ამ დროს ამ ინსტიტუტში საკმაოდ ბევრი ქართველი სწავლობდა. ლევან პაატაშვილს, რეზო ჩხეიძესა და თენგიზ აბულაძეს უკვე დამთავრებული ჰქონდათ ეს სასწავლებელი. მე როცა ჩავაბარე, იქ მაშინ ელდარ შენგელაია, თამაზ მელიავა სწავლობდნენ. თბილისიდან კიდევ რამდენიმე რუსი და სომები იყო. სასწავლებლად ჩამოვიდნენ გიორგი შენგელაია, ოთარ იოსელიანი, ბაადურ წულაძე, ლანა ლოლობერიძე, გენო წულაია და ქართველებისგან ერთი დიდი „კომუნა“ შეიქმნა. ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ჯგუფებში ვიყავით. ისე სწრაფად გვეხარჯებოდა ფული, თითქმის სულ მშერი ვიყავით. საღამოობით ერთად ვიკრიბებოდით. ფიქრებით ჩვენ ერთი წუთით არ მოვცილებივართ საქართველოს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სულ თბილისში ვიყავით. ჩვენი ნამუშევრებიც ქართულ თემატიკასთან ძალიან ახლოს იყო.

ძალიან კარგი განათლება მივიღეთ. ყველანი წამოვედით საქართველოში. სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულები მოსკოვში რჩებოდნენ, რადგან იქ სამუშაოს შოვნის მეტი შანსი ჰქონდათ. ჩვენ კი ყველა წამოვედით და ყველამ მუშაობა საქართველოში დავიწყეთ. მთელ თაობას — ელდარ შენგელაიას, ოთარ იოსელიანს, ლანა ლოლობერიძეს, გიორგი შენგელაიას, მიშა კობახიძეს, საშა რეხვიაშვილს, რეზო ესაძეს საქართველოს გარეშე ვერ წარმოედგინათ ფილმების გადაღება“, — ამბობს მერაპ კოკოჩაშვილი.

რეჟისორი ელდარ შენგელაია კი კომუნის შექმნის ისტორიას ასე იხსენებს: „ჩვენ ყველანი საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით. ხომ იცით, სტუდენტებს საკვებზე ფული არასდროს ჰყოფნით. მოგეხსენებათ სტუდენტური ცხოვრების „მატერიალური სიდუხჭირე“. ჩვენი ყოფის „ეკონომიკის“ მოსაწესრიგებლად „კომუნა“ შევქმნით. ერთ დღესაც მერაბმა წამოაყენა საკითხი — მოდი, შევქმნათ კომუნა და ერთად ვჭამოთო. დაინიშნენ მინისტრები. მე დამნიშნეს პრემიერ-მინისტრად, მერაბი იყო ფინანსთა მინისტრი. „თანამდებობები“ რომ ჩამოვარიგეთ, ბორის ანდრონიკაშვილი „უპორტფელოდ“ დაგვრჩა. ნაწყენმა იკითხა: — აბა, მე ვინ ვიქნებიო. შენ „ხალხი“ იქნებიო, — მიუჩინა ადგილი თამაზ მელიავამ. ერთი სიტყვით, ვამზადებდით საჭმელს და ვინანილებდით ყველაფერს. ჩვენს კვებაზე პასუხისმგებელი კომუნაში პეტ ლეპიკი იყო. ერთხელ უცნაური ალუბლიანი პურის სუპი გვაჭამა. საშინლად არ მოგვეწონა. რომ ვეითხეთ — რაშია საქმე-თქო, პეტმა გვიპასუხა: — აი, ხვალ უალუბლო პურის სუპს მოგართმევთო. თურმე ჩვენმა „ხალხმა“ — ბორის ანდრონიკაშვილმა საერთო ფული ისესხა და უკან არ დააბრუნა. ერთ დღეს მოვიდა ბორია ანდრონიკაშვილი (უკვე ფული აღარ გვყოფნიდა) და თქვა — ეს კომუნა უნდა დაიშალოს და მართლა დაიშალა. ასეთი ისტორია აქვს ჩვენს კომუნას“.

პირველი ნაბიჯები კინორეჟისურაში

სტალინის შემდგომი ეპოქის პირველი ათწლეული პიროვნული „მეს“ გათავისუფლების ნიშნით წარიმართება. 60-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა შესაძლებლობა, რომ კინოეკრანებზე წამოენიათ ეროვნული ხასიათების მატარებელი გმირები და რეალობა, რომელიც აღარ იფარებოდა დავარცხნილი, გამოგონილი სამყაროთი. ქართულ კინოში მოვიდა ახალი თაობა, რომელიც გაერთიანებული იყო არა პროგრამით, არამედ ერთსულოვანი მისწრაფებით — ქართულ ეკრანზე შექმნა გმირი, რომელშიც მთელი თავისი სილრმითა და

მრავალფეროვნებით ხორცს შეისხამდა ეროვნული ხასიათი. ეს პრინციპი მერაბ კოკოჩაშვილმა ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას პრაქტიკული სამუშაოების წარმართვისთანავე დაწერგა. მან საკურსო ნამუშევრის თემად ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი“ აირჩია, ვაჟას პოეტური პროზის ეს პატარა შედევრი სხვა მოთხოვების მოტივებით განავრცო და ათწუ-თიანი ფილმის სცენარი დაწერა. ინსტიტუტიდან მივლინება და კამერა მიიღო და დამწყებ ოპერატორებთან — მიხეილ არდაბიევსკისთან და სერგო ჭავჭავაძესთან ერთად საქა-რთველოში გამოემგზავრა. გადაღება ზედაზენზე და პოეტის მშობლიური სოფლის ჩარგლის მიდამოებში მიმდინარეობდა. ვაჟას პოეტური სამყაროს ვიზუალურ სახეებად ამეტყველ-ება ადვილი ამოცანა არ იყო, მაგრამ ვაჟასეული სამყაროს ეკრანზე გადატანის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ კარ-გი ფილმი გამოვიდა. 1960 წელს სწორედ ამ ფილმზე წერდა აკაკი ბაქრაძე: „თუ რეჟისორს შეუძლია ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებში დამალული კინემატოგრაფიულობის აღმოჩენა, მაშინ თითქმის ყოველი ჭეშმარიტი (ამ სიტყვას ხაზს ვუსვამ, რადგან ზოგჯერ ლიტერატურულად მაკულატურა საღდე-ბა) ლიტერატურული ქმნილება ალაპარაკდება კინოს ენაზე. სტანდარტული კინემატოგრაფიულობის თვალსაზრისით, ვაჟას „ხმელი წიფელი“ არაკინემატოგრაფიული ნაწარმოე-ბია, მაგრამ რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა გადაიღო იგი და კარგი ფილმი გამოვიდა“ (გაზეთი „თბილისი“, 26.02.1960). ეს იყო პირველი და წარმატებული ნაბიჯი, თუმცა ყველაფერი ასეთივე წარმატებით არ გაგრძელებულა...

1959 წელს მერაბ კოკოჩაშვილმა დიპლომისთვის მზადე-ბა დაინტერეს და შეარჩია კიდევ მიხეილ ჯავახიშვილის ნოველა — „მუსუსა“, მაგრამ სცენარი დაიწუნეს — მიხეილ ჯავახიშვ-ილის ნოველა ანტიეროვნულია და მისი გმირები ისე არ იქცე-ვიან, როგორც ქართველობას შეეფერებაო... „მაშინ, 1956 წელს, როცა ფილმის სცენარი დავწერე, მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ არ იყო რეაბილიტირებული და, ფაქტობრივად, მისი გადაღება ამიკრძალეს. ფილმის გაკეთება მხოლოდ და მხოლოდ 7 წლის შემდეგ, 1964 წელს მოვახერხე და 1965 წელს

გამოვიდა ის „ეკრანებზე“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

როცა ჯავახიშვილის ნოველაზე მუშაობა ვეღარ გაა-გრძელა, რეზო თაბუკაშვილმა თურმე მერაბ კოკოჩაშვილს შესთავაზა: — ოთარ აბესაძე იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმს „კარდაკარ“ (დავით კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძის“ მიხედვით), მე შევავსებ სცენარს და ორივემ ერთად გა-დაიღეთ სრულმეტრაჟიანი ფილმი, დიპლომის გარეშე მაინც არ დარჩებიო... სცენარის ავტორი რეზო თაბუკაშვილი იყო. სწორედ მან შესთავაზა სტუდიას ფილმის მოცულობარვა ნაწ-ილამდე გაეზარდათ, რაც შესაძლებელს გახდიდა — ფილმს ორი დამდგმელი რეჟისორი ჰყოლოდა. ამ გადაწყვეტილე-ბამ მერაბ კოკოჩაშვილს დიპლომის დაცვის საშუალება მის-ცა. იგი დათანხმდა შემოთავაზებას, გადაიღო კიდეც ყვე-ლაფერი, მაგრამ ფილმმა ნარმატება ვერ მოუტანა დამწეულებრეჟისორებს. „სცენარის ხელოვნურად განელვამ და ფილმის გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ ფილმი ცუდი ალსაქმელი გახდა. ჩვენც ვგრძნობდით თავად, რომ ფილმს ხარვეზები ჰქონდა. ამიტომ შევამოკლეთ და დიპლომი ამ ფორმით დავ-იცავით. ამ ფილმს თავისი დადებითი მხარე მაინც ჰქონდა — მასში შესანიშნავი სამსახიობო გუნდი მონაწილეობდა — გრიგოლ ტყაბლაძე, სესილია თაყაიშვილი, გიგოლო თა-ლაკვაძე, ნინო ჩხეიძე... ფილმზე მუშაობამ ძალიან დიდი გა-მოცდილებაც შეგვძინა და, ამდენად, არ ვფიქრობ, რომ მისი გადაღება შეცდომა იყო“, — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

არდადეგებზე


მერაბ კოკოჩაშვილის 1961 წელს ამთავრებს მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტს კინორეჟისორის კვალიფიკაციით და საქართველოში ბრუნდება.

1962 წელს იგი იღებს ფილმს — „არდადეგებზე“, რომელ-იც მის სადებიუტო ფილმად შეიძლება ჩაითვალოს. ფილმს რევაზ ინანიშვილის მოთხოვნა („სასაცილო“) ედო საფუძ-ვლად. სცენარი მწერლის სხვა მოთხოვნებიდანაც შეივსო

ახალი ეპიზოდებით, რას-აც რეჟისორის ბავშვობის მოგონებებიც დაერთო. „არდადეგებზე“ დღესაც საუკეთესო საბავშვო ფილმად რჩება ქართულ კინოში. თუმცა „დესპოტი“ მამის და „ურჩი“ შვილების სასაცილო ამბავი იმ დროისათვის არც ისე „უწყინარი“ აღმოჩნდა. ეს არ იყო მხოლოდ მხიარული მოთხრობა სოფლად გატარებულ, თავგადასავლითა და შთაბეჭდილებებით სავსე ზაფხულის ერთ დღეზე. მოზარდის შეურყვნელი მზე-რით აღმოჩნილი ცოცხალი რეალობა, ნამდვილი, ბუნებრივი ცხოვრება გახევებულ, დოგმების მარწუხებში მოქცეულ „აკრძალვების სამყაროს“ დაუპირისპირდა. დღევანდელი გადასახედიდან, ფილმის სათაურიც ერთობ სიმბოლურად უდერს იმ ხანის მიმართ, რომელშიც სულ მცირე ხნით თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობის იმედი გაჩნდა.

იმედის გაცრუება განსაკუთრებით მტკიცნეული აღმოჩნდა ხელოვანთათვის, ვინაიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ დადგენილებას ცენზურის გამკაცრება და კინოჩინოვნიკთა დიქტატის გაძლიერება მოჰყვა.

„არდადეგებს“ მოსკოვში აგრესიულად შეხვდნენ, დაუშვებლად მიიჩნიეს მამის ასეთი სახით გამოყვანა. ყველას გვახსოვს სრულიად უწყინარი ფილმი, რომელიც ქალაქელი ბავშვების ბებიასთან სტუმრობას ეხება და რომელშიც შესანიშნავი სახე შექმნა გოგი გეგეჭკორმა (პედანტი მამა, რომელსაც სურს შვილებიც ასე გაზერდოს). მასალას პერიოდულად მოსკოვიდან ჩამოსული რედაქტორები ნახულობდნენ. ერთ-ერთი ჩამოსვლისას მერაბ კოკოჩაშვილი მინასთან



გაასწორეს, რადგან ფილმში არ ფიგურირებდა პიონერთა ორგანიზაცია, რომელიც მამისა და შვილების კონფლიქტში დროულად ჩაერეოდა.

„კინომცოდნები თვლიან, რომ ჩემი პირველი ფილმი — „არდადეგებზე“ — კარგი საბავშვო ფილმია, მაგრამ ეს ფილმი მოსკოვმა ძალიან ცუდად მიიღო. ფილმმა მხოლოდ მესამე კატეგორია დაიმსახურა. სწორედ მაშინ შემეხო პირველად ცენზურა. მოსკოვიდან ჩამოსულმა რედაქტორმა თქვა: — ფილმში არც კომკავშირია, არც პიონერია, მამის და შვილების ურთიერთობა ძალიან მწვავე არის; მოკლედ, საბჭოთა ფილმს არ გავსო. როცა ჩვენება დასრულდა და ეს საუბარი დაიწყო, ვგრძნობდი, რომ ცუდად გავხდი. იმ დღეს სავადმყოფოში მოვხვდი, ისე ვინერვიულე. ეს იყო პირველი ცენზურის ზეგავლენა. მე ჯერ გამოცდილი არ ვიყავი — რას ნიშნავდა ცენზურა. მერე უკვე გაცილებით იოლად ვიტანდი აკრძალვებს. ასეა თუ ისე, პირველმა ფილმმა დიდი დარტყმა მიიღო, თუმცა საქართველოში დღემდე უჩვენებენ მას და სიამოვნებით უყურებენ“, — ამბობს რეჟისორი.

• • •

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მერაბ კოკოჩაშვილი 1958 წელს მივიდა და დღემდე მისი რეჟისორია. იმ პერიოდში კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სამხატვრო საბჭო შეიცვალა. „ვგიკიდან“ ახალი თაობის მეორე ტალღა მივიდა, მერაბ კოკოჩაშვილის პოზიციებიც გაძლიერდა და „მიხას“ გადაღების საშუალებაც გაჩნდა. ოთარ ქინქლაძეს, რომელიც იმ დროს კომიტეტის თავმჯდომარე იყო, უკითხავს კიდეც მერაბ კოკოჩაშვილისთვის, რატომ არ იღებდა ფილმს, რომლის სცენარიც უკვე გამზადებული იყო. ამ პერიპეტიების შემდეგ რეჟისორმა „მიხა“ გადაიღო. ფილმში მოვლენები ასე ვითარდება: ჯარიდან დაბრუნებული მიხა შეიტყობს, რომ მის შეყვარებულს ფეფელოს მდიდარ საქმროზე გათხოვებას უპირებენ. ფეფელოს მამას გადაწყვეტილებას რომ ვერ შეაცვლევინებენ, შეყვარებულები გაქცევას გადაწყვეტინ, თუმცა შორს ვერ წავლენ და მდევრისგან თავის დასალნევ-

ად თავლაში შეიკეტებიან. გამოსავალი აღარ არის — თავლის გარშემო შეკრებილი თანასოფლელების თვალწინ ფეფულო მიხას ცოლი გახდება. ფილმი გადაღებულია მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მუსუსის“ მიხედვით. „მიხა“ ეკრანებზე 1965 წელს გამოვიდა. მთავარ როლებს ასრულებდნენ მანანა ბახტაძე, ზურაბ ქაფიანიძე, მიხეილ ჩუბინიძე, ავთანდილ მახარაძე, ალექსანდრე კუპრაშვილი, ეკატერინე ვერულეიშვილი, ირაკლი ქოქრაშვილი. ფილმი მაყურებელმაც კარგად მიიღო და პროფესიონალთა მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

მერაბ კოკოჩაშვილს „მიხა“ მის ფილმებში ყველაზე უფრო „სრულყოფილ და აწყობილ“ ფილმად მიაჩნია. ამასვე წერენ კრიტიკოსები სხვადასხვა გაზიარებით აღსანიშნავია გურამ ასათიანის რეცენზია, რომელიც 1966 წელს გამოქვეყნდა. იგი წერს: „ჩემი ფიქრით, კოკოჩაშვილის ამ ფილმშიც, როგორც „არდადეგებშიც“, არის სოფლური ყოფა-ცხოვრების, ადამიანთა სადა ურთიერთდამოკიდებულების, ჯანმრთელი ზნეობის, მყარი ადათ-ჩვეულებების თავისებური აპოლოგია... ჩემთვის მთავარია, რომ მერაბ კოკოჩაშვილისთვის, როგორც ხელოვანისთვის, ეს თავისებური პოზიცია უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან ბიძგი მისცა რეჟისორს ნამდვილად საინტერესო, ცოცხალი სახეების შესაქმნელად.“

დიდი მწვანე ველი

50 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეკრანებზე მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი“ გამოვიდა. ფილმი 2006 წელს ქართველმა კრიტიკოსებმა „საუკეთესო ქართული ფილმის“ ჩამონათვალში პირველ ადგილზე დაასახელეს. „დიდი მწვანე ველი“ 1996 წელს კინოს ასი წლისთავისადმი მიძღვნილ პეზაროს საიუბილეო ფესტივალზე შეტანილ იქნა მსოფლიოს 100 საუკეთესო და ნოვატორული ფილმების სიაში. ფილმის მთავარი გმირი — სოსანა — მწყემსია, თავის ცოლ-შვილთან ერთად სოფელში ცხოვრობს და სიყვარულითა და დიდი პასუხისმგებლობით აგრძელებს დანატოვარს,



БОЛЬШАЯ ЗЕЛЁНАЯ ДОЛИНА

Сценарий и режиссёр Юрий Быков

წინაპართა საქმეს. სხვა ცხოვრება სოსანას ვერც წარმოუდგენია. ბუნება, სოფელი, დიდი მწვანე ველი და ოჯახი — ესაა მისი ავლადიდება, მისი სამყარო და ყოველდღიური ცხოვრებაც. მწვანე ველზე გეოლოგები ნავთობის საძიებელ სამუშაოებს იწყებენ და თანამედროვე ცივილიზაცია, თავისი ტექნიკის გუგუნითა და ხმაურით, სოსანას სამყაროში შემოდის. სოსანა წინააღმდეგობაშია ცვლილებებთან და ამ ცვლილებების ძალადობრივი შემოჭრა დიდ მწვანე ველზე მისთვის ყოველგვარი ფასეულის ნერვასა და განადგურებას

მოასწავებს. ორი სამყაროს — მარადიულისა და დროის მიერ მოტანილის დაპირისპირება მძაფრად ცოცხლდება მწყემსი სოსანას ცხოვრებაში. ინდივიდის გალაშქრება კოლექტიურ გადაწყვეტილებებთან მაშინვე საშიშ და დასაძრახ გამოვლინებად მიიჩნიეს ხელისუფლებაში.

თავიდან „დიდი მწვანე ველის“ სცენარმა ქვეყნის მთავარი კინემატოგრაფიული უწყების კორიდორები შეუფერხებლად გაიარა. სამაგიეროდ, ფილმს მუშაობის პროცესში დიდი ქარტეხილები დაატყდა. საქმე იმაშია, რომ გადაღებული მასალა გმირთა და კონფლიქტთა ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თავდაპირველი ჩანაფიქრისგან.

იმდროინდელი საბჭოთა სინამდვილის ყველა სფეროში ადამიანის და მისი გარემოს ტოტალური გარდაქმნის, „გადაკეთების“ ტენდენცია ბატონობდა. სასცენარო ჩანაფიქრიდან უბრალო მენახირე სოსანაზე, რომლის საძოვარზე ნავთობი აღმოაჩინეს, მას კი ამ მიწიდან წასვლა არ სურს, ტრადიციული ცხოვრების წესისა და პროგრესულის მარტივ კონფლიქტზე აგებულ თანამედროვე ყოფით-რეალისტურ ფილმს მოელოდნენ და ამ კონფლიქტის ცალსახა გადაწყვეტას მოითხოვდნენ. მერაბ კოკოჩაშვილმა კი შორს, მთაში, თანამედროვე სამყაროსგან მოწყვეტილ, თითქოს დროში დაკარგულ დიდ მწვანე ველზე გათამაშებული დრამა ცივილიზაციათა კონფლიქტის მარადიული დრამის სიმაღლეზე აიყვანა.

ფილმი ერწოს ტბის მიდამოებშია გადაღებული. ამ პირველქმნილი, „მითიური“ ლანდშაფტის ფონზე თითქოს უძველესი ცივილიზაციის ნანგრევებზე მცხოვრები ფილმის გმირი ბუნების საიდუმლოს მცველ „მარადიულ მწყემსად“ აღიქმება.

სულ სხვაა სოსანა სოფელში, „ადამიანთა კოლექტივში“ და სულ სხვაა აქ, თავის სამფლობელოში – ლალი, ამაყი და უძლეველი. ავტორები არ მალავენ თავის სიმპათიას დოდო აბაშიძის მიერ შეუდარებელი ოსტატობით განსახიერებული გულუბრყვილო გოლიათის მიმართ, რომელსაც არ სურს მოსწყდეს თავის ფესვებს, წმინდად იცავს მამა-პაპათა

ნაანდერძევს, არ თმობს თავის „მეობას“. ამასთანავე მათ-თვის სოსანა ყოველგვარ პათოსს მოკლებული ჩვეულებრივი, ბუნებრივი ადამიანია, რომელიც ცხოვრობს ისე, როგორც ესმის; მოქმედებს არა გონით, არამედ ემოციებით; უყვარს, მაგრამ არა იმ სიყვარულით, რომელიც მის გვერდით მყოფი ადამიანის სიმართლის გაგებაში, მასთან სულიერ დაახლოებაში დაეხმარება.

სცენარის მიმართ ძირითადი პრეტენზია მდგომარეობდა იმაში, რომ ფილმის გმირი ინდივიდუალისტია: ისე ცხოვრობს, როგორც სურს და კოლექტიური ინტერესი არ გააჩნია. კინობიუროკარატია მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში კვლავ პიროვნების თავისუფლების საკითხში მოექცა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მასალის ჩვენება მოითხოვეს იმ დროს, როდესაც რეჟისორი შევბულებაში იყო.

„იმ დროისათვის გადაღება შეჩერებული გვქონდა. მომავალ წელს უნდა გაგვეახლებინა... როგორც ჩანს, მოსკოვში აქედან რაღაც ინფორმაცია მიუვიდათ... ერთ მშვენიერ დღეს ფილმის დირექტორმა ვახტან ჯიქიამ დამირეკა და შეწუხებულმა მითხრა — მასალის ჩვენებას მოითხოვენო. ვთხოვე, მასალა სასწრაფოდ დაეჭრათ და კოლოფში გადაენანილებინათ. ფილმის მემონტაჟებ ჯულია ჭეიშვილმა ეს თხოვნა შემისრულა. კოლოფები საპროექციო დარბაზში როცა შეიტანეს, აღმოჩნდა, რომ მასალის ნახვა შეუძლებელი იყო. ამტყდარა ერთი ამბავი, მასალის აწყობა მოუთხოვიათ... საღამოს ვახტანგმა დამირეკა და მახარა — მასალა ვერ ნახესო.«

მერე უარესი მოხდა. აწყობილი ფილმი ნახა ცეკას მდივანმა იდეოლოგიის დარღვი და თქვა: — ეს ფილმი ასე ვერ გავა, აუცილებელია კომენტარი. რაც გინდათ, ის მოიფიქრეთ, თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები დაურთეთ, მაგრამ უნდა ჩანდეს, რომ ეს კაცი ცუდიაო.

— სოსანა მსხვერპლია, სამაგალითო გმირი ნამდვილად არ არის, ცოლს უღალატა, იძალადა, ამაზე ცუდი საბჭოთა ადამიანმა რა უნდა ჩაიდინოს-მეთქი.

არ გაჭრა. — ზღაპრებს ნუ მიყვები, პირდაპირი კომენტარის გარეშე ამას ვერ გაიგებენო.

რა გაეწყობოდა. დავიწყეთ ფიქრი, ერთი-ორი ციტატა ჩავსვით, მათ შორის „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულ-სა, გულსა... დალიან სასაცილო გამოვიდა...“

ამასობაში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. მოსკოვიდან მხატვრული ფილმების მთავარი სამმართველოს უფროსი კინორეჟისორი იური ეგოროვი ჩამოვიდა. მასალა ნახა და ძალიან მოეწონა. საგონებელში ჩავარდა: — როგორ მოვიქცე, არ ვიციო. ბოლოს თქვა — ერთადერთი ხსნა იქნება, თუ ფილმში კოლმეურნეობის თავმჯდომარის შემოყვანას შეძლებო. — არაფერი გამოვა-მეთქი, — ვუპასუხე. — მოიფიქრე, ძალიან კეთილი კაცი უნდა იყოს. მას უნდა ესმოდეს — რა ემართება გმირსო.

ასე გაჩნდა ფილმში ორი ეპიზოდი: დასაწყისი, როცა სოსანა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მიდის და ფილმის ბოლო ნაწილებში, როცა თავმჯდომარე ბრიგადირს ეუბნება (ბრიგადირის როლი მერაპ ელიოზიშვილს გავახმოვანებინე), რომ უნდა გაუგოს კაცს, რომელიც გაჭირვების დროს კოლმეურნეობას მხარში ამოუდგა...

გართულებები ფილმის მუშაობის შემდეგ დაიწყო...

მოსკოვში ფილმი მიიღეს. კინოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იმ დროს ვლადიმერ ბასკავოვი იყო. დაჯდა და მარტომ უყურა. რომ დამთავრდა, გაკვირვებულმა მკითხა: — რატომ მითხრეს, რომ ფილმში მამათმავლები ყავს? მართალია, სოსანა ეალერსება, გულში იხუტებს თავის თანაშემწე გიორგის, მაგრამ მე ხომ ვხედავ, ეს ის არ არის, რასაც ამბობენო. ფილმი მოეწონა. მითხრა: — ფილმი იქნება, მაგრამ მცირე რაოდენობითო... ფილმში ძალადობის ეპიზოდი უფრო გრძელი იყო და უფრო მნიშვნელოვანი გამოვიდა, მაგრამ ჩემს დაუკითხავად შეკვეცეს. პროტესტი გავუგზავნე, მაგრამ ყურად არ იღეს. კინოსტუდიაში მოვიდა წერილი, სადაც წერდნენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საქმე აქვთ სტუდიასთან და კომიტეტთან და არა ვიღაც კოკოჩაშვილთან.

საქართველოში კი ამბავი ამგვარად განვითარდა: მე, დოდო აბაშიძე და სტუდიის დირექტორი თენგიზ გორდელაძე

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაგვიბარეს. სხდომას მჟავანაძე, ძონენიძე, ჯავახიშვილი და კაგებე-ს თავმჯდომარე აღექსი ინაური ესწრებოდნენ. ფილმი რომ დასრულდა, ინაურმა ხმამალლა განაცხადა რუსულად: — ჩვენ სამუშაო დროის 2 საათი დავკარგეთ! დოდო აბაშიძეს შევხედე. გაფითორებული იჯდა, ოფლს ასხამდა. ის თვლიდა და სხვებიც თვლიან, რომ ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო როლია. ძონენიძემ სიტუაცია განმუხტა: — კარგი, კარგი, ალექსი, შენ სულ ასე იციო. დარბაზში სერგო ზაქარიაძე შემოვიდა. მას ლენინური პრემია უკვე მიღებული ჰქონდა და ცეკას წევრი იყო. საუბარი დაიწყეს იმაზე, რომ როცა საბჭოთა მშრომელი სალამოთი ოჯახთან ერთად წავა კინოში და ნახავს ასეთ მძიმე ფილმს და ა.შ. და ა.შ... სერგო ზაქარიაძე წამოდგა და წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაგვარჩინა. მან თქვა, რომ ამ ლოგიკით არ უნდა დავდგათ შექსპირი, შილერი და, საერთოდ, ხელი უნდა ავილოთ ტრაგედიაზე და დრამაზე. ნახეთ, რა სახე შექმნა დოდო აბაშიძემ, თავისი ნიჭის რა შესაძლებლობები გამოავლინა, განა ასეთი დოდო სადმე გინახავთო? საოცარი გზნებით ლაპარაკობდა. ამის შემდეგ იყო, რომ მჟავანაძემ გამოგვხედა (ხელში მანდარინი ეჭირა) და რუსულად თქვა: — დაე, ნახოს ხალხმა!

ფილმი თბილისის ეკრანებზე გამოვიდა. მესამე დღეს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა დაკვეთილი რეცენზია სათაურით: „როცა მაყურებელი ტოვებს დარბაზს“ (რომელიც „დიდ მწვანე ველთან“ ერთად თენგიზ აბულაძის „ვედრებასაც“ შეეხო).
„დიდი მწვანე ველის“ აღიარება უცხოეთიდან მოვიდა.

1974 წელს ფილმი საქართველოში სტუმრად მყოფმა ჟურნალისტმა ევა ჰოფმანმა ნახა. მისი და ცნობილი გერმანელი კინომცოდნეების — ერიკა და ულრიხ გრეგორების რეკომენდაციით, ის ქართული ფილმების რეტროსპექტივაზე აჩვენეს, რომელიც 1975 წლის თებერვალში ბერლინის კინოთეატრ

„დიდი მწვანე ველის“ აღიარება უცხოეთიდან მოვიდა. 1974 წელს ფილმი საქართველოში სტუმრად მყოფმა ჟურნალისტმა ევა ჰოფმანმა ნახა. მისი და ცნობილი გერმანელი კინომცოდნეების — ერიკა და ულრიხ გრეგორების რეკომენდაციით, ის ქართული ფილმების რეტროსპექტივაზე აჩვენეს, რომელიც 1975 წლის თებერვალში ბერლინის კინოთეატრ

„არსენალში“ მოეწყო. ფაქტობრივად, ეს იყო ფილმის პირველი გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც მისი მეორედ დაბადების ტოლფასი აღმოჩნდა.

„ვშიშობ, რომ ნაციონალური (ამ სიტყვების უზენაესი მნიშვნელობით) კინოხელოვნება დღეს საფრთხეშია. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს ახალგაზრდა ქართული კინო (ძმები შენგალაიები, მერაბ კოკოჩაშვილი)...“ – დაწერა 1969 წელს ანდრეი ტარკოვსკიმ, მაგრამ ეს ტექსტი, როგორც „დროის მთავარ მოთხოვნებთან შეუსაბამო“, უურნალ „ისკუსტვო კინოში“ არ დაბეჭდეს“, — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

გავიდა დრო და „დიდი მწვანე ველი“ სხვადასხვა ქვეყნებში ქართული კანოს რეტროსპექტივების ერთ-ერთი ყველაზე მთამბეჭდავი ფილმი გახდა.

„დიდი მწვანე ველი“ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არსით, რომელიც არ იკარგება, რადგან დღესაც უყურებენ. ის პრობლემა, რომელიც იქ არის დასმული — ადამიანის და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება, ისეთი მუდმივი თემაა, რომელიც არ ძველდება. გარდა ამისა, ამ ფილმში შესანიშნავი მსახიობები დაკავდნენ — დოლო აბაშიძე, ლია კაპანაძე, მზია მაღლა კელიძე“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

თუ არ ჩავთვლით საბჭოთა ნომენკლატურის კაპრიზებს, ამ ფილმს ძალიან მაღალი შეფასება მოჰყვა ეკრანებზე გამოსვლისთანავე. მასზე წერდნენ: „ფილმის ავტორები არ ეძებენ იოლ გზებს, პრობლემების მარტივ გადაწყვეტას არ ესწრაფვიან. ისინი ფიქრობენ მთავარზე და არ ეშინიათ, რომ დასკვნა, შესაძლოა, არც ისეთი მარტივი იყოს, ფინალი არც ისეთი ოპტიმისტური, ხოლო კონცეფცია არც მთლად „გამართული“. ცხოვრება რთულ კითხვებს სვამს და თანამედროვენი ცდილობენ — მათ უპასუხონ... „დიდი მწვანე ველი“ კაცობრიობის ისტორიაში მრავალჯერ წარმოქმნილ სიტუაციაზე გვიამბობს. ფილმის ავტორები რაიმეს იდეალიზების გარეშე შეეცადნენ გაეანალიზებინათ ისტორიის მსვლელობით დასაღუპად განწირული მსოფლაღების სისტემა და მასში აღმოაჩინეს ის, რაც არა მხოლოდ პატივისცემას

იმსახურებს, არამედ ისიც, რასაც მიღება და გაფრთხილება სჭირდება. ეს არის უთუოდ ფილმის მთავარი ლირსება“ (რუსულან თიკანაძე, 1978).

რეჟისორი თუ გამორჩეული ხელწერისა არ არის, დროთა დინებას ვერც ის და ვერც მისი ფილმი უძლებს. მერაბ კოკოჩაშვილის ყველა ფილმი გამოირჩევა ერთგვარი ბუნებრიობით, სისადავითა და რეალობის შეგრძნებით. მასთან ერთმანეთში ისეა გადაჯაჭვული მხატვრულობა და რეალურობა, თითქოს ვერც კი არჩევ... ცალკე თემაა მსახიობთა შერჩევის თავისებურება... ხომ არის ფილმები, რომელთა გმირებსაც, შესაძლოა, სხვა მსახიობმაც გაართვას თავი, აქ თითქოს სოსანა ერთია და მას, დოდო აბაშიძის გარდა, სხვა ვერ ითამაშებდა...

„მეც ასე ვფიქრობ და კინომცოდნებიც წერენ ამის შესახებ. ეს არის, ერთი მხრივ, რეალობა და მათში მოცემული ასოციაციები. სიმბოლიკა და პოეტიკურობა რეალობიდან გამომდინარე პრინციპებია. მეც მეჩვენება, რომ მსახიობის გარეშე ვერაფერს გავაკეთებ და, თუ რამეს წერენ ჩემი ფილმების შესახებ, აუცილებლად ახსენებენ მსახიობებს და მათ ხასიათებს. მე სწორედ მათი ხასიათების საშუალებით ვცდილობ, რაღაც ვთქვა, ამის გარეშე ვერ ვმუშაობ. გარდა ამისა, პარალელურად ვცდილობ, ფილმში გარკვეული პოეტიკაც იყოს. მაგალითად, „მიხაში“ არის კადრი, რომელშიც ორი ზვინი ერთდება... მე მინდა, რაც ჩემი სათქმელია, პოეტურ ხატად და სახედ დასრულდეს. თუ ვაღწევ, ხომ კარგი...“

— ამბობს რეჟისორი და გახსენდება „დიდი მწვანე ველის“ ერთი ეპიზოდი, რომელშიც სოსანა, რომელიც ერთდროულად კარგავს ოჯახს, შვილს, ცოლს და საყვარელ საქმეს, ფაქტობრივად, მხეცდება — აუპატიურებს ცოლს და მერე, როგორც პირუტყვი, ძროხებთან ერთად ჩაეყუდება წყლის დასალევად... ესეც სიმბოლოა — მარტოდ დარჩენილი, გამხეცებული ადამიანის სიმბოლო, რომელიც თითქოს მარცხდება ცივილიზაციასთან ბრძოლაში და ახალ ადგილს ეძებს იმ სიმშვიდის დასაბრუნებლად, რომელიც მას დიდ მწვანე ველზე ჰქონდა.

ბიოგრაფიული ამონარიდი და რეჟისორის პოზიცია ცენტურის მატარებელი სისტემის წინააღმდეგ

„საბჭოთა სისტემა იყო ქვეყანა, სადაც კოლექტივს ის უნდა ეკეთებინა, რასაც ეტყოდნენ. სულ ამას ვიხსენებ: როდესაც სკოლა დავამთავრე და 18 წლის გავხდი, წაგვიყვანეს სამხედრო კომისარიატში. სამედიცინო შემოწმებისთვის გაგვაშიშვლეს და დავრჩით ტრუსიკებში. მწკრივში ვიდექით. რომ გავხედე, აბსოლუტურად ყველას ერთი ფერის და ერთი სიგრძის ტრუსიკები გვეცვა. ეს იყო სისტემა, სადაც ტრუსიკებსაც კი ერთნაირად კერავდნენ. ასეთი ქვეყანა იყო. ეკონომიკაში რაც კეთდებოდა, ერთი კაცი — კორსიგინი წყვეტდა ზემოთ ყველაფერს. როგორც ის დაწერდა, იმდენი ქარხანა იქნებოდა, იმდენ მანდარინს მოკრეფდნენ, იმდენ ღვინოს დაწურავდნენ. ეს იყო კოლექტიური აზროვნების, მონების სისტემა. იმის შედეგად, რომ ასეთი წინაღობა და ზეწოლა არსებობდა ქართულ კინოზე, ჩამოყალიბდა თაობა, რომელმაც ისწავლა ბრძოლა ამ წინაღობასთან. შენ უფრო ჭკვიანი, უფრო ეშმაკი, უფრო მოქნილი უნდა ყოფილიყავი, ვიდრე მთელი ეს ცენტურის მატარებელი სისტემა“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

დასახიჩრებული ფილმები

„თუ გინდდოდა, რაღაც სიმართლე გეთქვა, სისტემას უნდა დაპირისპირებოდი და ყველანი ამ გზებს ვეძებდით — ზოგი ეშმაკურად, ზოგი პირდაპირ. ამას მოჰყვა ის ამბავი, რომ ელდარ შენგელაიამ შესანიშნავი ნაბიჯი გადადგა და რეზო გაბრიაძესთან ერთად იგავური ფორმა მოძებნა (გახსოვთ, ალბათ, მისი ფილმი — „შერეკილები“). მიშა კობახიძემ სულ სხვა რამ გააკეთა — პირობითი ფორმა შექმნა. ოთარ იოსელიანი და მე პირდაპირ ვეჯაჯგურებოდით სისტემის გამოძახილს და ამიტომაც ყველაზე მეტად ჩვენ გვირტყამდნენ. ეს გრძელდებოდა წლების მანძილზე. შემდეგ მე რამდენიმე სცენარი ამიკრძალეს. ვერადა ვერ გადავიდე ვერაფერი“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

თუ რა წინააღმდეგობების ფონზე უწევდა მუშაობა რე-
ჟისორს, ამაზე მეტყველებს თითქმის ყველა მისი ფილმის გა-
დაღების თანმდევი ისტორია.

1973 წელს ეკრანებზე მერაბ კოკოჩაშვილის ახალი ფილ-
მი — „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“ გამოვიდა. თემის მიხედვით ის
თითქოს პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც ხელოვანის
წინაშე იმ დროის საბჭოთა იდეოლოგია აყენებდა. მხატ-
ვრული კვლევის საგანი აქ ახალგაზრდა კაცის პიროვნებად
ჩამოყალიბების პროცესი იყო. ეს თემა ფილმის ავტორს, უპ-
ირველეს ყოვლისა, ტრადიციასთან და პიროვნების თავისუ-
ფლების პრობლემასთან მიმართებაში აინტერესებდა.

„ზღვრულ“ სიტუაციაში გაკეთებული არჩევანი ყვე-
ლაზე უკეთ ავლენს პიროვნულ თვისებებს; წინააღმდეგობის,
აკრძალვების დაძლევა და „ზღვრის“ გადალახვა აყალიბებს
პიროვნებას. ფილმის გმირი — ავთანდილ ჯაყელი სამხედრო
სამსახურს სასაზღვრო ჯარის ნაწილში იხდის. მოქმედება
სარფის საზღვართან ხდება. საზღვრის იქეთ ისტორიული
საქართველოა... ჯარის ყოველდღიურ ცხოვრებაში, უცნობ
ადამიანებთან ურთიერთობაში შეიცნობს ჯაყო სამყაროს და
ცდილობს — ჩასწოდეს იმ „პირობითობათა“ (სამხედრო წეს-
დება, ქცევის წესები და ა.შ.) არსს, რომელიც ზღუდავს არჩე-
ვანის თავისუფლებას, ხელს უშლის ადამიანთა ურთიერთო-
ბებს, საშუალებას არ აძლევს ადამიანს, დანარჩენი სამყაროს
სრულუფლებიან ნაწილად იგრძნოს თავი. ფილმის ცენტრა-
ლურ ეპიზოდში საზღვრის იქით მდებარე სოფელში ხანძარი
გაჩნდება. ადამიანები შველას ითხოვენ. ჯარისკაცთა და სო-
ფლის მცხოვრებთა შორის კი სახელმწიფო საზღვარია. ჯაყო
დაუფიქრებლად ანგრევს ამ საზღვარს და განსაცდელში მყ-
ოფთა დასახმარებლად გარბის, რისთვისაც ისჯება — მან მხ-
ოლოდ სამხედრო წესდება დაარღვია... მისი საქციელის შეს-
ახებ ფილმში მაყურებელი სიტყვიერად შეიტყობს.

„საზღვრის ნგრევის“ ვიზუალური ხატი ბრეუნევის ეპო-
ქის კინემატოგრაფისათვის უპატიებელი მკრეხელობა იქნე-
ბოდა. გადაღებული საათნახევრიანი ფილმიდან ცენზორთა
მაკრატელს 20 წელი — თითქმის მეოთხედი შეენირა...

„სცენარი ნოდარ დუმბაძესთან ერთად დავწერე მისი რომანის — „ნუ გეშინია, დედა“-ს მიხედვით, სადაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნების თავისუფლების პრობლემა იყო. სარფის საზღვართან დრამატული კოლიზია იქმნება: იქით შენიანია, აქეთ შენიანია, შუაში კი სხვაა, რომელიც შენიანს შენიანისგან იცავს. ახალგაზრდა კაცი, რომელიც პიროვნებად ახლა იწყებს ჩამოყალიბებას, ამ სიტუაციაში უნდა გარკვეულიყო. მწერლის როლს რეზონეიშვილი ასრულებს. ერთ ეპიზოდში მისი გმირი სულ საზღვრის იქით იყურება და ბოლოს იპნევა — აღარ იცის, სად არის „მისი“ და სად — „სხვისი“, რის გამოც მესაზღვრესთან უსიამოვნება მოსდის. ეს ეპიზოდი ფილმიდან ამოიღეს და პარადოქსია ის, რომ ტიტრებში მხოლოდ რეზოს გვარი დარჩა... თურმე დაუშვებელი ყოფილა საზღვრის მიღმა არამესაზღვრის ცქერა. ამოჭრეს ყველაფერი, რაც ცოცხალი იყო... ფილმის მთავარი ეპიზოდი ხანძრის ეპიზოდია. საზღვრის ანუ წინააღმდეგობის გადალახვას ბიჭის კაცად ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის საშველად გარბოდა, მას კი ავტომატებით მისდევდნენ, რადგან ადამიანის დასახმარებლად საზღვარი გადაკვეთა. მან ამით რაღაც გადალახა და კაცი გახდა. ამ ეპიზოდის ამოღებით ემოცია დაიკარგა. ფილმში წინააღმდეგობა გადაულახავი დარჩა...“ — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

ფილმის სცენარი მოსკოვის კინოკომიტეტში დაუბრკოლებლად გავიდა. როგორც ჩანს, ნოდარ დუმბაძის სახელმა გაჭრა, მაგრამ ეკრანებზე დასახირებული სახით გაუშვეს და გაყიდეს კიდეც სოციალისტურ ქვეყნებში...

•••

რეპრესიებმა დამანგრეველი გავლენა იქონია რეჟისორზე. მერაბ კოკოჩაშვილი „განერიდა“ რეალობას და შემოქმედებითი „ტრავმების“ მოსაშუალებლად მთას მიაშურა. 1973 წელს მან მწერალ ვაჟა გიგაშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო ალპინისტთა ექსპედიციაში, რომელსაც შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა. მთასმსვლელებმა მთელი ზაფხული ჰამირზე, „კომუნიზმის პიკისა“ და „კორ-

უნევსკაიას „პიკის“ მიდამოებში გაატარეს. მერაბ კოკოჩაშვილი გია გერსამიასთან და ნუგზარ ერქომაიშვილთან ერთად ალპინისტთა ჯგუფს 6400 მეტრის სიმაღლეზე აჰყვა.

გადაღებული მასალის საფუძველზე შეიქმნა სატელ-ევიზიო დოკუმენტური ფილმი „მწვერვალი“. ამ ექსპედიციის შემდეგ დაიბადა ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმის გადაღების იდეა, რომელსაც საფუძვლად დაედო რეალური ამბავი: 1961 წელს ცენტრალურ ტიანა-შანში მწვერვალ „ბობე-დაზე“ დაიღუპა ქართველი მთამსვლელი ილია გაბლიანი, რომელიც 7000 მეტრის სიმაღლეზე ყინულის ნიშში დაასვენეს. დაშვებისას დაიღუპნენ ამავე ჯგუფის წევრები ჯუმბერ მემარიაშვილი და თემიურაზ კუხიანიძე.

ხუთი წლის შემდეგ მოეწყო ექსპედიცია ილია გაბლიანის ნეშთის ჩამოსასვენებლად. ექსპედიციაში „კლდის ვეფხვად“ წოდებული სახელგანთქმული მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი მონაწილეობდა.

საბოლოო იერიშის წინ ჯგუფმა უარი თქვა სანუკვარ ოცნებაზე – მწვერვალის დაპყრობაზე და მეგობრის ნეშთის ჩამოსვენებაზე და 6000 მეტრის სიმაღლეზე განსაცდელში ჩავარდნილ სხვა ჯგუფს დაეხმარა...

სცენარი ვაჟა გიგაშვილთან ერთად დაწერა. გადაღება თითქმის მთლიანად ნატურაზე – ყაბარდო-ბალყარეთში, ტერსკოლის რაიონში და ყაზბეგის რაიონში – მწვერვალ ყუროს ძირას მიმდინარეობდა, გამოყენებული იყო პამირის მწვერვალებზე გადაღებული მასალაც, რამაც მომხიბვლელობა შესძინა ფილმს. პერსონაჟებს, მსახიობებთან ერთად, ძირითადად, პროფესიონალი მთამსვლელები ასახიერებდნენ, რომლებმაც ცხოვრებისეული სიმართლე შემოიტანეს მის ქსოვილში.

„მწვერვალი“ ეკრანებზე 1976 წელს გამოვიდა. ფილმის იდეა — მოყვასის დახმარება, როგორც ადამიანის უპირველესი ზნეობრივი მოვალეობა და „ზღვრულ“ სიტუაციაში არჩევანის პირისპირ მდგომი ადამიანის პრობლემის საკითხი, ფილმ „მწვერვალს“ წინამორბედ ნამოღვანართან აახლოებს, მაგრამ ის ერთგვარად განყენებული გამოვიდა. ამბავი

თითქოს მოსწყდა იმ რეალობას, იმ საზოგადოებრივ პროცესებს, რომელიც 70-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში ხდებოდა...

„ქართულ საზოგადოებაში იმ დროს სულ სხვა პროცესები დაიწყო – ქართული ენისათვის, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის ბრძოლა. ეროვნული ღირებულებებისა და ადამიანთა უფლებების დამცველები ციხეში აღმოჩნდნენ. „მწვერვალმა“ თითქოს ამ სინამდვილეს დამამორა. ხელოვანი მოვლენებს კი არ უნდა მიჰყვებოდეს, არამედ წინასწარ უნდა ჭვრეტდეს მათ... ის, რაც საზოგადოებაში მნიშვნელოვანი „ცხელი ზაფხულის სამ დღეში“ გამოჩნდა“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

მათხოვრებო! — გმირის სულისშემძვრელი ყვირილი ეკრანიდან

როცა 1993 წლის 26 იანვარს ნატო ვაჩინაძეს ვაჟი — ელდარ შენგელაია შეეძინა, ახლად დაბადებულის ბიძას ნიკოლოზ შენგელაიასთვის უხარებია — ბიჭი დაიბადა, თანაც ძალიან ჭკვიანიო. მამის კითხვაზე — სიჭკვიანე რაში შეატყეო, მახარობელს უთქვამს: — სულ იფურთხება, ეტყობა მიხვდა — რა ქვეყანაშიც დაიბადაო. სწორედ ასეთად დახატულ ქვეყანაში გულის შეტევით კვდება მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის — „ცხელი ზაფხულის სამი დღის“ გმირი, ცნობილი მეცნიერი სულხანი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელია. მას სამუშაოს დასასრულებლად სახსრები არ ჰყოფნის და იძულებულია დასახმარებლად სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს მიმართოს. სხვებს მისი თავგამოდება გადამეტებულად ეჩვენებათ, რადგან სხვა საქმეები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. სულხანს ეხმარება ახალგაზრდა არქეოლოგი თამრიკო. ისინი ერთად იბრძვიან, რომ სამხედროების საწვრთნელ პოლიგონად ქცეული ტერიტორია განადგურებას გადაურჩეს. გათხრებს მაინც დააკონსერვებენ და მინას მიაყრიან. სწორედ ამ უსულ-უგულო დამოკიდებულების მნახველი არქეოლოგი თამრიკო

გაპერივის უდარდელი საზოგადოების მისამართით სიტყვებს — მათხოვრებო! უჯიშოებო!

„ცხელი ზაფხულის სამი დღის“ სცენარი 1977-1978 წლებში დაიწერა. თბილისში ის მოიწონეს, მაგრამ მოსკოვის მთავარმა კინოუწყებამ არ მიიღო. 1979 წლის ზაფხულში კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ჩატარებულ კონფერენციას, რომელიც ეროვნული კინოს პრობლემებს ეხებოდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა. ელდარ შენგელაია თავის მოხსენებაში, სხვა პრობლემებთან ერთად, „ცხელი ზაფხულის სამი დღის“ სცენართან დაკავშირებით შექმნილ ვითარებასაც შეეხო.

შევარდნაძის შუამდგომლობით მოსკოვმა სცენარი დაამტკიცა, იმავე წელს გადაღება დაიწყო, 1980-ში დამთავრდა, 1981-ის ზაფხულში ეკრანებზე გასაშვებად მზად იყო, მაგრამ... შევარდნაძის ბრძანებით ფილმი შეაჩერეს...

„ხმა გავრცელდა, რომ ფილმი დისიდენტზეა, იმხანად უკვე პოლიტიკიმარზე“. ფილმის გმირში — თამრიკოში, რომელსაც ნინელი ჭანკვეტაძე ასრულებდა, რატომძაც მაშინდელი დისიდენტის — თამრიკო ჩხეიძის პროტოტიპი დაინახეს. რეზო ჩხეიძის ქალიშვილი თამრიკო ჩხეიძე დაპატიმრებული იყო იმ დროს. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ციხეში ისხდნენ. ფილმზე მუშაობისას ჩვენ, რა თქმა უნდა, კონკრეტულ ადამიანზე არ გვიფიქრია. ფილმის გმირი თამრიკო კრებითი სახეა. მთავარი გმირი სულხანი კი ბიუროკრატიასთას ბრძოლას ეწირება და, ამდენად, ეშინოდათ, რომ არქეოლოგის და მისი უკომპრომისო სტუდენტის სახეე-



ბი აუცილებლად აღძრავდა ასოციაციებს, დაუკავშირდებოდა ეროვნული მოძრაობის ისტორიულ ეპიზოდებს...

რამდენიმე წელიწადში ედუარდ შევარდნაძე სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდება, ბერლინის კედელი დაინგრევა, ავღანეთიდან საბჭოთა ჯარს გამოიყვანენ. პოლიტიკურ კულუარებში უკვე ლაპარაკობენ იმ ახალი გზის მონახვის აუცილებლობაზე, რომელიც საბჭოთა სისტემას კრიზისიდან გამოიყვანს და რომ ეს გზა, უპირველეს ყოვლისა, პიროვნების თავისუფლებაზე გადის... ამ გარდაქმნების მომზადებაში, როგორც მერე გამოირკვევა, თვით შევარდნაძე იღებს მონაწილეობას... და შევარდნაძე არის ადამიანი, რომელიც „ცხელი ზაფხულის სამ დღეს“ აჩერებს... შევხვდი და კარგად მელაპარაკა, მითხრა, რომ ფილმიდან ერთ მეტრსაც არ ამოჭრიდნენ, რომ ის თავის ადგილს იპოვიდა და მეუბნება ასეთ ფრაზას: — სახელმწიფომ დახარჯა ფული და გადაგადებინა ის, რაც გინდოდა. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება — ეს ფილმი აჩვენოს ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია...

„ცხელი ზაფხულის სამი დღე“ ეკრანზე 1983 წლის აგვისტოში გამოვიდა, იმ დროს, როცა ქალაქი, ფაქტობრივად, ცარიელდება. მაყურებელს გახანგრძლივებული სეანსი შესთავაზეს. საგანგებოდ ამ მიზნით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „ქართული არქეოლოგია“, რომელშიც ხაზგასმული იყო პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველი როლი მეცნიერების ამ დარგის განვითარებაში. გაზეთ კომუნისტის ანონსი დიდი შრიფტით იუნებოდა დოკუმენტური ფილმის — „ქართული არქეოლოგია“ — გამოსვლას, ხოლო მის ქვეშ წვრილი შრიფტით ანყობილი იყო მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის სათაური — „ცხელი ზაფხულის სამი დღე“. აი, ცენზურის ასეთი მეთოდებიც იყო“, — იხსენებს მერაბ კოკოჩაშვილი.

გზა

სხვადასხვა კულტურის და ტრადიციების ხელოვნური შერწყმა, რაც იწვევს გაერთგვაროვნებას და სტანდარტიზაციას, პატარა სახელმწიფოების სუვერენულობას საფრთხეს უქმნის. რეალურად გაჩნდა ეროვნული და კულტურული წეს-ჩვეულებების უგულებელყოფის შიში. ფსიქოლოგები გვამშვიდებენ, რომ სხვა ქვეყნებმა მაინც მოახერხეს თავიანთი ტრადიციების და წეს-ჩვეულებების დაცვა. მაგალითად, გლობალიზაციის პირმშო — „მაკდონალდსი“ როცა შეიქმნა, ინდური მაკდონალდსის მენიუდან ამოულიათ ძროხის ხორცი, რადგან ინდოელები მას არ მიირთმევენ... გერმანიაში კი მენიუს დამატებული აქვს ლუდი. ანუ ამ შემთხვევაში მათ ისე მიიღეს ახალი, რომ არ შეუქმნეს საფრთხე ძველს. ეს პრობლემა საქართველოში ძალიან აქტუალურია... სწორედ ამ პრობლემებზე აქვს ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან ნაფიქრი რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს, რომელმაც მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმით „გზა“ საქართველოს ისტორია გააცოცხლა და ეს ისტორია თაობებს შემოუნახა. ამ ფილმისთვის მას 1986 წელს რუსთაველის პრემია მიენიჭა.

ამ ფილმზე სამუშაოდ თავის დროზე გურამ პატარაია ემზადებოდა. არსებობდა გარკვეული ჩანაფიქრი და კინემატოგრაფიული ხორცისებმის კონცეფცია, რომელიც



მასალის მოწოდების ტრადიციულ, იმ დროს ქართულ დოკუმენტურ კინოში დამკვიდრებულ გზას გულისხმობდა — დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით საქართველოს ისტორიის „ეკრანიზება“. მაგრამ გურამ პატარაიას ფილმის გადაღება არ დასცალდა, მძიმე სენით დაავადებულმა ჩანაფიქრის ხორციელებამ მეგობარსა და კოლეგას — მერაბ კოკოჩაშვილს ანდერძით დაუტოვა.

„გზის“ სცენარი ბორის ანდრონიკაშვილმა დაწერა. უკვე ფილმზე მუშაობის პროცესში შეიცვალა თავდაპირველი ჩანაფიქრი, მასალის მოწოდების კონცეფცია. კადრის სივრცეში გაჩნდა წამყვანი — თვით რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, რომელიც გვინევს მეგზურობას „მოგზაურობისას საქართველოს ისტორიის დროსა და სივრცეში“, გვთავაზობს ერთგვარ რეპორტაჟებს არქეოლოგიური გათხრებისა თუ ისტორიული ბრძოლების ადგილებიდან, მუზეუმებიდან და მეცნიერთა სამუშაო კაბინეტებიდან. ამავე დროს, ეს არის რეპორტაჟი ჩვენს თანამედროვეობაზე, რომელიც ძიების, კვლევის გზით ცდილობს ჩაულრმავდეს ერის ისტორიას, საუკუნეთა სილრმიდან გამოიხმოს ფაქტები და არგუმენტები, ააგოს დამაკავშირებელი ხიდები წარსულსა და დღევანდელობას შორის. ავტორს წარსულში გმირულ და პათეტიკურ მოტივებზე მეტად წინაპართა ყოფის დეტალები აინტერესებს და ცდილობს მათთან მაყურებლის დაახლოებას.

„გზა“ არის მისი ავტორის ფიქრი, მსჯელობა, კამათი საკუთარ თავთან. ეკრანიდან გამართული ცოცხალი საუბარი მაყურებელსაც ითრევს „საკუთარი თავის ძიების“ (ფილმის პირველი სერიის სათაურია) პროცესში. ამაში ავტორს ეხმარებიან ქართველი მეცნიერები: ისტორიკოსები, არქეოლოგები, ანთროპოლოგები, კულტურის ისტორიის მკვლევარნი, ეთნოგრაფები, რომელთაგან თითოეული თავისი პიროვნების სახასიათო ნიშნით წარდგება მაყურებლის წინაშე. ასე რომ, ისტორიული სიმართლის დადგენის პროცესში ყალიბდება ქართველის სამეცნიერო ინტელიგენციის კოლექტიური პორტრეტი. ისტორიის ან კულტურის ამა თუ იმ საკვანძო საკითხზე მსჯელობისას ავტორი არ იფარგლება

ერთი რომელიმე კონცეფციის ან მოსაზრების დაფიქსირებით და მიმართავს აზრთა დაპირისპირების ხერხსაც, ამასთანავე მისთვის ჩვეული მუსიკალურობით, ყოველივეს ერთი „ცენტრალური ბგერის“ გარშემო კრებს და ქმნის აზრთა იმ პოლიფონიას, რომელიც ფილმს მრავალგანზომილებიანს ხდის, იძლევა მასში წამოჭრილი საკითხების სხვა კუთხით განხილვის შესაძლებლობას, თემებს ახალი ფილმების შესაქმნელად.

„გზა“ საქართველოს ტელეფილმების სტუდიაში გადაიღეს, ამდენად მოსკოვის წინააღმდეგობის საფრთხე არ არსებობდა. თუმცა ეს ფილმიც ეკრანზე ორი წლის დაგვიანებით გამოვიდა. იმ დროს ყველაზე მეტად ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისა ეშინოდათ.

„1983 წელი რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის საიუბილეო წელი იყო, ამიტომ ხელისუფლებამ მისი ჩვენებისგან თავი შეიკავა. იმ დროისათვის ბევრი რამ შეიცვალა, ელდარ შენგელააიმ „ცისფერი მთები“ გადაიღო, თენგიზ აბულაძე „მონანიებაზე“ მუშაობდა... მაგრამ ეროვნულ ლირებულებებზე საუბარი ხელისუფლებას მაინც აშინებდა. 1985 წლის იანვარში საქართველოს ტელევიზიით ფილმის პრემიერა შედგა და ვიგრძენი, რომ საზოგადოებამ ის მიიღო...“ — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

• • •

ამ პერიოდში იქმნება ორსერიანი დოკუმენტური ვიდეოფილმი „ფენომენი“ — ფილმი-გამოკვლევა მრავალხმიანი ქართული სიმღერის ისტორიაზე, რომელშიც მერაბ კოკოჩაშვილი აგრძელებს „გზაში“ დაწყებულ ძიებას. იგი მკვლევართა და შემსრულებელთა მოსაზრებებისა და კონცეფციების შეჯერებით ცდილობს — დააგინოს ის უნიკალური თავისებურებები, რომლებმაც ქართული სიმღერა მსოფლიო მუსიკალური კულტურის უნიკალურ ფენომენად აქცია. ამ გამოკვლევამ რეჟისორი ერთ საინტერესო დასკვნამდე მიიყვანა: „ქართულმა სიმღერამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში, საგუნდო ტრადიცია და მრავალხმიანობა თანადგომისა და ერთიანო-

ბის საფუძველს ქმნის. ყველა ჩვენგანი ხომ საკუთარ ხმას მღერის, ამავე დროს, ყველანი ვერწყმით ერთიან ჰარმონიას. აი, ეს არის ჩვენი სააზროვნო პრინციპი. პიროვნება ქმნის აზროვნების ტრადიციას (არა პიროვნებათა სიმრავლე, არამედ პიროვნებათა ერთიანობა). როდესაც ეს ერთიანობა ირღვევა, მაშინ ჩვენ ვკარგავთ ჩვენს სააზროვნო ტრადიციას და მაშინ ირღვევა ჩვენი პიროვნება — საზოგადოება ქართული აღარ არის და ქართველიც აღარ არის ქართველი...“

ნუცას სკოლა

დარღვეული ჰარმონიის აღდგენის, ქართული კინოს საუკეთესო ტრადიციებთან მიბრუნების ცდაა ფილმი „ნუცას სკოლა“, რომლის სცენარი მერაბ კოკოჩაშვილმა 1994 წელს დაწერა.

„ეს ფილმი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მოვიდა. მისი პროტოტიპები გრემში ვნახე, გონებაშეზღუდულ ბავშვთა სკოლაში, რომელიც ნანა ყიფიანმა და ნიკა კვაშალმა დაარსეს. აქ ისინი ოჯახურ გარემოში შრომობენ, ურთიერთობენ და თავს ბეჭნიერად გრძნობენ. ჩემი თვალით ვნახე, სიყვარულმა, მოთმინებამ და შემწყნარებლობამ როგორი კეთილი ნაყოფი გამოიღო. გმირები ფილმში ლამის უცვლელად გადმოვიტანე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ადამიანთა ურთიერთობა, ის სიკეთე და სიყვარული, რომელიც ავადმყოფს ჯანმრთელად აქცევს. თორემ უსიყვარულობის პირობებში ჯანმრთელიც ავადმყოფად გადაიქცევა.“

გრემის სკოლაში „ნუცას სკოლა“ რომ ნახეს, ნიკა კვაშალმა დამირეკა და მითხრა: — ფილმმა ბავშვებზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, ისინი თავის თავს და ერთმანეთს სცნობდნენ, ეს მე ვარ და ეს შენ ხარო... ამასაც ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა....

ამ ფილმზე მუშაობისას სულ სხვა ხასიათის პრობლემებს ვუმკლავდებოდით. დაუფინანსებლობის გამო გადაღებები რამდენიმე წლის განმავლობაში გაიწელა. ამიტომ, არ შემიღლია, მადლობით არ მოვიხსენიო ის ადამიანები, რომლებმაც

ფილმის დასრულების შესაძლებლობა მომცეს. ეს არის შეეიცარიელი კინემატოგრაფისტი კრისტიან ზენდერი, რომელიც ფილმის გახმოვანებისა და ბეჭდვის ეტაპზე დაგვეხმარა, შემდეგ თავის მეგობარ ბიზნესმენთან — ბატონ ანშოსთან ერთად „ნუცას სკოლა“ ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიტანა...“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.



„ნუცას სკოლა“ ეკრანებზე 2000 წელს გამოვიდა – საუკუნეთა გზაშესაყარზე, ათასნლეულთა მიჯნაზე. მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა ეს ფილმის ავტორს, „ნუცას სკოლა“ მაინც ერთგვარ მეტაფორად აღიქმება დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოსი – ძლიერი დიონისური ტრადიციის და ქრისტიანული კულტურის ქვეყნისა, სადაც ახალი ცხოვრების მშენებლობისას ჯერ კიდევ ცოცხლობს ინსტინქტები, მაგრამ უკვე იესოს შობას ელოდებიან.

„ის ტკივილი, რაც ფილმში არის, საზოგადოებაში ჯერ არ განელებულა. ვფიქრობ, დრო გავა და „ნუცას სკოლაც“ გასაგები გახდება ქართველი საზოგადოებისათვის. ფილმის პრემიერას ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე ორი ათასი მაყურებელი ესწრებოდა... აი, იქ ვიგრძენი დარბაზის და ეკრანის ერთიანობა...“ — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

ლოკარნოს საფესტივალო პრესის ფურცლებზე მაშინ გაჩნდა ასეთი ჩანაწერები:

„მერაბ კოკოჩაშვილი ყოველთვის ისეთ ფილმებს იღებდა, რომლებიც გარკვეულ უხერხულობას ქმნიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმების დროს და დღესაც კიდევ უფრო მეტ უხერხულობას ქმნიან. ფილმის გმირი ორმოციოდე წლის ქვრივი მამაკაცია, რომელსაც გონიერივად ჩამორჩენილი ქალიშვილი ჰყავს. მისთვის და მისნაირებისთვის, რომლებსაც სოფლის მოსახლეობა შეურაცხყოფს, იხსნება სკოლა, რომელსაც საფუძვლად სიყვარული და სიკეთე უდევს. მაგრამ ამ წამოწყების კარგი შედეგები არავის სჭირდება, ვიდრე გერმანელი შარლატანები, ამერიკელები თუ არაბები ექსპლუატაციას უწევენ ქვეყანას, სადაც სამღვდელო პირი, თავისი რელიგიური და სოციალური როლის გამო, დაცინვის საგანს წარმოადგენს. ადგილობრივი მოსახლეობაც კი უკეთესს ვერაფერს იგონებს, გარდა იმისა, რომ ცდილობს — დაბუროს მათთვის გამოუსადეგარი და უცხო სკოლა. ქალის სიყვარულით გამხნევებული მამაკაცი იღებს გამოწვევას და იარაღდება. მაგრამ იმ მომენტში, როცა სოფლის მაფიის ტყვიები აზუზუნდება, იგი ამტვრევს იარაღს და ღიმილით

მიემართება მტრისკენ. მეტაფორა ძლიერი და ნათელია, რე-ჟისორული ნამუშევარი არაჩვეულებრივია. საბედნიეროდ, ფილმი შვეიცარიაში დარჩება და მისი ნახვა ხელმისაწვდომი იქნება. მოიძიეთ იგი“. (LA Resone di Lokarno, N (Uh) 08.2000).

„მერაბ კოკოჩაშვილი, რომელიც თავის ნამუშევრებში გამუდმებით ებრძვის ცენზურას, მაყურებელს აჩვენებს, რომ წარსული დღეების სიმძიმე საბჭოთა იმპერიაში ხალხმა ტრა-გედის გააზრებითა და იუმორით უნდა გადალახოს. იმ იუ-მორით, რომელიც შესაძლებელს ხდის ცხოვრებას, წინსვლას და განვითარებას“ (Tessier Zeitung, 12.08. 2000).

„თბილისიდან გვეწვია მთის მდინარის ჩუხჩუხივით პოლ-იფონიური ფილმი — მერაბ კოკოჩაშვილის „ნუცას სკოლა“ — ჭეშმარიტი დრამატული დაძაბულობის კინოსურათი, შეკრული სამსახიობო ანსამბლით, რომელიც ყალბ ფერუ-მარილს არ საჭიროებს... პრიზების მაძიებელთა შორის იყ-ნენ შვიდი პოსტსაბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები, რომ-ლებმაც მინსკში 16 ღირსეული ფილმი აჩვენეს. საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ, ჩვენი არჩევანი კავკასიელ კინორაინდზე შევაჩერეთ... დავუმატებთ, რომ ჩვენი პრიზი (გადაეცა ზაზა პაპუაშვილს „სულიერი სიმამაცის ეკრან-ული სახის შექმნისთვის“) ერთადერთი არ აღმოჩნდა „ნუ-ცას სკოლის“ — მრავალშრიანი და თანამედროვედ მძაფრი ფილმის შემქმნელთა საფესტივალო ყულაბაში. ოპერატორი — ჯადოქარი დავით გუჯაბიძე, რომელმაც ეს ფილმი მინსკში წარმოადგინა, აპლოდისმენტების თანხლებით ორჯერ ავიდა სცენაზე; კინემატოგრაფისტთა პროფესიულმა უიურიმ ქარ-თული ფილმის სახვითი გადაწყვეტა საუკეთესოდ მიიჩნია...“ (გაზეთი „ვო სლავუ როდინი“ 29.11.2001).

დოკუმენტალისტიკა

მერაბ კოკოჩაშვილის ფილმი — „ღვინის აკვანი“ გვაც-ნობს ქართველების როლს ვაზისა და ღვინის კულტურის შე-ქმნასა და ჩამოყალიბებაში. პროექტი ევროვენული კინოცენ-ტრის 2010 წლის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების

კონკურსის გამარჯვებულია. ეს და სხვა უამრავი მისი ფილმი ემსახურება ეროვნული თვითმყოფადობისა და ცნობიერების გადაწენას და სწორედ ამით ვასკვნით, რომ მერაბ კოკორიშვილი, როგორც რეჟისორი, კვლავ აქტუალურია უკვე თანამედროვე ეპოქის ერისთვის მტივნეული გამოწვევების ფონზე.

ბოლო დროს უნივერსიტეტის საზოგადოებაშ ნახა მერაბ კოკორიშვილის დოკუმენტური ფილმი — „ივანე ჯავახიშვილი“, რომელიც უკვე ჩაინტერა დოკუმენტალისტიკის ისტორიაში. ფილმი, რომელშიც რეჟისორი თავად არის მთხოვნელი, დადის, ეძებს მასალებს ივანე ჯავახიშვილზე და ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადმოგვცემს ყველა დეტალს, რაც კი უდიდესი ქართველი მოღვაწის შესახებ მოგვეპოვება... ეს მეთოდი აქვს მას გამოყენებული დოკუმენტურ ფილმში „გზა“. აქაც, ფილმის რეჟისორი თავად არის წამყვანი და მთხოვნელი და „ამავე დროს შუამავალი მოზღვავებულ ინფორმაციასა და მაყურებელს შორის. ის ყოველთვის და ყველგან ფიგურირებს, როგორც კადრში, ასევე კადრს გარეთ... იგი ფილმში სხვის მითითებებს კი არ ასრულებს, თავად არის ავტორი და, ამავე დროს, ამ როლშიც გრძელდება მისთვის რეჟისორული თვითგამოხატვის პროცესი“ (პაატა იაკაშვილი, „საკუთარი თავის ძიებაში“, უურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1985 წ.). თანამონანილეობა დოკუმენტურ ფილმში ავტორის სტილია — მერაბ კოკორიშვილი მაყურებელს არ ატყუებს — აჩვენებს მას, რომ რეჟისორი და კამერა, რომელიც ასევე ხშირადაა ფილმის მონაწილე, კადრს მიღმა არ დგანან: „არა-სოდეს ვმალავ, რომ კამერა ფილმის მონაწილეა; არ ვმალავ, რომ თუ მე ვმონანილეობ, თვითონაც უნდა ვჩანდე. ჩემთვის დოკუმენტური ფილმი მხოლოდ დოკუმენტი და ქრონიკის ფიქსირება კი არ არის, ეს არის ავტორის ჩარევით გაკეთებული ფილმი. ვფიქრობ, რომ ასე უფრო მართალი ვარ. თითქოს ყველა ფილმი ასეა გადაღებული — მეც ვჩანვარ და მეც რა-დაცას ვეძებ იმასთან ერთად, რასაც კამერა აფიქსირებს. ჯა-ვახიშვილშიც ასეა — ჯავახიშვილის ცხოვრებას მე დავეძებ... „დვინის აკვანში“ პირიქით, მე არ ვარ, მაგრამ კამერაა და,



გარდა ამისა, არიან ადამიანები — კახი კავსაძე, გივი ბერი-კაშვილი და ჯემალ ბალაშვილი, რომლებიც ღვინის შესახებ გვესაუბრებიან“, — ასე ამართლებს „ჩარევას“ დოკუმენტურ ფილმებში რეჟისორი, რომლის ნამუშევრებიც მუდმივად ინ-ტერესს ინარჩუნებს.

მერაბ კოკოჩაშვილი 10 დოკუმენტური ფილმის რეჟისორია.

1986 წელს გადაიღო დოკუმენტური ფილმი „გზა“, 1993 წელს კი დოკუმენტური ფილმი — „ფენომენი“, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

1996 წელს გადაიღო დოკუმენტური ფილმი — „საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია“; 2002 წელს გადაიღო დოკუმენტური ფილმი — „დაგვიანებული კადიში“; 2006 წელს — „თუ დაგივიწყო, იერუშალამი!“ ეს ფილმები ქართველ ებრაელებზეა. „დაგვიანებული კადიში“ — ეს იყო ფილმი ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრ არიელ შარონზე. მისმა მშობლებმა ერთმანეთი საქართველოში გაიცნეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი ისრაელში დაბრუნდნენ. წლების შემდეგ არიელ შარონი ჩავიდა საქართველოში და მოძებნა ბებიის საფლავი.

„თუ დაგივიწყო, იერუშალამი!“ — ეს კი მეორე ფილმია, რომლის პრემიერაც ისრაელში 2007 წელს გაიმართა. პრემიერის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ებრაელთა

მსოფლიო კონგრესი და საქართველოს საელჩო ისრაელში. ფილმი ქართველ ებრაელთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისთვის გმირულ ბრძოლას ასახავს. ფილმი გადაიღეს მერაბ კოკოჩაშვილმა და გურამ ბათიაშვილმა. რობერტ სტურუა, რომელიც ისრაელში ესწრებოდა ფილმის პრემიერას, იტყვის: „მე აქ მოვედი ჩემი უსაყვარლესი რეჟისორის, საყვარელი დრამატურგის ფილმის სანახავად. ფილმი ძალიან მომენტია. ბევრი რამ არ ვიცოდი. მეჩვენება, რომ ეს ისტორია საქართველოშიც არ იციან ისე, როგორც უნდა იცოდნენ. 18 კაცი, თითქოს არაფერი, მაგრამ წინ აღუდგა უსამართლობას. ეს შეიძლება უარესი ფორმით მომავალშიც განმეორდეს. ეს თქვენი წინაპრები არიან, ამ დიდი ერის შვილები. მადლობა პროდიუსერს, რომელმაც უდიდესი საქმე გააკეთა“ („მენორა“ — ებრაული გაზეთი საქართველოში. 1-15 მარტი. 2007 წ.).

2007 წელს მერაბ კოკოჩაშვილმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი — „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში“, რომელიც საქართველოდან გატაცებულ და მონებად გაყიდულ მამლუქ ბეგებზეა. ისტორია ასეთია: XVIII საუკუნის ბოლოს ოსმალების იმპერიის, საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის იმპერიების ინტერესები ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალ უმოკლეს მარშრუტზე — ეგვიპტეზე იკვეთება. ეგვიპტის მამლუქი ბეგები კი ეგვიპტის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ცდილობენ. ეს ის პერიოდია, როცა მამლუქ ბეგთა იერარქიის უმაღლეს საფეხურს საქართველოდან გატაცებული, მონებად გაყიდული და შემდგომში აღზევებული პირები შეადგენდნენ. ქართული წარმოშობის ბეგების ნაწილი ოსმალთა იმპერიის მხარზეა, ნაწილი კი დამოუკიდებელი ეგვიპტის შექმნისთვის იბრძვის. ამავე დროს, ისინი არც თავიანთ სამშობლოს ივიწყებენ.

2008 წელს მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმი — „სახლი სიხარულისა“ გამოვიდა, რომელიც უკვდავი — „ქეთო და კოტეს“ გადაღების კულუარულ ეპიზოდებს და თბილისურ ესთეტიკას ასახავს. ამას გარდა, ფილმი მე-19 საუკუნის საქართველოსა და ქართული კინოს ისტორი-

აზეცაა და შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ერთგვარი შეჯამებაა. ფილმის სცენარის ავტორია მწერალი აკა მორჩილაძე, რომლის მიერ დაწერილი სცენარების მიხედვით ქართველი რეჟისორები სულ უფრო ხშირად იღებენ ფილმებს.

„ძალიან მახარებს, რომ ჩვენებამ დიდი ინტერესი გამოინვია იმ ქალაქში (საუბარია ქუთასიზე), სადაც პირველი ქართული ფილმი („აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“) ვასილ ამაშუკელმა გადაიღო. ჩემი ფილმი არის ადამიანების შესახებ, რომლებმაც გადაიღეს „ქეთო და კოტე“. ფილმში ასახულია, როგორ წარმოიშვა ჯერ პიესა ამ თემაზე, შემდეგ მუნჯი ფილმი და 40-იან წლებში სრულმეტრაჟიანი ფანტასტიური მიუზუკლი“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი. კინომცოდნე თამთა თურმანიძე კი „სახლი სიხარულისა“ ასე შეაფასა: „ეს გახლდათ დროში მოგზაურობა და რეჟისორმა საოცარი ხელოვნებით გვიჩვენა საქართველოს ისტორია — მე-19, მე-20 საუკუნის თბილისი, თეატრი, კინო. ფილმის გადაწყვეტა ცოტათი უჩვეულოც არის — მხატვრული და დოკუმენტურის ერთგვარი ნაზავია. ამ ფილმმა აუცილებლად უნდა იმოქმედოს შეზე, თუ ხარ ქართველი, თუ გახსოვს ისტორია; ის, რომ ხარ ძალიან დიდი კულტურის ნანილი, რომელმაც შექმნა პოლიფონიური სიმღერა, უნიკალური ცეკვა“.

„ღვინის აკვანი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2011 წელს შეიქმნა. ამ ფილმზე მუშაობისას მუზა რეჟისორს საქართველოში აღმოჩენილმა ყურძნის უძველესმა წიპწამ გაუღვიძა.

„საქართველოშია ნაპოვნი ყურძნის უძველესი წიპწები. არის ველური წიპწაც და გაკულტურებულიც. ეს მიანიშნებს იმას, რომ აქ ცხოვრობდნენ ის ტომები, რომელთაც ადგილზე სოფლის მეურნეობას მოჰკიდეს ხელი. იქ, სადაც წიპწებია ნაპოვნი, ხორბლის უამრავი მარცვლეულიცაა დაცული. ნაპოვნია ჭურჭელი, სადაც ღვინის ლექია შემორჩენილი. ეს იმას მიანიშნებს, რომ ჩვენთან იცოდნენ ღვინის დაყენება. ეს ის ადგილია, სადაც შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადადის ადამიანი, სადაც თესავს და მოსავალს იღებს. ეს უზარმაზარი ნახტომია იმ პერიოდისთვის კაცობრიობის ისტორიაში. თუ ველური წიპწები

თარიღდება მე-60 საუკუნით ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, თბილისის გარეუბანში, დილომში ნაპოვნი გაკულტურებული წიპნები მესამე-მეორე ათასწლეულს, ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. აქ ფორმირდება მეურნეობის სხვადასხვა დარგები. ყოველივე ამან ბიძგი მისცა იმ რეალობას, რომ ამ ადგილას ჩამოყალიბებულიყო კულტურული ურთიერთობების ბურჯი. ვახტანგ გორგასალის გადაწყვეტილება გენიალური იყო. მან იმ ადგილას დააარსა ქალაქი, ის ფუნქცია შესძინა, რომელიც თექვსმეტი საუკუნეა არ იცვლება. ქართველი მეცნიერები ამბობენ, რომ ქართველი ტომები არც არსად წასულან და არც არსაიდან მოსულან. ისინი სწორედ აქ, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ვახტანგმა დე თბილისის ტერიტორიაზე უამრავი უძველესი კულტურის ნიმუშია აღმოჩენილი, რაც მიანიშნებს, რომ აქ მანამდეც არსებობდა მოსახლეობა“ — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი. ეს ისტორია თაობებმა უნდა იცოდნენ და სწორედ ამიტომ უწოდა მერაბ კოკოჩაშვილმა მის ახალ დოკუმენტურ ფილმს „ღვინის აკვანი“.

2007 წელს, როდესაც რეჟისორმა ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას „ღვინის აკვანზე“ მუშაობის ჩანაფიქრი გაანდო, მათ სთხოვეს მერაბ კოკოჩაშვილს — გაეკეთებინა ათწუთიანი პილოტი „ღვინის აკვანზე“, რომელიც მოეწონათ.




სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება. ამის წინაპირობა კი იყო მრავალსერიანი ფილმი — „გზა“. სწორედ მაშინ დააგროვა რეჟისორმა მასალები კავკასიაზე. „როდესაც თრიალეთის თასზე სასმისებით ხელში გამოსახულ პიროვნებებს უყურებ, რომლებიც შესანირით — ბატკენებით მიდიან სიცოცხლის ხისკენ, ხვდები, რომ ღვინოსა და რწმენას შორის ყოველთვის იყო რაღაც კავშირი. აი, ასე ჩაისახა ამ ფილმის გადაღების იდეა“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

რეაქცია თბილისის სურნელზე და ამეტყველებული მეხსიერება

„თბილისი ინგრეოდა მტერთა შემოსევების დროს და მაინც არ ნებდებოდა არასოდეს. ამის მიზეზი ევროპული ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებებში უნდა ვეძებოთ — საქართველო იყო დასავლურ ეკონომიკურ პრინციპებზე აგებული ქვეყანა. ხალხმა იცოდა, რომ ეს მათი ქალაქი იყო. აქ იყო მათი სახლი, მათი მიწა, მათი ვენახი, ამიტომაც ომის შემდეგ ისევ ბრუნდებოდნენ და ისევ სახლდებოდნენ თავიანთ სამოსახლოზე.

აღმოსავლური ეკონომიკური პრინციპების დროს სულ სხვა ვითარება იყო. იქ ყველაფერი პირველ პირს — ხონთქარს, შაჰს, ყაენს ეკუთვნოდა. ისინი ანანილებდნენ ყველაფერს. მათ შეეძლოთ მიეცათ ქვეშევრდომებისთვის მიწა და შემდეგ ისევ წაერთმიათ. არ იყო იქ კერძო საკუთრება. ჩვენთან მეფები ქალებიც იყვნენ და ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არსებული სურათის ჩამოყალიბებისთვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დანგრეულს აღდგენა სჭირდებოდა, აღადგენდნენ ისინი, ვისი მიწა და ქალაქიც იყო თბილისი და, მეორეს მხრივ, რახან თბილისი იყო ცენტრი და აქ თავს იყრიდა სხვადასხვა რელიგიები, უნდა მონახულიყო ურთიერთობის პრინციპი ამ რელიგიებთან. სხვანაირად თბილისი ვერ იარსებებდა. თბილისის ფუნქციიდან გამომდინარე, ეს ორი მხარე მისი არსებობის მთავარი პირობა იყო ჩვენი ერისთვის. ამაზე შენდ-



ძეგლი თბილისი

ებოდა კულტურაც, რომელსაც ზუსტად ასეთივე ხასიათი ჰქონდა.

თბილისური კულტურა ქართული კულტურისაგან ცოტათი განსხვავებულია. არის თბილისური სიმღერები, თბილისური ინსტრუმენტები, თბილისური სასმისები, თბილისური არქიტექტურა. ქართველი იღებდა კულტურულ ფრაგმენტებს სხვა ერების კულტურებიდან, გარდაქმნიდა ისე, როგორც მას მოსწონდა და, საბოლოო ჯამში, იძლეოდა იმ პროდუქტს, რომელიც მისი ეროვნული პროდუქტი იყო. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ყალიბდებოდა თავისი არსით უაღრესად ქართულ პროდუქტად. თბილისი ამ ურთიერთობების წყალობით ძალიან იოლად ითვისებს სხვისი კულტურიდან პროგრესულ მომენტებს, მაგრამ ზუსტი ასლით ამას არასდროს ყლაპავს. მას გარდაქმნის თავის გემოზე, რითაც ეს ყველაფერი ქართულად ყალიბდება.

მეცხრამეტე საუკუნეში, როცა თბილისში იტალიური ოპერა შეიქმნა, იღებდნენ არიებიდან სხვადასხვა სიმღერებს, დაამღერებდნენ გიტარაზე სამ ხმაში და აქედან გამოდიოდა ქართული, თბილისური რომანსი. ვფიქრობ, ეს პრინციპები

არის ძალიან პროგრესული ნებისმიერი ერისა და ადამიანის ცხოვრებაში.

ამასწინაათ, ჩემი ფილმისთვის ერთერთ ეპიზოდს ვიღებ-დით. ერთი ირანული ნარმოშობის ადამიანი გამოგველაპარაკა. — აქაურობა იერუსალიმიაო, — გვიმტკიცებდა. ერთი სიამოვნება იყო მისი მოსმენა... ბუნებრივია, გიხარია, რომ ნებისმიერი ერის ნარმომადგენელს თბილისური ფენომენი ბოლომდე აქვს გაცნობიერებული. თბილისი — ეს იყო საოც-არი გარემო თავისი ცხოვრების წესითა და საკუთარი მორა-ლური კონსტიტუციით.

თავისებური რიტუალი იყო ტრავმაიზე შეხტომა და ჩამოხტომა, ეს მართლაც ერთგვარი ექსტრემი გახლდათ. ზოგიერთი ჩემი ნაცნობისთვის ეს რიტუალი ტრაგიკულად დასრულდა. თავიდანვე მიზიდავდა ის არაჩვეულებრივი არ-ქიტეტურა, რაც მეიდანზე იყო. სხვათა შორის, თბილისში, ბოლო პერიოდში, როცა 30 წლის წინ დაიწყო ძველი ქალაქის რეგენერაცია და რეკონსტრუქცია, ძალიან საინტერესოდ გა-კეთდა ბევრი რამ. ბევრი ირონიაც იყო — ერთ-ერთი პროე-ქტის შემოქმედს შოთა ყავლაშვილს „ბალკონსკი“ შეარქეს. მან აივნები გარეთ გამოიტანა. უმთავრესად აივნები ეზოს შიდა ნაწილი იყო, თუმცა ავლაბრისკენ გარე აივნებიც ძალიან ბევრია შემორჩენილი.

ახლა აპაზანები რომ გვაქვს სახლში, სად იყო ადრე?! კვირაში ერთხელ დედაჩემი მაძლევდა მანეთს თუ ორ მანეთს, უნდა დავმჯდარიყავი ჯერ ერთ ტრავმაიზე, მერე მეორე ტრავმაიზე, რომ იქ მებანავა. მთელი ის უბანი გოგირდის არომატით იყო გაჯერებული. აპანდან რომ გამოდიოდნენ ქალები, მათი ვერცხლის ბეჭდები გოგირდისგან სულ გაშავე-ბული იყო.

ერთი ფილმი მქონდა ჩაფიქრებული (ვერ მოხერხდა მისი გადაღება) — თბილისურ გართობებზე, თამაშებზე, ყეენო-ბაზე იყო. ყეენობა არ მახსოვს, მაგრამ კარგად მახსოვს შახ-სეი-ვახსეი. ბევრი თათარი ცხოვრობდა მეიდანზე, ყველა მუს-ლიმანს თათარს ეძახდნენ. ომის შემდგომ პერიოდში მინახავს, როგორ ირტყამდნენ და ისერავდნენ სხეულს თათრები. სულ

სისხლი სდიოდათ, არ ზოგავდნენ საკუთარ თავს. ამ რიტუ-
ალისას ასახულია ერთ-ერთი რელიგიური გმირის ტანჯვის
სცენა. სხვათა შორის, ანალოგიური მომენტი ქრისტიანო-
ბაშიც არის. სამხრეთ ამერიკაში არის ტრადიცია, ჯვარზე
აკრავენ ადამიანებს, რომელნიც იმ წამებას გამოცდიან თავ-
იანთ თავზე, რაც ქრისტემ გამოიარა. მუსულმანობას უამრა-
ვი რამ აქვს ქრისტიანობიდან აღებული, ამიტომაც არაფერია
გასაკვირი, რომ უამრავი ასოციაცია ჩნდებოდეს მათ რიტუ-
ალებში ქრისტიანულ კულტურასთან. სწორედ ამ რეალობებ-
ითაა ნაკვები თბილისური კულტურაც. იცით, მეხსიერებიდან
ეს ყველაფერი მაშინაც ცოცხლდება, როცა ქალაქებარეთ ხარ
წასული და თბილისში ბრუნდები — უცებ გეცემა თბილისის
სურნელი და გრძნობ ამ ქალაქის უძველეს კულტურულ ფეს-
ვს“, — ასეთია რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ის ემოცია,
რაც მას ქართულ ფენომენზე, თბილისურ ცხოვრებაზე და
ერის სიძველეთა თუ ტრადიციათა პატივისცემაზე ფილმებს
აღებინებს.

მერაბ კოკოჩაშვილს სულ 11 მხატვრული და 10 დოკუ-
მენტური ფილმი აქვს გადაღებული. ამ 11 მხატვრულ ფილმს
შორისაა „ვარიაცია ოტელოს თემაზე (2003 წ.) და მოკლემე-
ტრაქიანი ფილმი — „უსუი“ (2005 წ.).

მსახიობთა შერჩევის თავისებური მეთოდი

ცნობილ და ბუმბერაზ ქართველ მსახიობთა გარემოცვა-
ში ტრიალი მერაბ კოკოჩაშვილისთვის უცხო არ იყო. ჯერ
ერთი — თავადაც მსახიობობდა და მეორე — მის ფილმებში
თამაშსა და მონაწილეობას ყველა ცნობილი მსახიობი თანხმ-
დებოდა. მსახიობთა შერჩევისას მთავარი მაინც ის ალლო და
ინტუიციაა, რომელიც ეპოქალურ რეჟისორად მოვლენილი
მერაბ კოკოჩაშვილის პროფესიონალიზმზე მეტყველებს...

მის ფილმებში ყოველთვის მონაწილეობდნენ ცნობილი
ქართველი მსახიობები და, როგორც ირკვევა, მერაბ კოკოჩაშ-
ვილისთვის ფილმში მონაწილეობაზე უარის თქმა თითქმის
გამორიცხული იყო. სესილია თაყაიშვილი, კარლო საკან-

დელიძე, გიორგი გეგეჭკორი, ზურაბ ქაფიანიძე, გივი ბერიკაშვილი, დოდო აბაშიძე, კახი კავსაძე, ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ ჩხილევაძე, ზაზა პაპუაშვილი, გოგოლა კალანდაძე, სოფიკო ჭიაურელი, ნანუკა ხუსკივაძე, ლევან წულაძე, მედეა ჩახავა — ეს იმ ცნობილ მსახიობთა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც რეჟისორის ფილმებს კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებდნენ.

„მსახიობის არჩევის პროცესი ყოველთვის ძალიან რთულია. ჩემთვის მნიშვნელოვანია პიროვნების სიახლოვე საცენარით შექმნილ სახესთან. აუცილებელია ან სახის დაახლოება მსახიობთან, ან მსახიობის მიახლოება ამ სახესთან. „დიდ მწვანე ველზე“ მუმაობისას დიდხანს ვეძებდი მთავარი როლის შემსრულებელსა და თავიდან დოდო აბაშიძეზე არც მიფიქრია, სიმართლე გითხრათ. ერთ დღესაც, კვირას, კინოსტუდიაში ვიჯექი და ვმუშაობდი. ვფიქრობდი — რა ვქნა? როგორ მოვიქცე? უცებ, ოხვრა გავიგონე, ოხვრა — გულიდან ამოსული. გავიხედე ფანჯარაში და კიბეზე ზის დოდო აბაშიძე და ოხვრავს. მივხვდი, დოდო უნდა ყოფილიყო ჩემი ფილმის მთავარი გმირი და არა სხვა. როცა გადავწყვიტე, რომ სოსანას დოდო აბაშიძე ითამაშებდა, ვერაფრით მოვიფიქრე — ვინ უნდა ყოფილიყო მისი მეუღლე. სამ მსახიობზე შევაჩერე ყურადღება. ორი მათგანი თეატრისა და კინოს შესანიშნავი ოსტატი



სესილია თაყაიშვილი



ლია კაპანაძე



ზურაბ ქაფიანიძე



ნინელი ჭანკვეტაძე



კახი კავხაძე



რამაზ ჩხილვაძე

იყო, მესამე — გაცილებით ნაკლებად გამოცდილი და მაყურებლისათვის უცნობი — ლია კაპანაძე. პირველი ორი სინჯი მაღალი კლასის ოსტატების ნამუშევარი იყო და მეც ერთ-ერთი მათგანი დავამტკიცე როლზე. შემდეგ ლიას ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. ლიამ მომისმინა, წამოდგა, გაილი-მა და მითხრა: — ჩემო მერაბ, შენ მაინც მე გადამიღებო... და წავიდა. ისეთი შინაგანი რწმენა იყო მის ნათქვამში, იმდენი ძალა, თუ გნებავთ ვნება, რომ მე ორი დღე ვითიქრე და მივხვდი, რომ თუ ამ ვნების ეკრანზე გადატანას მოვახერხებდი, ფილმში ორი ერთმანეთის ბადალი სახე შეიძლება დაბადებულიყო. ვფიქრობ, ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. „ცხელი ზაფხულის სამ დღეზე“ მუშაობისას კი კახი კავხაძეზე არჩევანი მაშინ შევაჩერე, როდესაც ასეთ ფაქტს შევესწარი. მივდიოდი პლეხანოვზე, ჩამიარა მანქანამ და გაჩერდა ჩემგან 60 მეტრში. გადმოვიდა კახი, გამოალო უკანა კარი, შეძრა შიგნით და გამოიყვანა ბელა (მეუღლე). ბელა ავადმყო-

ფობდა, უჭირდა მოძრაობა და კახიმ ის მანქანიდან ხელით გადმოიყვანა. მე მივუახლოვდი, არ დამიძახია კახისთვის. იგი შევიდა სადარბაზოში, მივიდა ლიფტთან და იდაყვით დააჭირა ლილაკს ხელი. კარი გაიღო, ლიფტში შევიდა და წავიდა. მაშინ მივხვდი, რომ კახი უნდა ყოფილიყო ამ ფილმის მთავარ როლში. კახი წინასწარ გეუბნება — მე მჭირდება 40 დღე, რათა მზად ვიყო გადალებისთვის. — 40 დღე ჩვენ უნდა ვისხდეთ ერთად, ვიმუშაოთ, ყველაფერი უნდა გავიგო როლის შესახებ და ამის მერე გეტყვი ან ჰოს, ან არას — ასეთია კახის პოზიცია. 40 დღე მართლაც ვიმუშავეთ ერთად და მას შემდეგ, რაც გაირკვა — როგორი უნდა ყოფილიყო გარეგნულად, რა უნდა ცმოდა, როგორ უნდა ელაპარა და ა.შ., კახი მთავარი როლის შესრულებაზე დამთანხმდა. ასე რომ, ყველაფერი არჩევანით იწყება და ამ არჩევანში მონანილეობს როგორც შინაგანი იმპულსი, ასევე, ბუნებრივია, ინტელექტიც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს პროფესიონალ მსახიობებთან მუშაობა, რომლებიც თვითონ ამდიდრებენ როლს, დიდი სიამოვნებით ვმუშაობ არაპროფესიონალებთანაც, ვისაც სწორედ რეჟისორმა უნდა შეუქმნას პირობა დამაჯერებელი მოქმედებისათვის. სიტყვაში „პირობა“ ვგულისხმობ მეთოდს, როდესაც რეჟისორი სხვადასხვა საშუალებით მსახიობს ან არამსახიობს უქმნის ისეთ გარემოს, ან ურთიერთობათა კომპლექსს, რომელიც მართალი ქმედების აუცილებლობას იწვევს“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

უნივერსიტეტი და პედაგოგიური მოღვაწეობა

მერაბ კოკოჩაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამორჩეული სახეა. რეჟისორს ძალიან ეძვირფასება უნივერსიტეტი, რომელთანაც მისი წინაპრებიც კი იყვნენ დაკავშირებულნი. მერაბ კოკოჩაშვილის ბაბუამ დავით ჯორჯაძემ, რომელსაც სახლში არაჩეულებრივი ბიბლიოთეკა ჰქონდა, 1918 წელს, როცა უნივერსიტეტი შეიქმნა, მთელი თავისი ბიბლიოთეკა უნი-

ვერსიტეტს გადასცა საჩუქრად. ამ ქველმოქმედების სანაცვლოდ, მას საშუალება მისცეს — უნივერსიტეტის წინ ჭადარი დაერგო. მერაბ კოკოჩაშვილმა არ იცის, რომელი ხეა ბაბუა-მისის დარგული, მაგრამ ის ნამდვილად იცის, რომ უნივერსიტეტის წინ დარგულ ერთერთ ხეს მისი წინაპრის ხელი ატყვაია.

მერაბ კოკოჩაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში 1970 წლიდან მოვიდა. 1990-2002 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის პედაგოგი. 1993-2004 წლებში გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოს ენისა და სტრუქტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი. სწორედ ამ ლაბორატორიაში მომზადდა მისი თაოსნობით „ქართული კინოს ენციკლოპედიური ლექსიკონი“.

2006 წლიდან დღემდე მერაბ კოკოჩაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი და ასოცირებული პროფესორია. რეჟისორი ამბობს, რომ სრულ პროფესორობაზე არ უფიქრია, რადგან პარალელურად ქართული კინოს განვითარების ცენტრის დირექტორობა, საქართველოს კინემატოგრაფიისტთა კავშირის მდივნობა, სატელევიზიო ფილმების სტუდია „ტელეფილმის“ სამხატვრო ხელმძღვანელობა თუ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორობა მას უკვე წლების მანძილზე არ უტოვებდა და არ უტოვებს დამატებით დროს — დათანხმდეს უნივერსიტეტში კიდევ უფრო საპასუხისმგებლო და შრომატევად თანამდებობას.

ყველა რექტორის პირობებში მერაბ კოკოჩაშვილი ხელშეუხებელი იყო. ეს ეხება იმ ავადსახსენებელ პერიოდსაც (2006 წ.), როცა უნივერსიტეტიდან პროფესორთა მასიური დევნა დაიწყო. მაშინ რეჟისორს არავინ შეხებია და უნივერსიტეტში ჩვეულებრივ აგრძელებდა საქმიანობას. გარდა ამისა, 2013 წლიდან დღემდე მერაბ კოკოჩაშვილი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტშიც კითხულობს ლექციებს და სამაგისტრო ჯგუფის



ხელმძღვანელია. იგი ახლა ყველაზე დიდ საქმეს აკეთებს — ახალგაზრდობას გადასცემს იმ გამოცდილებას, რაც წლების განმავლობაში დააგროვა. რომელი უფრო გადასწონის — რე-ჟისურა თუ პედაგოგობა, მერაბ კოკოჩაშვილისთვის ძნელი სათქმელია: „ორივე ავსებს ერთმანეთს... საქმე ისაა, რომ ახ-ალგაზრდასთან ურთიერთობა არის ის, რაც შენ გკვებავს. ეს საუბრები არის არა მხოლოდ ლექცია და თეორიული საუბრე-ბი, არამედ ყოველთვის გადადის კონკრეტულ რეალობაში. აქედან გამომდინარე, ლექციები არის უწყვეტად ცოცხალი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს სხვადასხვა თაობის ადამიანი“, — ამბობს იგი.

ქართულ და უცხოურ სასწავლო გარემოზე და, ზოგა-დად, კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე რეჟისორს თავისი მოსაზრება აქვს და არც მაღავს, რომ თუ ეს საკითხი სახელმწიფომ პრიორიტეტად არ აქცია, ცოტა ხანში მხოლოდ ისტორიალა დაგვრჩება თავმოსაწონებლად: „იქ დიდ თანხ-ებსაც იძლევიან გადასაღებად და მოთხოვნაც დიდია“, — სინანულით ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი და ცდილობს ცოტა

მაინც ჩაგვახედოს პრობლემაში, რომლის წინაშეც ქართული კულტურა და კინემატოგრაფი დგას: „ძალიან საინტერესო თაობა მოდის, მაგრამ ბოლო დროს იყლო მათმა რიცხვმა, ვისაც კინო აინტერესებს. საქმე ისაა, რომ რთული პროფესია, მასში ფულის დაბანდება არავის უნდა და ახალგაზრდებსაც ნაკლებად სჯერათ იმისა, რომ ისნავლიან და მოახერხებენ გადაღებას. შარშან, მაგალითად, თეატრისა და კინოს ინსტიტუტში სარეჟისოროზე მიღება საერთოდ არ იყო. ახლა ამბობენ, რომ 4 წელიწადში ერთხელ უნდა მივიღოთ, რადგან ბევრი რეჟისორი დაგროვდათ. ჩემი აზრით, ქვეყანამ კულტურას უნდა მიხედოს, ეს უნდა იყოს პრიორიტეტი. უამრავი რამაა გასაკეთებელი და ხელისუფლების მხრიდან ყურადღებამისაქცევი. კინოსტუდია იმისთვის უნდა არსებობდეს, რომ ფილმებს იღებდეს, სხვა ამოცანა მას არ აქვს, მაგრამ სახელმწიფო ფულს არ გვაძლევს. ამიტომ ჩვენი ქონების საშუალებით უნდა ვიშოვოთ ფული, რომ გადავიღოთ. ეს სხვადასხვა გზით შეიძლება. მათ შორის, კინემატოგრაფიული საშუალებით ფულის შოვნის გზა არის იმ ფილმების ჩამოტანა და გაციფრულება, რომელიც მოსკოვის საცავებშია თავმოყრილი, რადგან საბჭოთა ფულით იყო გადაღებული. ეს რომ დავიბრუნოთ, სახელმწიფო უნდა გაიღოს თანხა. 700 ფილმზეა ლაპარაკი (ფირზე გადაღებული). ეს არის ფილმები, რომელიც საზოგადოებამ უნდა ნახოს და ტელევიზიამ გამოიყენოს, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის ჩვენი კინოისტორია და ხელისუფლებამ ეს უნდა გააკეთოს“, — დასძენს მერაბ კოკოჩაშვილი.

• • •

უნივერსიტეტში მოღვაწეობის ბოლო პერიოდში მერაბ კოკოჩაშვილმა თავისი მიმართულების ბაზაზე რამდენიმე საუნივერსიტეტო ფილმი შექმნა. ტელე-კინო-ხელოვნების მიმართულების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროექტის — „მათ შექმნეს უნივერსიტეტი“ ფარგლებში მერაბ კოკოჩაშვილმა შემოქმედებით ჯგუფთან (ნინო გელოვანი, იზა თითბერიძე, დავით გუჯაბიძე, ბესო ორმოცაძე, მერაბ ვაჩინაძე) ერთად გადაიღო ფილმი — „ივანე ჯავახიშვილი“,

რომელშიც მთრობელის როლს თავად ითავსებს. 2018 წელს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით მერაბ კოკოჩაშვილმა გადაიღო ფილმი — „ასი“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა (შემოქმედებითი ჯგუფი — სანდრო ვახტანგოვი, ნინო გელოვანი, მერაბ ვაჩინაძე, ნინო ნატროშვილი, დავით ჩხაიძე, ბესო ორმოცაძე). მასშიც მთხობელის როლს მერაბ კოკოჩაშვილი ითავსებს. ამ ფილმებით გაცოცხლდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია და ამეტყველდნენ მისი დამფუძნებლები.

„გამომდინარე იქედან, რა ტიპის ხელისუფლება იყო ქვეყნის სათავეში, შესაბამისი ზენოლა იწყებოდა უნივერსიტეტზე. როდესაც იყო დემოკრატიული და განათლებული, მორალურად ზნეობრივი ხელისუფალი, მაშინ უნივერსიტეტი თავისუფალი და ავტონომიური იყო; როდესაც მოდიოდა ისეთი ხალხი, ვისთვისაც პოლიტიზირება იყო ერთ-ერთი პრინციპი, მაშინ მთავრდებოდა არჩევითობა, უნივერსიტეტის რექტორს აღარავინ აღარ ირჩევდა და ნიშნავდნენ პირდაპირ. ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. ეს ამბები 21-ე საუკუნის დასაწყისშიც კი განმეორდა. ახლა, კიდევ კარგი, არჩევითობაა ისევ. აქედან ძალიან ნათლად ჩანს, თუ რა პრინციპს ატარებს ხელისუფლება განათლების მიმართ. როგორც კი ის ზენოლას ახორციელებს, მთავრდება თავისუფალი განათლება. ეს ყველაფერი ჩემს საუნივერსიტეტო ფილმებშია ჩადებული. ეს ყველამ უნდა იცოდეს!“ — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

რეჟისორის ხედვა ქართული კულტურის დღევანდელ მდგომარეობასა და მის განვითარებაზე

ის, რომ მერაბ კოკოჩაშვილის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა ეროვნული კულტურის გადარჩენა-დაცვასა და მის პოპულარიზაციას ეძღვნება, მისი პიოგრაფიიდანაც კარგად ჩანს. საქართველოზე შეყვარებული და ქვეყანაში

პრობლემათა კვალზე გააქტიურებულ კულტურის საკითხზე ღრმად მოფიქრალი რეჟისორი მედიის ძალიან ხშირი სტუ-მარია, სადაც იგი მოქალაქის პოზიციიდან აყალიბებს თავის მწვავე სათქმელს... არადა ეს სათქმელი მას აქვს... თანამოაზ-რეებთან ერთად მერაბ კოკოჩაშვილი 2012 წელს მუშაობდა დოკუმენტზე — „ქართული კულტურის დღევანდელი მდგო-მარეობა და მისი განვითარების კონცეფცია“. ამ კონცეფცი-ის ავტორები არიან ზაზა ფირალიშვილი, ლანა ლოლობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თეიმურაზ გოცაძე, ქეთევან ფეიქრიშ-ვილი, შოთა გლურჯიძე, ლელა ფირალიშვილი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, გოგი ჭიჭინაძე. ამ დოკუმენტით მათ შეს-თავაზეს ხელისუფლებას გამოსავალი შექმნილი რთული კულტურული ვითარებიდან და სწორად დასვეს ის აქცენტე-ბი, რაც ამ მიმართულებით ქვეყანას სჭირდება.

„ყველასათვის ცნობილია, რა როლი ითამაშა ქართულ-მა კინომ ერთვნული კულტურის განვითარების ისტორია-ში. რაგინდ საოცრადაც უნდა უდერდეს, საბჭოთა სისტემის შიგნით, იდეოლოგიური წნევის და ცენზურის პირობებში, კინემატოგრაფისტთა სხვადასხვა თაობების ძალისხმევით, შეიქმნა მსოფლიოში აღიარებული ქართული კინოს ფერმე-ნი. (ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო კინომცოდნეობასა და კრიტიკაში ის მოიხსენიებოდა, როგორც ეროვნული — ქარ-თული და არა საბჭოთა კინო). დღეს ის, როგორც ხელოვნების სხვა დარგები, დეგრადაციას განიცდის. არსებობს „საქართ-ველოს კანონი ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ (ფრანგულ სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია, თუმცა შესასწავლია და გამოსაყენებელი იმ პატარა ქვეყნებ-ის კანონმდებლობაც, რომელთაც ბოლო პერიოდში წარმატე-ბას მიაღწიეს — ფინეთი, ნორვეგია, დანია, ბელგია). კანონი შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის მიერ ქართვე-ლი კინემატოგრაფიისტების მონაწილეობით. ვფიქრობთ, კან-ონში გათვლილი სახელმწიფოს და კერძო სექტორის უფლე-ბა-ვალდებულებები ეროვნული კინოს განვითარებისათვის, ამ ეტაპზე, მისაღებია. მაგრამ ის რეალურად არ ხორციელ-

დება, ვინაიდან ხელისუფლება არ ანიჭებს კინოს სათანადო მნიშვნელობას. სახელმწიფოს მხრიდან კინოცენტრის მეშვეობით კინონარმოებისათვის გამოყოფილი ყოველწლიური თანხა უმცირესია, რაც შესაბამისად აისახება გადაღებული ფილმების რაოდენობასა და ხარისხზე.

დღევანდელი მდგომარეობის შეფასების თანახმად, კულტურა არ არის გაცნობიერებული, როგორც ადამიანური ყოფიერების აუცილებელი ფენომენი, სულიერების მთავარი წყარო; ის უმთავრესად გართობის და ბიზნესის სფეროდ აღიქმება. არ არის გაცნობიერებული ქართული კულტურის დანიშნულება ეროვნულ იდენტობასთან და ქართული სახელმწიფოს მომავალთან მიმართებაში. სახელმწიფოს არ გააჩნია კულტურის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა და კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა. კონცეფციის გარეშე დარჩენილ კულტურის ყველა სფეროში მიზანმიმართულად იქმნება „მართვადი ქაოსი“. კულტურის ცნება დაყვანილია გასაყიდი პროდუქტის ცნებამდე და მხოლოდ ტურიზმის ინფრასტრუქტურაზეა მიბმული. აქცენტი კეთდება ცალკეულ პროექტებზე და გრანტებზე და არა საზოგადოების ერთიანი კულტურული ცხოვრების სისტემის აგებაზე. აშკარად იყითხება ოფიციალური კულტურის ჩამოყალიბების ტენდენცია. ხელისუფლების სხ-



ვადასხვა ქმედების შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ცდილობს ამოაგდოს ქართული კულტურა თანამედროვე მსოფლიოს კულტურული სივრცის კონტექსტიდან.

კულტურის პოლიტიკის ორი მთავარი მიზანია: 1. კულტურული წარსულის შენახვა — ისტორიული წარსულის და მეხსიერების გადარჩენა და მოვლა-გაფრთხილება; 2. კულტურული თანამედროვეობის განვითარება — თანამედროვე კულტურაში სიახლეების შექმნის ხელშეწყობა, მათი წარმოჩენა და გავრცელება. უნდა შემუშავდეს საგანგებო სახელმწიფო პროგრამა, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი: საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი კულტურული მოღვაწეობის და შემოქმედებით პროცესში მმართველი ძალის ჩაურევლობის უზრუნველყოფა; კულტურის სფეროში მონიპოლიზმის დაუშვებლობა; ხელისუფალთა მხრიდან ვოლუნტარიზმის და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების გამორიცხვა; კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდვავი მონაწილეობის უზრუნველყოფა; კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელმისაწვდომობა და საჯაროობის შეუზღუდველობა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; შემოქმედებითი თავისუფლების დაცვა; კულტურის დაცვა მასკულტურის გამანადგურებელი გავლენისგან; კულტურული მერკევიდრეობის დაცვა მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების მიხედვით; საქართველოში მცხოვრები ეთნოსების კულტურების წახალისება, მათი ჩართვა ერთიანი კულტურული პოლიტიკის განხორციელებაში; კულტურის სფეროში დაფინანსების გაზრდა ევროკავშირის ქვეყნების ნიმუშის მიხედვით (სუბსიდიები, ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შემოღება) — დაწესდეს საგადასახადო პრივილეგიები კულტურაში ინვესტირების მსურველთავის; კულტურის ყველა სფეროს მომცველი სახელმწიფო კონკურსების დაფუძნება; ჩაკეტილი, ავტორიტარული კულტურული სივრცე შეიცვალოს ლია, მოზაიკური კულტურული სივრცით; ხელი შეეწყოს პლურალიზმს — დაფუძნდეს ფართო სპექტრის პროფესიონალებისაგან შემდგარი საბჭოები და კომისიები; გამოირიცხოს ოფიციალური კულტურის

ჩამოყალიბება, შეწყდეს ერთი რომელიმე მიმდინარეობის ან ავტორის წახალისება მეორის საზიანოდ; აიკრძალოს ცენ-ზურა; ტელევიზიაში დაფუძნდეს კულტურის არხი; პრესასა და მედიაში სახელმწიფო-საინფორმაციო პოლიტიკა წარი-მართოს თანამედროვე ქართული კულტურული სპექტრის სრულად ასახვის მიზნით; ყველა ხელოვანს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თავის წარმოჩენისა და განვითარებისათ-ვის“, — ეს არის ის სათქმელი, რასაც მერაბ კოკოჩაშვილი და მისი თანამოაზრები მუდმივად აფიქსირებენ საქართველო-ში კულტურული ცხოვრების გადარჩენისა და განვითარები-სათვის.

სელისუფლებასთან და პოლიტიკასთან მიმართება

„ყველა პერიოდს თავისი დადებითი და თავისი უარყოფ-ითი მნიშვნელობა ჰქონდა. როცა ზვიად გამსახურდიაზეა საუბარი, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ის იყო პიროვნე-ბა, რომელმაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამავე დროს, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ და სახელმწიფოს მეთაურმა, დაუშვა ისეთი პირობა, როცა საზოგადოება დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამას მოჰყვა რე-ალურად პოსტიდან მისი წასვლა. მე ყოველთვის ვცდილობ ვიყო თავისუფლების და სიმართლის მხარეს. ასეთი და-პირისპირება, რომელიც საქართველოში პირველად არ მომხ-დარა, პოლიტიკურ მოღვაწეს თავიდან უნდა აეცილებინა. ისტორიულად ეს ხშირად ხდებოდა. ერეკლე მეფის შვილები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რაც ყველამ იცის. საქა-რთველოს უბედურება სწორედ იმაშია, რომ ეს არის უაღრე-სად ინდივიდუალური პიროვნებების ერი, უნიჭირესი ერი, რომელშიც ამ ინდივიდუალობის გამო ერთმანეთს შორის ისეთი დაპირისპირება მნიშვნელობა ხოლმე, რომ ხშირად სახ-ელმწიფოს ინტერესები ენირება ამას. ამის ერთ-ერთი მაგალ-ითი სწორედ გამსახურდიას მმართველობის დროს უკავ-შირდება.

ეღუარდ შევარდნაძის პერიოდი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მან შეძლო მსოფლიო არენაზე საქა-



რთველოსთვის მნიშვნელოვანი ფუნქციის მინიჭება და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება. ეს გამსახურდიამ ვერ მოახერხა. შევარდნაძემ ეს გააკეთა, მაგრამ მეორე მინუსი აღმოაჩნდა — მან ვერ შეძლო კორუფციის პრობლემის მოგვარება, მისი ზოგიერთი ახლობელიც კი აღმოჩნდა ჩართული კორუფციის სისტემაში. იმდენად გართულდა საქმე, რომ საზოგადოების ნაწილმა სააკაშვილ-უვანიას დაუჭირა მხარი.

მე „ვარდების რევოლუციას“ მხარს ვუჭერდი, მიუხედავად იმისა, რომ მანანა შევარდნაძე და მე ერთ სტუდიაში ვმუშაობდით. მე სამხატვრო ხელმძღვანელი ვიყავი, ის დირექტორი იყო. საუბრებიც კი გვქონდა, რომ ძალიან რთულდება ვითარება. მე ვეუბნებოდი კიდეც — იძულებული ვარ, ახალ ძალას დავუჭირო მხარი-თქო. მისთვის ეს არც დამიმალავს. გასული ვიყავი მოედანზე, როცა შევარდნაძე პარლამენტიდან გამოიყვანეს. ფორმა არ მომენტონა, რადგან არასდროს ვემხრობი ძალადობრივ ქმედებებს. მაშინ შევარდნაძემ საოცრად სწორი ნაბიჯი გადადგა და დათმო პრეზიდენტის პოსტი. ბრძენი ადამიანი იყო. მას ქართული კულტურისა და კინოსთვისაც ბევრი კარგი აქვს გაკეთებული.

შემდეგ მოდის პერიოდი, როდესაც ვითომ დემოკრატიული სვლით ქვეყანაში მკვიდრდება ერთპიროვნული მმართველობა (სააკაშვილის პერიოდზეა საუბარი). არ შეიძლება არ გაღელვებდეს იგივე ზურაბ ქვანიას ჩამოცილება. თანდათან მე მივედი იქამდე, რომ აღარ შეიძლებოდა მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერა, როცა ასეთი რამ ხდება და ნელ-ნელა კონსტიტუიციაც კი იცვლება იმ მიმართულებით, რომ დემოკრატიული ქვეყანა კარგავს დემოკრატიას, რომ ერთი ადამიანის ნებისმიერი ნათევამი თურმე ჭეშმარიტება უნდა ყოფილიყო, რასაც უმდიმესი შეცდომა და ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვაც კი მოჰყვა, რისი პატიებაც დაუშვებელია. ნელ-ნელა საზოგადოება როცა ამას მიხვდა, დაუპირისპირდა სისტემას, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს უზარმაზარი ძალა და შესაძლებლობები ჰქონდა. როდესაც ვუყურებდით — რა ხდებოდა ქუჩებში, რა ძალადობა იყო საზოგადოების მიმართ, როგორ შეიძლებოდა, ჩაგეთვალა, რომ ეს არის სწორი. ბუნებრივია, იქამდე მივიდა საქმე, რომ არჩევნებით მოხდა ხელისუფლების ცვლა და არჩევნებმა აჩვენა, რომ ისე აღარ შეიძლებოდა გაგრძელება.

საერთოდ, ქართველი ადამიანის ინდივიდუალიზმი ძალიან უშლის ხელს ურთიერთგაგებას. ის, რაც მოახერხა ქართულმა კულტურამ და ხელოვნებამ (თუნდაც მრავალხმიან სიმღერას ვგულისხმობ, სადაც სხვადასხვა ხმა ურთი-

ერთჭიდილშიც კი ბოლოს ჰარმონიაში მოდის), ვერ მოვახ-ერხეთ პოლიტიკაში. მესმის გაცილებით მეტი დრო სჭირდება ქვეყნის დალაგებას და იმედი მაქვს — თაობები ნელ-ნელა შეძლებენ ამას“, — ასეთი გახლავთ რეჟისორ მერაბ კოკო-ჩაშვილის მოქალაქეობრივი პოზიციები, რასაც გულწრფე-ლად ამხელს.

პრიზები და ჯილდოები

მერაბ კოკოჩაშვილს, რომელიც 1974 წლიდან 2004 წლამდე სატელევიზიო ფილმების სტუდია „ტელეფილმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, წლების განმავლობაში სტუდიაში გადაღებულმა ფილმებმა მრავალი პრემია მოუტანა საერთაშორისო ფესტივალებზე (2 რუსთაველის პრემია და 15 სახელმწიფო პრემია). იგი 2015 წლიდან დღემდე შპს/ს.ს. „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ დირექტორია. გახლავთ ვენის, ობერჰაუზენის, ერევნის, მინსკის, კიევის, ბელორუსის, უკრაინის, რუსეთის და სხვა კინოფესტივალების ლაურეატი.

1983 წელს მერაბ კოკოჩაშვილს მიენიჭა სახალხო არტისტის წოდება.

1986 წელს რეჟისორს მიენიჭა რუსთაველის პრემია დოკუმენტური ფილმისთვის — „გზა“.

2019 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მერაბ კოკოჩაშვილი უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. მანამდე იგი ივანე ჯავახიშვილის მედლითაც არის დაჯილდოებული.

მერაბ კოკოჩაშვილის სტუდენტების არაერთი ფილმი იყო ნაჩვენები და დაჯილდოებული საერთაშორისო და ეროვნულ კინოფესტივალებზე.

~ 2 ~

რას ჰყვებიან მერაპ კოკოჩაშვილზე კოლეგები, ხელოვანები და ახლოპლები

ელდარ შენგელაიას წარმოდგენები მეგობარ მერაპ კოკოჩაშვილზე

მერაპ კოკოჩაშვილი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავიანთი არსით უცვლელნი რჩებიან. იგი დღე-საც ისეთივეა, როგორსაც ბავშვობაში ვიცნობდი — ისევ ისეთი კეთილი გამოხედვა, ადამიანებთან ურთიერთობის, მათთან საერთოს მონახვის სურვილი. ესაა მხოლოდ, რომ თმაში ჭალარა გამოერია...

ჩვენ ერთად ვსწავლობდით პირველ ვაჟთა სკოლაში. იგი ორი წლით უმცროსი იყო ჩემზე. მთელი სკოლა იცნობდა, როგორც პატარა პაატას, იმ დროს პოპულარულ „გიორგი საკაძეში“ რომ ითამაშა. ჩვენი უბრალო ნაცნობობა მალე მეგობრობაში გადაიზარდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ მანაც საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში გადაწყვიტა ჩაბარება. პირველი სემესტრის შემდეგ მე ადრე დავბრუნდი თბილისში და მერაბის დავალებით, მისი ახლობლები ვინახულე. მერაბის დედას და დედას აღელვებდათ მისი მომავალი. ალბათ, იმიტომ, რომ მასზე უფროსი ვიყავი, როგორც „გამოცდილს“, მეკითხებოდნენ — დადგება თუ არა



მერაბისგან რეჟისორიო. მეც „კომპეტენტურად“ და დარწმუნებით ვაიმედებდი, რომ მერაბი კარგი რეჟისორი გამოვიდოდა. ჩემი ასეთი პასუხი იმ დროს ფორმალური არ იყო, ვინაიდან მერაბ კოკოჩაშვილის პირველივე სტუდენტურმა ნამუშევრებმა მიიქციეს „ვგიკელთა“ ყურადღება იშვიათი სისუფთავით, უშუალობით, მთავარისა და მნიშვნელოვანის მიგნების სურვილით. მაშინ სტუდენტური ნამუშევრების გასინჯვას მთელი ინსტიტუტი ესწრებოდა. მერაბი მათ რიცხვში იყო, ვისგანაც რაღაც ახალსა და საინტერესოს ელოდნენ.

ჩევნ ძალიან ვმეგობრობდით. სტუდენტურმა ატმოსფერომ, საერთო საცხოვრებელმა, ყოფამ, მისწრაფებებმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა. მერაბი მუდამ მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა. მას ჰქონდა საკუთარი, უფრო ხშირად რომანტიკული წარმოდგენები, ძალზე კეთილგანწყობილი დამოკიდებულება თანატოლთა შემოქმედებისადმი. მის აზრს დიდად აფასებდნენ და დიდი მონინებითა და სიყვარულით ექცეოდნენ. თამაზ მელიავა მერაბს „მერაბულკას“ ეძახდა და ვფიქრობ, ეს გამოგონილი სიტყვა ძალზე ზუსტად გამოხატავს მის ბუნებას.

მერაბ კოკოჩაშვილი დაჯილდოებულია საოცრად კეთილი, რბილი იუმორით. იგი შესანიშნავი მთხრობელია. ძალზე ზუსტად ამჩნევს უფაქიზეს ნიუანსებს. ხშირად უთქვამთ — მერაბს რბილი ხასიათი აქვსო. მაგრამ მისი ხასიათის ეს თვისება არც სიჯიუტეს გამორიცხავს. თუკი რაიმე გადაწყვიტა და მიაჩნია, რომ მისი ეს გადაწყვეტილება სამართლიანია, დაუინებით მიიწევს მიზნისაკენ და ძნელია გადაათქმევინო. ცოდნა და რწმენა იმისა, რისი გაკეთებაც სურს, დამახასიათებელია მთელი მისი შემოქმედებისათვის.

მერაბ კოკოჩაშვილს, როგორც ადამიანს, ყოველთვის ჰქონდა გარკვეული ჩანაფიქრი და მუდამ სურდა რაღაცის თქმა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იგი ყველანაირად ცდილობდა, ჩანაფიქრის თანახმად, მიეღწია მიზნისათვის. როდესაც გავიგთ, რომ ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფლის“ გადაღება ჰქონდა ჩაფიქრებული, ეჭვის თვალით მოვეკიდეთ მის ნამოწყებას, ვინაიდან ძალზე რთულად გვესახებოდა ამ

ნანარმოების კინემატოგრაფიული ექვივალენტისათვის სტილის მოძეპნა, მაგრამ მერაბი ღრმად იყო დარწმუნებული თავისი არჩევანის სისწორეში. ამ რწმენით შეუდგა იგი მუშაობას და შედეგმაც არ დააყოვნა. ფილმი იმდენად არასტერეოტიპული და საინტერესო გამოვიდა, რომ უმაღლ დაიპყრო აუდიტორია. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ქართულ კინოში მოვიდა საკუთარი ხელნერის, საკუთარი შეხედულებების მქონე, სერიოზული, ღრმად მოაზროვნე ხელოვანი. დღესაც არ დაუკარგავს სიცინცხლე, პოეტურობა, სისუფთავე და გრძნობათა სიწრფელე მის შესანიშნავ სურათს „არდადეგები“, რომელიც ბავშვებზე გადაღებული საუკეთესო სურათების რიგშია არა მარტო ჩვენი ქვეყნის მასშტაბით; ჭეშმარიტად პატარა შედევრია მერაბ კოკოჩაშვილის „მიხაც“.

ნებისმიერი ხელოვანის შემოქმედებითი გზის გარკვეულ ეტაპს აქვს თავისი მწვერვალი. ასეთი მწვერვალია მერაბ კოკოჩაშვილის შემოქმედებაში „დიდი მწვანე ველი“. თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და კინემატოგრაფიული გადაწყვეტით ეს სურათი თანამედროვე ქართული კინოს საუკეთესო მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. ეს ნანარმოები წარმოაჩენს მერაბ კოკოჩაშვილის შემოქმედების ფილოსოფიურ ასპექტს, წარმოგვიდგენს მის შესაძლებლობებს.

მთელი რიგი კრიტიკული მოსაზრებების მიუხედავად, ჩემი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენი კინოხელოვნებისათვის მერაბ კოკოჩაშვილის ფილმს „ცხელი ზაფხულის სამი დღე“. პირველი და მნიშვნელოვანი ამ ფილმში ის არის, რომ როგორც იქნა, ჩვენი ეკრანის გმირი გახდა ინტელექტუალური სამყაროს წარმომადგენელი. ქალაქის თემა გამოხატულია ამ გმირის სახეში, რომელმიც თავმოყრილია ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო თვისებები. მეორე — ეს არის თავად ფილმის თემა — ერთს კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება და ზნეობრივი პასუხისმგებლობა.

თავის დროზე აღმაფრთოვანა მერაბ კოკოჩაშვილის ფილმმა „გზა“, რომელიც ჩვენი ერთს ისტორიას ეძღვნება. ეს არის სურათი, რომელსაც (ვიღებ ჩემს თავზე ასეთი განცხადების პასუხისმგებლობას) ჩვენი თაობის ვერც ერთი რეჟისო-

რი ვერ გაართმევდა თავს. სწორედ ამ ფილმზე მუშაობისას იჩინა თავი მერაბისათვის ჩვეულმა სიჯიუტემ და მიზანდასახულობამ. იმისათვის, რომ ეს თემა დაძლიო, თითქმის სპეციალისტი უნდა გახდე ამ დარგისა. მერაბმა ეს შეძლო. მან მიაგნო თხრობის სტილს, საინტერესო ფორმა მოუძებნა მთლიანად ფილმს და გახდა იგი სანახაობრივიც და ღრმად შემეცნებითიც. საყურადღებოა ისიც, რომ რეჟისორმა თავისი ხუთსერიანი ნაწარმოებით კი არ ამოწურა თემა, არამედ პირიქით, ფართოდ გახსნა კარი შემდგომი კინოგამოკვლევებისათვის. ვფიქრობ, ეს ხელოვნების ჭეშმარიტად პატრიოტული ნაბიჯია.

ქართველ კინემატოგრაფისტთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც მერაბ კოკოჩაშვილს არ მიეღოს მონაწილეობა. მისი მოსაზრებები მუდამ ლოგიკური, დასაბუთებული და გასათვალისწინებელია. კოლეგებთან ურთიერთობაში მერაბი ყოველთვის ყურადღებიანი, გულისხმიერი მეგობარია. გახლავთ დიდი გულშემატკივარი ახალგაზრდობისა და მუდამ მზად არის — დახმარების ხელი გაუწოდოს მათ, მხარში ამოუდგეს, წაახალისოს. სატელევიზიო ფილმების სტუდიაშიც, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელს, არ ელევა საქმე. ერთი სიტყვით, დილიდან სალამომდე ციბრუტივით ტრიალებს, ბევრის გაკეთებას ასწრებს და, რაც მთავარია, არასდროს არ ჩივის. მოკლედ, როცა კი ზნესრულ ადამიანზე, ჭეშმარიტ მოქალაქეზე ჩამოვარდება საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ჩემი მეგობარი და კოლეგა — მერაბ კოკოჩაშვილი წარმომიდგება თვალწინ.

**ელდარ შენგელაია
კინორეჟისორი**

რა აერთიანებთ ლანა ღოღობერიძეს და მერაბ კოკოჩაშვილს

ძალიან ამაღლვებელი რამ ყოფილა, როცა დიდხანს იცხოვრებ და გაიაზრებ, რომ არის 2-3 ადამიანი, ვისთან ერთადაც მოდიხარ და მოდიხარ სწორედ რომ პროფესიულ გარემოში. ასე არის ჩემთვის ელდარ შენგელაია და მერაბ კოკოჩაშვილი. დღემდე ერთად ვართ. მე, მერაბს და ელდარს მართლა რაღაც გვაერთიანებდა სულ. ეს იყო პრინციპები — რისთვის მოვედით ამ ქვეყნად? რა არის ჩვენი პროფესია? რატომ გვინდა ამ საქმეში ყოფნა? ზოგჯერ გაცნობიერებული გვქონდა ეს პრინციპები, ხან კი, უბრალოდ, ერთად ვიყავით რაღაც ჯგუფი, რასაც შემდეგ „სამოციანელები“ დაერქვა. ეს საინტერესო მოვლენაა. ჩვენ არც მანიფესტი გამოგვიცხა-ადებია, არც საერთო პრინციპებზე შევჯერებულვართ, მა-გრამ აღმოჩნდა, რომ თურმე გვქონდა დიდი საერთო, თურმე მართლა კინო ცხოვრებით ვცხოვრობდით. ერთი რამ, თუკი დღეს რაიმეზე გული მწყდება, იმ პერიოდის გახსნებაა, რაც კინო ცხოვრებას უკავშირდება, რაც ჩვენი ყოველდღიურობა იყო. ამით ვარსებობდით... დღეს შეიძლება ფილმი გადაიღო, მაგრამ მაინც მარტო ხარ. მაშინ პროცესშიც ერთად ვიყავით. მერაბთან დაკავშირებით შემიძლია ის ვთქვა, რომ „დიდი მწვანე ველი“ — ეს იყო შოკი. იქამდეც საინტერესო ფილმები ჰქონდა მერაბს და უკვე ჩანდა მისი ხელწერა, მაგრამ „დიდი მწვანე ველი“ რაღაც ყველაზე სერიოზული და ღრმა განაცხა-ადია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ბერლინში რამდენიმე ხნის წინ ერთად ვიყავით და მერაბის „დიდ მწვანე ველს“ ვუყურე. ვნახე, იქ როგორ აღიქვა მაყურებელმა ეს ფილმი; მე და ჩემი შვილიც ისე ვადევნებდით თვალს, რო-გორც აღმოჩენას. ვნებების სიმაგრე, საოცარი კინო-კადრე-ბი, შესანიშნავი მსახიობები... მერაბი ის რეჟისორია, რომელ-საც ყოველთვის ჰქონდა სათქმელი და ამ სათქმელს ამბობდა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია მისი დოკუმენტური სერია და განსაკუთრებით მომხიბვლელია ის, რომ თვითონ არის მთხოვნელი, მემატიანე, უამთააღმნერელი. მერაბს

პიროვნული ხიბლი აქვს, კიდევ აქვს გულწრფელობა. ეკრანიდან პირდაპირ ჩანს, რომ ავტორი, ამ ამბის შემქნელი გულწრფელია. მერაბი რაზეც ლაპარაკობს, ეს არის მისი მართლა გულიდან წამოსული სათქმელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ხელოვნებაში. მისი ბოლო დოკუმენტური ფილმები მართლა რაღაც გზაა, რომელიც საქართველომ გაიარა, ესაა მთელი საუკუნე. ამ ბოლო დროს ჩემთვის ემოციურად ძალიან შთამბეჭდავი იყო დედაჩემის მხატვრული ფილმის აღმოჩენა, რომელიც მან 1934 წელს გადაიღო. ის იყო პირველი საბჭოთა ფილმი საბჭოთა კავშირში, რომელიც გადაღებულია ქალი რეჟისორის მიერ, რომელიც აქამდე აკრძალული იყო და ახლა ვნახეთ. მასში მთავარ როლს ასრულებდა მერაბ კოკოჩაშვილის დეიდა — ივლიტა ჯორჯაძე. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველას ყველასთან კავშირები აქვს. ჩემთვის ეს იყო მთავარი აღმოჩენა, რომ მშვენიერი ივლიტა ჯორჯაძე დედაჩემის ფილმში მთავარ როლს ასრულებს. ამან კიდევ ერთი ძაფი გააბა ჩემსა და მერაბს შორის.

მე და მერაბი მოსკოვშიც ერთად წავედით, „ვგიკშიც“ ერთად ვსწავლობდით, თუმცა მერაბი ჩემზე ახალგაზრდაა. ყოველთვის ვუყურებდი, როგორც პატარა მომხიბლავ ბიჭს. იმდენი წელი გვაქვს ერთად გატარებული.... მახსოვს კამათები კინოსტუდიაში. მაშინ მიშა კვესელავა იყო კინოსტუდიის დირექტორი და ჩვენ, ახალგაზრდა რეჟისორები, მოსკოვიდან ახალი იდეებით ჩამოსულები, კინო-ხელოვნებაში გადატრიალების მოხდენას ვფიქრობდით...

სტერეოტიპია, რომ მერაბი ყოველთვის გულწრფელი, ნაღდი, პირდაპირი და პოზიტიურია. მისგან ყოველთვის პოზიტიური მუხტი მოდის. პიონერსაც კი ვეძახდით, რადგან ბავშვური გულუბრყვილობით აღიქვამდა ყოველთვის სამყაროს და ეს სიხალასე და ბავშვურობა დღემდე შერჩა მერაბს.

ორივე რეპრესირებული ოჯახებიდან ვართ. ესეც გვაერთიანებს ძალიან ბევრს იმ თაობიდან. ეს დაღი მოგვყვება... მძიმე ცხოვრება გავიარეთ, მაგრამ ყველას შებრძოლების რაღაცნაირი უნარი გვეკონდა. ზუსტად ვიცოდით — რას ვე-

ბრძოდით; ისიც ვიცოდით — რა გვინდოდა. გვინდოდა თავ-ისუფლება! თუ რამე გვაერთიანებდა, ეს იყო სწრაფვა თავ-ისუფლებისაკენ. ძალიან ძნელი იყო მაშინდელ ცენზურასთან ბრძოლა. მახსოვს, მერაბის ფილმზე რა ამბავი იყო. საბჭოთა ცენზურას არ სჭირდებოდა ისეთი ფილმი, როგორიც მერაბმა გააკეთა („დიდ მწვანე ველზეა“ საუბარი), ამიტომ ბევრი დაბრკოლება ჰქონდა, მაგრამ მაინც ვიღებდით ამ ფილმებს. მაინც გადაიღო მერაბმა „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „მიხა...“ ესეც მერაბის ხასიათია... ყველა ვიბრძოდით თავ-ისუფლებისათვის...

ლანა ლოლობერიძე, კინორეჟისორი

ნინელი ჭანკვეტაძის პირველი შთაბეჭდილება — რატომ არ შეიძლება მერაბ კოკოჩაშვილს უარი უთხრა როლზე

ბატონ მერაბთან ჩემი შეხვედრა ერთ-ერთი პირველი იყო კინოსივრცეში. „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ — ეს ჩემი პირველი როლია მხატვრულ ფილმში.

მიხელ თუმანიშვილი იყო ჩემი გურუ, პედაგოგი. ჩვენს თეატრს ერქვა კინომსახიობთა თეატრი. ბატონი მიშა ძალიან განიცდიდა ხოლმე, როცა მსახიობები თეატრიდან კინოში გადაღებაზე მიდიოდნენ. მოგეხსენებათ, თეატრი, კინოსგან განსხვავებით, ძალიან დისციპლინირებული ორგანიზმია. როცა მივიღე სცენარი, ბატონი მერაბი ამ ფილმს აკეთებდა და მთხოვეს სინჯებზე მივსულიყავი. იმდენად არ მინდოდა — ბატონ მიშას წყენოდა ან ჩემს გამო ანერვიულებულიყო იმის გამო, რომ კინოში წავედი და მივატოვე რეპეტიციები, რომ გადავწყვიტე — მერაბ კოკოჩაშვილისთვის უარი მეთქვა. სცენარი როცა გამომიგზავნეს, დიდი მადლობა გადავუხადე და ვუთხარი — ვერ შევძლებთქო. ეს რეპეტიციის დროს მოხდა. ოთახში რომ დავბრუნდი, ფილმის სცენარი ჯერ კიდევ იღლიაში მქონდა ამოჩრილი. ბატონმა მიშამ მკითხა — სად იყავიო. ვიფიქრე — ანერვიულდება იმის გამო, რომ კინოში როლის სათამაშოდ დამიძახეს... ამიტომ ასე ვუპასუხე: — არ

ინერვიულოთ, ბატონი მიშა, ბატონი მერაბი ფილმს იღებს და მე უარი ვუთხარი-თქო. — რას ჰქვია მერაბ კოკოჩაშვილს შენ უარი უთხარი?! ეხლავე გაიქეცი და დაეწიეო, — მითხ-რა. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, რადგან ასე არასდროს იქცეოდა. ჩემთვის ეს შოკი იყო. გავიქეცი და ბატონ მერაბს ვუთხარი — ბატონი მიშა სინჯებზე მიშვებს და წამოვალთქო. როცა დავპრუნდი უკან, ბატონნა მიშამ მითხრა: — არიან რე-ჟისორები, ვისაც უარი არასდროს უნდა უთხრა. ბატონი მერ-აბი, რასაკვირველია, ამ რანგის რეჟისორია და მე შენ გენდო-ბიო. მან იცოდა ჩემი პასუხისმგებლობა. ეს ყველაფერი ასე რომ არ მომხდარიყო, მე ბატონი მერაბის ფილმში მონაწილე-ობის შესაძლებლობას ხელიდან გავუშვებდი და ბატონი მერ-აბიც ვერ მიხვდებოდა — რატომ ვთქვი თავიდან უარი.

დაუვინცარი იყო პირველი რეპეტიცია, როცა ბატონნმა მერაბმა გამიცნო და მითხრა, რომ ვიმუშავებ მასთან და რომ მთავარი როლის შემსრულებელი იქნება კახი კავსაძე. ჩვენ კინოსტუდიის პატარა ოთახში შევედით სარეპეტიციოდ. მე არანაირი გამოცდილება არ მქონდა კინოში მუშაობის, გარდა ერთი მცირე როლისა სტუდენტობის დროს. არადა მაშინ ძალიან მწარე გამოცდილება მივიღე და სწორედ იმ დროს გადავწყვიტე, რომ კინოსთან ურთიერთობა არასდროს მექნებოდა. ამის შემდეგ ვევდები რეჟისორს, რომელმაც კახი კავსაძის გვერდით აბსოლუტურად თანაბარი ადგილი მიმიჩინა, მელაპარაკებოდა, როგორც თანატოლს, როგორც მისნაირი გამოცდილების მქონე მსახიობს. რომ არა ბატონ მერაბთან შეხვედრა, ალბათ, არ მომინდებოდა კინოში გადაღება. მან საოცარი პერიოდი მაჩუქა... მე ასეთი იდეალური გადაღებები, ასეთი ჯგუფი, ასეთი თანამოაზრები, ასეთი შემოქმედებითი ატმოსფერო ბევრჯერ არ მინახავს. ეს იყო პირველი და დასამახსოვრებელი. შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით. მას მერე იგი ყოველთვის ინტერესდება — რას ვაკეთებ თეატრში.

გარდა იმისა, რომ ის დიდი რეჟისორია, ის არის დიდი პიროვნება, რისი დეფიციტიცაა დღეს და რის ნაკლებობასაც ვვრძნობთ ყველანა. ასეთი პიროვნებები ბევრი არ გვყავს. ძალიან მოსათროთხილებელია მასთან ურთიერთობა, მას-

თან ყოფნაც. ეს დიდი პატივია ნებისმიერი ადამიანისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის... ასეთი ადამიანი მუ-დამ უნდა იყოს თავისი საქმით დაკავებული.

ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი

დავით გუჯაბიძის დაუენწყარი დღეები მერაბ კოკოჩაშვილის გვერდით მუშაობისას

მერაბ კოკოჩაშვილთან ურთიერთობა ერთი უწყვეტი ბედნიერებაა. ამას დაგიდასტურებთ ნებისმიერი, ვისაც მას-თან მუშაობის ბედნიერება ჰქონია, მე კიდევ მითუმეტეს, რადგან ბატონ მერაბთან ჩავაბარე სარეჟისოროზე, ვიყავი მის ჯგუფში და მისი კურსდამთავრებული ვარ. იმ წლებში ძალიან ბევრი გაჭირვება ხვდა ქართულ კინოს და ისე მოხდა, რამდენიმე წელიწადი არ მიმუშავია აღარც ოპერატორად და აღარც რეჟისორად. უცებ, ბატონმა მერაბმა, როგორც ოპ-ერატორს, შემომთავაზა მის ფილმზე — „ნუცას სკოლაზე“ დამდგმელ ოპერატორად მუშაობა. წარმოიდგინეთ, ეს რამხ-ელა ნდობაა. ეს იყო მომენტი, როდესაც იმდენად დიდი იყო პასუხიმგებლობა ჩემი მხრივ, რომ არ მოვერიდე არათერს და ვითხოვდი ყველაფერს მაქსიმალურად (საუკეთესო ფირი, გამჟღავნება და ინფრასტრუქტურა), რაც სჭირდება გადაღე-ბას. ამის შედეგია, რომ ეს ფილმი გამოვიდა ისეთი, რომ მისი ღირსებები აღინიშნა სხვადასხვა ფესტივალებზე როგორც რეჟისურის, ისე გამოსახულების თვალსაზრისით („ნუ-ცას სკოლაზე“ საუბარი). მრავალი პრიზი მოიპოვა „ნუცას სკოლამ“, თუმცა, ვფიქრობ, რომ დღემდე ეს ფილმი კიდევ ელოდება ახალ სიცოცხლეს.

თავისი ფილმებით მერაბ კოკოჩაშვილი ამბობს იმას, რასაც თითოეული ჩვენთაგანი იტყოდა, რომ ისე დაენახა თა-ვისი ქვეყანა, როგორც ცხოვრობს ბატონი მერაბი. ეს არის უაღრესად კეთილგანწყობილი რეალიზმის ფორმა. როცა ვიწყებით „ნუცას სკოლას“, შევთანხმდით — ეს უნდა ყო-ფილიყო პოეტური რეალიზმი. ეს ფორმა ჩვენს ყველა საერ-თო ნამუშევარში ფიგურირებს, რადგან რეალიზმის გარეშე

სიმართლე არ ჩანს, პოეზიის გარეშე კი ცხოვრების დანახვა მკაცრი და შეუბრალებელია. ბატონი მერაბი სხვა ნატურაა, თუმცა ჩემი შეხედულებები აბსოლუტურად დაემთხვა ბატონი მერაბის მსოფლმხედველობას. ოპერატორისთვის უზარმაზარი ბედნიერებაა, როდესაც რეჟისორი ასე თვალდახუჭული გენდობა.

ბატონ მერაბთან ერთად კიდევ არაერთი ფილმი გადავიღე. მახსენდება ისრაელში გადაღებული არაჩვეულებრივი ისტორია ქართველ ებრაელებზე, რომლებმაც გაგლიჯეს საბჭოთა კავშირის კედელი საბჭოთა ებრაელებისთვის, რათა ისინი წასულიყვნენ აღთქმულ მინაზე. ფილმს ასეც ჰქვია — „თუ დაგივიწყო, შენ, იერუშალაიმ!“. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფილმი იყო ქართველი მამლუქების ისტორიაზე, რომელიც გადავიღეთ ეგვიპტეში. ჩვენთან ერთად მუშაობდა ბატონი გოჩა ჯაფარიძე, ცნობილი ეგვიპტოლოგი. ისე გამოვიდა, რომ აპოლონ სილაგაძემ და გოჩა ჯაფარიძემ აღმოაჩინეს იმ ქართველ მამლუქთა საფლავები, რომლებიც იყვნენ ეგვიპტის გამგებლები. ერთმანეთს ებრძოდნენ ხმლით, არადა ერთად წვანან. საოცარი სევდიანი ამბავია... შემდეგ გადავიღეთ აკა მორჩილაძის „ტოტო მუკამბას ბიჭები“ და „უსუი“. მე ბედნიერი ვარ, რომ ბატონ მერაბისნაირ რეჟისორთან ვმუშაობდი წლები.

დავით გუჯაბიძე, ოპერატორი

წინაპირობა, რამაც თსუ-ში კინო-ტელე ხელოვნების პროგრამის წარმატება უზრუნველყო

მერაბ კოკოჩაშვილზე საუბარი ადვილიც არის და რთულიც, რადგან იგი მრავალმხრივი შემოქმედი და ძალიან საინტერესო პიროვნება გახლავთ. მე ბატონ მერაბ კოკოჩაშვილს კარგად ვიცნობ სულ რაღაც 12-13 წელია, თუმცა, მანამდე, რასაკვირველია, ისე, როგორც ბევრმა ქართველმა, მეც ვიცოდი — ვინ იყო მერაბ კოკოჩაშვილი და ვიცნობდი მის შესანიშნავ ფილმებსაც. საქართველოში არ მეგულება ადა-

მიანი (ძალიან პატარას და ახალ თაობას თუ არ ჩავთვლით), ვისაც ნანახი არ აქვს მისი რამდენიმე ფილმი მაინც. ბავშვობის ასაკზე გადაღებული ფილმი „არდაღეგბზე“, რომელიც კოკოჩაშვილის ერთ-ერთი პირველი ფილმია, შესანიშნავად აღწერს სოფელში ქალაქიდან ჩასული ბავშვების პრობლემებს. მე პირველად ეს ფილმი ვნახე, თუმცა გამოგიტყდებით და ვიტყვი, რომ მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი, რომ რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი იყო. ეს გაცილებით გვიან გავიგე. ფილმი, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და რომელმაც დიდი გამოხმაურება მოიპოვა, ეს არის „დიდი მწვანე ველი“. ის მიჩნეულია ერთერთ საუკეთესო ფილმად ქართულ კინემატოგრაფიაში. მერაბ კოკოჩაშვილის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედებიდან გამოვყოფ კიდევ ერთ ფილმს — ეს არის „ცხელი ზაფხულის სამი დღე“. ამ ფილმმა ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში ვფიქრობდი, რომ არ-ქეოლოგი უნდა გამოვსულიყავი. მოგეხსენებათ, ამ ფილმის ერთ-ერთი მთავარი თემა არქეოლოგიური პრობლემებია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მერაბ კოკოჩაშვილის, როგორც რეჟისორის, მუშაობა კინოდოკუმენტალისტიკის დარგში. მას არაერთი ფილმი აქვს ამ უანრში გადაღებული, მაგრამ, მგონია, რომ ქართული კინოდოკუმენტალისტიკის კლასიკად შეიძლება იყოს მიჩნეული მისი მრავალნაწილიანი დოკუმენტური ფილმი — „გზა“, რომელიც საქართველოს ისტორიას ჰყვება დასაწყისიდან მეოცე საუკუნეებდე. ამ ფილმში ბევრი ისეთი კადრია, რომელიც იქამდე არ იყო ცნობილი და ასე ხელმისაწვდომი. ფილმმა, რომელსაც წლიდან წლამდე რამდენჯერმე იმეორებდნენ ხოლმე, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართველების ეროვნული თვითშეგნების განვითარებაზე. ბატონი მერაბის დოკუმენტური ფილმებიდან ბევრია აღნიშვნის ღირსი, თუმცა ეს ფილმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მგონია.

ბატონი მერაბი, როგორც ცნობილი რეჟისორი, ამ სახელით მოვიდა უნივერსიტეტში და მისი ეს ამპლუა უნივერსიტეტს და ფაკულტეტს უკვე აძლევდა საკმაოდ დიდ

წინაპირობას — კინო-ტელე ხელოვნების პროგრამა წარ-
მატებული ყოფილიყო. მე მახსოვს ის პერიოდი, როცა
იგი თავის თანამშრომლებთან, თავის მეგობრებთან, კო-
ლეგებთან ერთად მუშაობდა ამ პროგრამაზე, მის კონცეფცი-
აზე და იმ დეტალებზე, რომლებიც აკადემიურ სივრცეში ყვე-
ლასთვის ცნობილია (ესაა სილაბუსების შექმნა, სასწავლო
პროგრამაში კრედიტების განაწილება და ა.შ.). ვერ ვიტყო-
დი, რომ ბატონი მერაბისთვის ეს რთული საქმიანობა იყო,
უფრო რთული, ვიდრე ფილმის გადაღება, მაგრამ ბატონმა
მერაბმა დიდი შრომა ჩადო ამ საქმეში. ჰუმანიტარულ მეც-
ნიერებათა ფაკულტეტზე არსებობს საბაკალავრო პროგრა-
მა — კინო-ტელე რეჟისორისა და კინო-ტელე ოპერატორის
მოსამზადებელი პროგრამა, რომელსაც პროფესორი მერაბ
კუკოჩაშვილი ხელმძღვანელობს. უნდა გამოვყო მისი დამოკ-
იდებულება, ზოგადად, საქმისადმი და სტუდენტების მიმართ.
სტუდენტი მისთვის არ არის მხოლოდ სტუდენტი. ის კოლე-
გაა და მას ისე უყურებს, როგორ თანასწორს საქმეში, მი-
უხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობისას ბატონმა მერაბმა
შეიძლება ბევრი რამ ასწავლოს მას პროფესიული და ადამი-
ანური თვალსაზრისით. ბატონ მერაბზე, როგორც პიროვნე-
ბაზე, საუბარი ადვილია, თუკი მასთან რამდენჯერმე მაინც
მოგინია შევედრა, რადგან მასთან შევედრა ყველასთვის
დაუვინარია. პირველი, რაც უნდა გამოვყო, ეს არის მისი
სიმშვიდე, მისი სიდარბაისლე — ეს ქართული სიტყვა კარ-
გად გამოხატავს ბატონი მერაბის ხასიათს (მზერიდან დაწ-
ყებული, მეტყველებით დამთავრებული). მისი „ქართული“
დახვენილი და, ფაქტობრივად, უშეცდომოა. მე მინახავს ბა-
ტონი მერაბი ისეთ სიტუაციაში, როცა ამგვარი სიმშვიდის
შენარჩუნება საკმაოდ რთული იყო, მაგრამ გავვოცებულვარ
მისი ასეთი უნარით. მას შეუძლია ურთულეს პირობებშიც კი
შეინარჩუნოს ის სიდინჯეც, სიდარბაისლეც და არისტოკრა-
ტიზმიც, რაც მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.
მასთან ურთიერთობით შეიძლება ბევრი რამ ისწავლო, ბევრი
რამ დაინახო, ბევრი რამ გადააფასო და ბევრ რამეს შეხედო
სხვანაირად. სწორედ ასეთმა ადამიანებმა უნდა ასწავლონ

უნივერსიტეტში და უნდა შექმნან ისეთი კინო-პროდუქცია, რომელიც ფართო აუდიტორიაზე იქნება გათვლილი.

დარეჯან თვალთვაძე, თსუ-ის პროფესორი

ეზოპეს ენა, რამაც მერაბ კოკოჩაშვილი წითელ ტერორს გადაარჩინა

ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი გამორჩეული ხედვისა და ხმის მქონე გენიალური ქართველი რეჟისორია. მისი კინო-შედევრები ხალხს ძალიან უყვარს, მისი ფილმები ყველასთვის მნიშვნელოვანია. მერაბ კოკოჩაშვილის გმირები ხალხმა შეიყვარა, მეტიც, მათი მეტყველება, ფრაზები დამკვიდრდა ყოველდღიურ მეტყველებაში. ბატონი მერაბი ძალიან ფართო დიაპაზონის ადამიანია. მან მოღვაწეობა დაწყო სოცრეალიზმის ეპოქაში. წითელმა ტერორმა იმსხვერპლა მამამისი. ტერორს გადაუჩარჩა დედამისი, დიდი ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილი. რომ არა ეზოპეს ენა, ბატონი მერაბიც წითელი ტერორის მსხვერპლი გახდებოდა და ვერ მოახერხებდა იმის თქმას, რაც მან თავისი ფილმებით გვითხრა. განსაკუთრებით მინდა გავამახვილო ყურადღება ბატონ მერაბზე, როგორც მთხოობელზე. ის არის არაჩვეულებრივი მექართულე. იგი ლაპარაკობს თავანეარა ქართულით. მისი გამორჩეული მეტყველება, მისი ფრაზის მეღლოდიურობა მკითხველს არწმუნებს იმაში, რასაც ბატონი მერაბი ამბობს. ამ ნიჭით ძალიან ცოტა ადამიანია დღეს დაჯილდოებული. იგი დიდი ჰუმანისტია. იგი თავისი ფილმებით სიკეთეს ემსახურება. ფილმები ასახავენ არაჩვეულებრივ სამყაროს. მისი სამყარო არის სრულიად გამორჩეული. ბატონი მერაბი თავისი წინაპრების, თავისი წინაპრების გზის ერთგულია. როგორც ჩვენი კლასიკისი ამბობს, ის ერთგულია „მამულისა თვის-სა“. ბატონი მერაბის წინაპრები ასე ცხოვრობდნენ, ასე ცხოვრობენ მისი პერსონაჟები, ასე ცხოვრობს თავად ბატონი მერაბიც. მერაბ კოკოჩაშვილი ჩვენი უნივერსიტეტის გამორ-

ჩეული სახეა. ის ქმნის იმ ბრენდს, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია და რომლის ისტორიაც ასი წელია გრძელდება.

**ნანა გაფრინდაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი**

მერაბ კოკოჩაშვილის იუბილე თსუ-ში და ფილმში დასმული სწორი აქცენტები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცნობილი ქართველი რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის 84 წლის იუბილე 2019 წლის მარტში აღნიშნა. ქართულ ფილმოგრაფიაში შეტანილი წვლილისათვის და ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მერაბ კოკოჩაშვილი უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. „მერაბ კოკოჩაშვილი წლების განმავლობაში საკუთარ ცოდნას, საკუთარ გამოცდილებას და ფანტასტიკურ ხედვას ახმარს ჩვენი მომავალი თაობის აღზრდას“, — განაცხადა რექტორმა.

„დიდი ბედნიერებაა, იყო მერაბ კოკოჩაშვილის სტუდენტი და გაიზარდო იმ ესთეტიკურ ფასულობებზე, რომელსაც ის ასწავლის როგორც პროფესორი და როგორც რეჟისორი. იგი ჩვენი უნივერსიტეტის გამორჩეული სახეა, რომელმაც რეჟისორთა მრავალი თაობა აღზარდა“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, რომელიც საიუბილეო საღამოს უძღვებოდა.

ღონისძიებაზე თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას ფილმის — „ვინც თავისი თავი შექმნა, self made“ — ჩვენება გაიმართა.

დოკუმენტური ფილმი („ვინც თავისი თავი შექმნა, self made“) მერაბ კოკოჩაშვილს მაყურებელს როგორც პიროვნებას, რეჟისორს, პედაგოგსა და ხელმძღვანელს აცნობს. მისი მოქალაქეობრივი პოზიციების თუ პროფესიული შეფასებების ჩვენებით ფილმი ქმნის იმ რეჟისორის „პროფილს“,

რომელმაც ქართულ კინოში, საბჭოთა ცენზურის პირობების, თავისუფლების იდეა განავითარა და რომელიც დღემდე ამავე იდეოლოგიით ცდილობს ეროვნული კინოს შექმნა-შენარჩუნებას.

„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, ინიციატორებს, ფილმის ავტორს, ქალბატონ ნინო კაჯულიას, რომელმაც არაჩევულებრივი და საინტერესო ფილმი გადაიღო ბატონ მერაბ კოკოჩაშვილზე. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ ბატონ მერაბს დაბადების დღეს და მინდა, მას ვუსურვო ის სიმხნევე და ენთუზიაზმი, რომლითაც ასე გამოირჩევა. ბატონი მერაბი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც თავის დროზე საბჭოთა ცენზურას დაუპირისპირდა და რომელმაც იდეოლოგიურ წესებს გაუძლო. ხელოვნება თავისუფალი აზროვნების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ დიდი მადლობა ბატონ მერაბს მისი შემოქმედებისთვის. მან ქართულ ეროვნულ კინოხელოვნებაში, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, გარდატეხა შეიტანა,“ — განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მაშინდელმა მინისტრის მოადგილემ მიხეილ გიორგაძემ.

„ჩემთვის ამ ფილმის ჩვენება სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ბატონ მერაბ კოკოჩაშვილის ფილმები სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას ასწავლის. ვუსურვებ მას დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებულ შემოქმედებით მოღვაწეობას,“ — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა გიორგი ოთხმეზურმა.

აკადემიური წრის წარმომადგენლები და რეჟისორები აღნიშნავდნენ, რომ მერაბ კოკოჩაშვილის ისტორია, ბოლო ასწლეულის მანძილზე, ქართული კულტურის ჩამოყალიბების ისტორიის ნაწილია და მასზე ფილმის გადაღება ავტორისთვის დიდი გამოწვევა იყო, რასაც შემოქმედებითმა ჯგუფმა თავი წარმატებით გაართვა.

„ფილმში კარგად ჩანს მერაბ კოკოჩაშვილი, როგორც პიროვნება, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია და სხვა; ასევე საკმაოდ კარგად არის ნაჩვენები მისი შემოქმედებითი გზა

— წარსულთან კავშირი, მისი წინაპრები და მათი ისტორია, რომელიც დღესაც ცოცხლობს ჩვენში და რომელიც იმის საწინდარია, რომ მომავალი შეიქმნება... მე, როგორც მაყურებელს, ფილმმა კითხვები არ დამიტოვა და ამომწურავი ინფორმაცია მივიღე... რაც მთავარია, ეს არის სათანადო დაფასება ადამიანის — თუ რა გაუკეთებია მას ქართული კულტურისთვის... საქართველოს ისტორია ხომ ჩვენი კულტურის ისტორიაა, მერაბ კოკოჩაშვილი ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც ამ კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა და სწორედ ეს არის ამ ფილმის მიზანი, რომელმაც ეს მისია შეასრულა“, — ასე შეაფასა ფილმი „self made“ კინორეჟისორმა ლანა ლოლობერიძემ.

„პირველ რიგში, მინდა, მადლობა გამოვხატო ყველას მიმართ, ვინც იზრუნა, რომ დღეს ბატონ მერაბს შევხვედროდით, რათა უნივერსიტეტს გამოეხატა თავისი დამოკიდებულება და დიდი სიყვარული ასეთი შესანიშნავი პიროვნებისა და შემოქმედის მიმართ. აქ წარმოდგენილი იყო გამორჩევით კარგად გაკეთებული დოკუმენტური ფილმი. ჩვენ განებივრებულები ვართ საუნივერსიტეტო დოკუმენტური ფილმებით, მაგრამ დღევანდელი ფილმი იყო ფრიად განსხვავებული. ამას ხელი შეუწყო ბატონი მერაბის გამორჩეულმა ადამიანურმა თვისებებმა, მისმა არაჩვეულებრივმა შემოქმედებამ. ფილმი დატვირთული იყო ძალიან საინტერესო ინფორმაციით და კარგად იყო გამოხატული ის დიდი პატივისცემა და განსაკუთრებული სიყვარული, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი ვატარებთ. გულწრფელად ვულოცავ ყველას, ვინც ფილმის შექმნაში მონაწილეობა მიიღო. ეს არის გარანტია იმისა, რომ უნივერსიტეტს კიდევ არა ერთი დოკუმენტური ფილმი ექნება. ეს ყველაფერი კი ჩვენი დიდი ისტორიაა“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

„დიდი გაბედულება უნდა, რომ კლასიკოს მერაბ კოკოჩაშვილის შესახებ ფილმი გადაიღო. ეს გაბედულება ეყონინო კაკულიას და გააკეთა არაჩვეულებრივი ფილმი. გილოცავთ ასეთი ლამაზი ფილმის დაბადებას ჩვენს უნივერსიტეტში“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.

„გარდა იმისა, რომ ფილმი მაღალპროფესიონალურ დონეზეა გაკეთებული, მას სხვა ღირსება და დატვირთვაც აქვს. ასეთი ადამიანების მეშვეობით შევინარჩუნეთ ბევრი ფასეულობა და ღირებულება, ამიტომ ამის დავიწყება შეუძლებელია. ახალგაზრდობას უნდა ახსოვდეს თავისი ერის ისტორია, სხვაგვარად შეუძლებელია — გაგრძელდეს ბრძოლა თავისუფლებისათვის და იმ ღირებულებებისათვის, რაზეც ამ ფილმშია საუბარი. ამ ფილმმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ საქართველოში ეს კავშირი სულ იყო... მოკლედ კი იმის თქმა შემიძლია, რომ ეს არის ფილმი გმირობაზე, თავდადებაზე და ეს უნდა იცოდეს ახალგაზრდობამ“, — განაცხადა მეუფე დანიელმა.

ახალი თაობისთვის ღვაწლმოსილი რეჟისორის შემოქმედების გაცნობის მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე გაბაშვილმა: „ქართული კინოს ისტორია ათწლეულებს ითვლის. გვყავს უამრავი გამოჩენილი რეჟისორი, ერთ-ერთი მათგანია ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი. ჩვენთვის, ახალგაზრდა თაობისათვის, მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით ღირებულია მისი გამოცდილების, წარმატების ნახვა და გაზიარება“.

ფილმში აღნერილ მერაბ კოკოჩაშვილის პორტრეტს პატარ-პატარია შტრიჩები მოწვეულმა სტუმრებმაც შემატეს. რეჟისორის კოლეგებმა ეროვნული კინოცენტრიდან და კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“, საიუბილეო ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას, მათი თვალით დანახული მერაბ კოკოჩაშვილი გააცნეს.

„დიდი მადლობა ქალბატონ ნინო კაკულიას, რომელმაც ბატონი მერაბის შესახებ ასეთი საინტერესო ფილმი მოამზადა. ბატონ მერაბს, მინდა, დიდი მადლობა გადავუხსადო იმ თაობის სახელით, რომელსაც მისი ფილმი საბჭოთა ჩაკეტილობასა და სტაგნაციას უმსუბუქებდა. მათთვის ასეთი შედევრების ნახვა ნამდვილად დიდი შვება იყო. ვფიქრობ, ბატონ მერაბს მხოლოდ „დიდი მწვანე ველი“ რომ გადაედო, საქართველო მაინც ჩაითვლებოდა ერთ-ერთი საინტერესო

კინოისტორის მქონე ქვეყნად“, — განაცხადა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა მაია ჭილაშვილმა.

„ბატონი მერაბი ერთადერთი ადამიანია კინოსტუდიაში, რომელსაც ხელფასი არ აქვს. ამბობს, რომ ეს თანხა უნდა გადადოს სტუდიის გაციფრვის დეპარტამენტისა და გაციფრვის აპარატურის შესაძენად. ამისათვის დიდი მადლობა მას“, — აღნიშნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელმა.

თავად რეჟისორმა კი ქართული კინოს განვითარების პროცესში უნივერსიტეტელ მეცნიერებთან ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობაზე, შედეგებსა და უნივერსიტეტის ტელე-კინო ხელოვნების მიმართულებაზე აღზრდილი ახალი თაობის რეჟისორების მიღწევებზე ისაუბრა.

„განსაკუთრებული მადლობა ფილმისთვის ქალბატონ ნინო კაკულიას. მე მესმის — რა შრომაა დახარჯული, უზარმაზარი მასალაა შეგროვებული... და დიდი მადლობა უნივერსიტეტის... როგორც ფილმში იყო აღნიშნული, მართლაც დღე არ გაივლის, რომ არ შემოვირბინო, სულერთია — მაქვს ლექცია, თუ — არა. მადლობა მათ, ვინც დააარსა ეს ყველაფერი — ბეგო ბეჟუაშვილს, რომელმაც სისხლი ჩააქცია და მეორადი ფაკულტეტი შექმნა. არ შეიძლება ამაყი არ იყო, როდესაც იცი, რომ შენთან ერთად იქ შესანიშნავი ადამიანები მუშაობდნენ როგორც კინემატოგრაფიიდან, ასევე მეცნიერებიდან. აკაკი ბაქრაძემ უკანასკნელი წელიწადნახევარი ჩვენთან გაატარა და დაწერა პატარა წიგნი, სადაც ქართულ კინოზე სრულიად ახალი ხედვაა წარმოდგენილი. ასევე, არ შეიძლება მადლობელი არ ვიყო ტატა თვალჭრელიძის, რომელმაც შექმნა შესანიშნავი ჯგუფი — „კინოს, ენისა და სტრუქტურის ლაბორატორია“. ამ ლაბორატორიაში შეიქმნა საზოგადოებისათვის ძალიან საჭირო და აუცილებელი წიგნი — „ქართული კინოს ენციკლოპედიური ლექსიკონი“. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ყოველ დღე ვხედავ ამა თუ იმ ტელევიზიის გადაცემებს, სადაც ჩვენი კურსდამთავრებულების სახელი და გვარები ჩანს. ჩვენი ერთ-ერთი სტუდენტი იზი თითბერიძე კი ამერიკის უმაღლესი სასწავლებლის



მაგისტრანტი გახდა და მისი ფილმი სტუდენტური ოსკარის ფინალში მოხვდა. მადლობა მინდა გადავუხადო მათ, ვინც იდეა მოგვაწოდა, რომ უნივერსიტეტის დამფუძნებლებზე ფილმები შეგვექმნა. მადლობა ამისთვის ჩემს თანამშრომელს ნინო გელოვანს. ეს ფილმები საზოგადოებრივ მაუწყებელ-თან თანამშრომლობით კეთდება.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს რექტორს, რომელიც ყოველთვის გვერდით გვიდგას და ბატონ მიხეილ გიორგაძეს, რომელიც ენდო ჩვენს სტუდიას „ქართულ ფილმს“ და მოგვცა საშუალება, რომ არა ერთი ფილმის ფირი გაგვეცოცხლებინა. კარგია, რომ დაიწყო ფიქრი განათლების სისტემის მხარდა-საჭერად. ზუსტად ასეთი ნაბიჯია გადასადგმელი კულტურის მიმართ. კულტურა უნდა გახდეს პრიორიტეტი — ეს ჩემი ღრმა რწმენაა...“ — განაცხადა რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა.

საიუბილეო საღამოზე საკმაოდ ბევრჯერ გაიუღერა სიტყვა „მადლობამ“. საქმეს, რის გამოც მერაბ კოკოჩაშვილმა საზოგადოების ასეთი მადლიერება დაიმსახურა, რეჟისორი ახლაც აგრძელებს თუნდაც იმ პოზიციის გამოხატვით, რომ, მისი თქმით — „კულტურა უნდა გახდეს პრიორიტეტი“.

მერაბ კოკოჩაშვილის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის — „ვინც თავისი თავი შექმნა, self made“ — ნახვა ფართო საზოგადოებას რეგიონული ტელეარხებისა და ვებ-გვერდის, ასევე youtube-ს საშუალებით შეუძლია.

სტატია მოამზადა
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ უურნალისტმა
ნატო ობოლაძემ





შიხეილ ვიორგაძე მერაბ კოკოჩაშვილის 84 წლის იუბილესადმი მიძღვნილ
ლონისძიებაზე



თსუ-ის რექტორმა ვიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის მედალი გადასცა
მებარ კოკოჩაშვილს მისი 84 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ლონისძიებაზე



თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის გამოსვლა მერაბ კოკოჩაშვილის 84 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე



ლანა ლოლობერიძე და მერაბ კოკოჩაშვილი მისი 84 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე



ბერაბ კოკოჩაშვილი გადაღებაზე



დავით გუჯაბიძე და მერაბ კოკოჩაშვილი გადამდებ ჯგუფთან ერთად
ეგვიპტეში




გორჩა ჯაფარიძე და მერაბ კოკოჩაშვილი ქართველ მამლუქებზე გადაღებულ ფილმზე მუშაობის პროცესში



დავით გუჯაბიძე და მერაბ კოკოჩაშვილი სტამბოლში




დავით გუჯაბიძე და მერაბ კოკოჩაშვილი კაიროში




მერაბ კოკოჩაშვილი შემოქმედებით პროცესში (კაირო)



მერაბ კოკოჩაშვილი, დავით გუჯაბიძე და გურამ ბათიაშვილი ქართველ ებრაელებზე გადაღებულ ფილმზე მუშაობისას



დავით გუჯაბიძე და მერაბ კოკოჩაშვილი იერუსალიმში



მერაბ კოკოჩაშვილი ფილმზე — „ღვინის აკვანი“ მუშაობის პროცესში



მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის — „ღვინის აკვანი“ გადაღების პროცესი



მერაბ კოკოჩაშვილი ფილმზე მუშაობისას



მერაბ კოკოჩაშვილი ფილმზე — „ნუცას სეოლა“ მუშაობისას



მერაბ კოკოჩაშვილი ისრაელში



მერაბ კოკოჩაშვილი თსუ-ის სააქტო დარბაზში



მერაბ კოკოჩაშვილი დაჯილდოების ცერემონიალზე



მერაბ კოკოჩაშვილი მეუღლესთან, მანანა მეძმარიაშვილთან ერთად



გერაბ კოკოჩაშვილი მეუღლესთან, მანანა მეძმარიაშვილთან ერთად



მაია კოკოჩაშვილი — გერაბ კოკოჩაშვილის ქალიშვილი წინანდლის
სახლ-მუზეუმში




მაია კოკოჩიაშვილი და ელენე გოგლიძე (ნინო ჭავჭავაძის კაბაში) ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში



ხათუნა და მაია კოკოჩაშვილები (მერაბ კოკოჩაშვილის ქალიშვილები)



ელენე გოგლიძე (მერაბ კოკოჩაშვილის შვილიშვილი)



გერაბ კოკოჩაშვილი სახლში



სამელნე კალმისტარით, რომელიც ჭავჭავაძეების ბებიების ოჯახში შემორჩა



მერაბ კოკოჩაშვილი სახლში



სამახსოვრო ჭიქა, რომელზეც გამოსახულია მერაბ კოკოჩაშვილი ფილმში — „არ დაიდარდო“



მერაბ კოკოჩაშვილი კინოსტუდიის საჩუქრით 85 წლის აღსანიშნავად.
თოჯინაზე გამოსახული ნარნერა მერაბ კოკოჩაშვილის მომავალი ფილმის
სახელწოდებაა

დ 3 დ

ოჯახური გარემო

დილით სახლიდან ადრე გამოდის. მთავარია — შვილიშვილს ყავა დაუსხას და მოასწოროს მასთან გამოლაპარაკება. საქმე უამრავია... ჯერ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ელოდებიან... შემდეგ 2 საათზე ლექცია აქვს ჯავახიშვილის უნივერსიტეტში — იქაც მისასვლელია... საღამოს აკა მორჩილაძის მოთხოვის მიხედვით დაწერილ სცენარს უნდა ჩაუჯდეს — ამ ახალ ფილმზე მუშაობს... თუმცა ამის გაკეთება მეორე დღისთვისაც შეიძლება, რადგან საღამოს 8 საათზე ტელეკომპანია „იმედშია“ შესარბენი — სტუდიაში ელოდებიან... სათქმელი ბევრი აქვს: კინო-სტუდია „ქართულ ფილმში“ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიის შესაბამისი ტექნიკის შემოტანისთვის საბრძოლი აქვს, რათა ფილმების გაციფრულება მოხდეს... ამ თემაზე ომი აქვს გამოცხადებული ხელისუფლებასთან და წუხს ძალიან, რომ ეს საშვილიშვილო საქმე ფერხდება... ასე რომ, „იმედში“ აუცილებლად მისასვლელია... მოკლედ, დღე განერილია... ხვალინდელზე ხვალ იფიქრებს... ხვალ იმაზე ფიქრს დაიწყებს — გოდერძი ჩიხელის მოთხოვის გადაღებისთვის საჭირო ანიმაციის გასაკეთებლად საიდან მოიტანოს ფული... მხოლოდ კინო-ცენტრიდან მიღებული თანხა ამისთვის არასაკმარისია... თუმცა ხვალ შაბათია და სჯობს შინ დარჩეს... — სწორედ ასეთ გრაფიკში განერილებს მოგვიწია ერთეულთ შაბათს კოკოჩაშვილების ოჯახში სტუმრობა და რეჟისორის „პირად არქივშიც“ ჩავიხედეთ...

მერაბ კოკოჩაშვილის არაჩვეულებრივი მეუღლე — მანანა მეძმარიაშვილი უშანგი ჩხეიძის დისშვილია. უშანგი ჩხეიძეზე ზემოთაცაა საუბარი და მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ უშანგი ჩხეიძე კოკოჩაშვილების მეზობლად ცხოვრობდა. მეუღლის გაცნობის ისტორიას მერაბ კოკოჩაშვილი ასე იხსენებს: „მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, ოთარ აბესაძესთან ერთად, პირველი ფილმის გადაღება დავიწყეთ. ვეძებ-

დით გოგოს, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის იერი ექნებოდა. ქუჩაში შემთხვევით ვნახე მანანა და მივხვდი, რომ ეს სწორებ ის პატარა გოგო იყო. ამის შემდეგ, უშანგი ჩხეიძეზე დოკუმენტური ფილმის გადაღება მინდოდა და მათთან სახლში ხშირად დავდიოდი, ყოფილ პლეხანოვზე. უშანგი ცოცხალი აღარ იყო, მის ოთახში ვიკეტებოდი და მასალებს ვეძებდი. იმ პერიოდში მანანა სკოლის მოსწავლე იყო და როგორც აღმოჩნდა, მასაც ძალიან უყვარდა იმ ოთახში ყოფნა, კითხვა. ადრე დაიწყო ლექსების ნერა. თურმე ამბობდა ხოლმე — ვინ არის ეს მერაბი, ჩემს ოთახში რომ ზისო?! მაგრამ მერე ვიპოვეთ ერთმანეთი და აგერ უკვე ნახევარი საუკენეა, ერთად ვართ.

მანანა რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, როგორ წავიდოდა ჩემი ცხოვრება. ის სულ გვერდში მედგა. ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ყველაფერი მიატოვა, რომ ბავშვებისთვის მიეხედა, მე კი სადღაც ტყე-ღრეში მეხეტიალა და გადამეღო. თუმცა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, გადაღებებზე ერთად ვყოფილიყავით. ის ჩემი სცენარებისა და ჩანაფიქრების პირველი და ყველაზე დიდი შემფასებელი და კრიტიკოსია. ორი, მაქსიმუმ სამი ფილმია, რომელიც მოსწონს. სცენარის დონეზე ხომ პირდაპირ მანადგურებს. მეგობრობა, გვერდში დგომა ყველაფერი იყო, მაგრამ სიყვარულის გარეშე ხომ არაფერი ხდება. ყოფილა შემთხვევა, ისე გვიჩხუბია, რომ მანანას დაუკრავს ფეხი და სახლიდან წასულა. წასულა, მაგრამ მიმხვდარა, რომ ეს სწორი არ არის და ერთმანეთის გარეშე ცხოვრებას აზრი არ აქვს“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი მეუღლეზე.

მანანა მექმარიაშვილი, რომელიც სახლში გულუხვად გაგვიმასპინძლდა, იცლის იმისთვის, რომ მეუღლეზე ცოტა რამ გვითხრას: „რეჟისორის მეუღლეობა საინტერესოა — ის ხომ ხელოვნებას ემსახურება და ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყოფით ცხოვრებაში მერაბი არ არის „ადვილი კაცი“. რომელ კლასში იყვნენ ბავშვები, არც იცოდა. არ ვამბობ, რომ უყურადღებო მამა იყო, მაგრამ მისთვის ასეთი რაღაცები წვრილმანი იყო. ჯიუტი და პრინციპულია ძალიან, რაც მისი საქმისთვისაც, ზოგადად, კარგია. ასეთი რომ არ



ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდაღში



გამოფენა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში

ყოფილიყო, არაფერი გამოუვიდოდა, ალბათ. მერაბს სიყვარულის ახსნა არ შეუძლია. მოქმედებასა და ცხოვრებაში ვლინდება ყველა მისი გრძნობა, სიტყვიერად არაფერს ამბობს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ძალიან ვუყვარდით, მიუხედავად იმისა, რომ სულ წასული იყო და თავისი საქმით იყო დაკავებული“, — ამბობს მანანა მექმარიაშვილი.

მერაბ კოკოჩაშვილს და მანანა მექმარიაშვილს ორი ქალიშვილი ჰყავთ — მაია და ხათუნა კოკოჩაშვილები.

„დედა ცდილობდა მუსიკისკენ წაეყვანა ჩვენი ორივე ქალიშვილი — მაიაც და ხათუნაც. ხათუნა პრაქტიკოსი მუსიკოსია. ის ბელგიაში გათხოვდა და იქ ცხოვრობს. მაიამ კი სამუზეუმო საქმეს მიჰყო ხელი. ჩვენთვის მთავარია, რაც უნდათ, ის აკეთონ და ყველაფერში შევუწყოთ ხელი“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

მაია კოკოჩაშვილი დიდი წინაპრების დიდი ქომაგია — იგი წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობს და აქტიურად ეწევა ჭავჭავაძეების ისტორიის პოპულარიზაციას. მისი ორგანიზატორობით წინანდლის მუზეუმის ეზოში მოწყობილ არაერთ მასშტაბურ ღონისძიებასა თუ კონცერტებს მრავალი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, უცხოელი სტუმარი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე აღუფრთოვანებია.

„სერიოზული მოვლა-პატრონობა სჭირდება სუზეუმს. მე დღემდე იქ ვმუშაობ და ამით უბედინერესი ვარ. გამოდის, რომ მე ვმუშაობ ჩემი წინაპრების სახლის მოსავლელად. ყველაფერში, რაც იქ კეთდება, რესტავრაცია იქნება ეს თუ ახალი წივთის შეძენა, გამოფენის მოწყობა და ა.შ., ჩართული ვარ და ამას დიდი სიყვარულით თუ ხალისით ვაკეთებ“, — ამბობს მაია კოკოჩაშვილი. მას ადრე მუსიკის სწავლა იმაში გამოადგა, რომ დიდი ქართველი პიანისტის ელისო ვირსალაძის ფესტივალს ორგანიზატორობის, რომელიც თელავში იმართება ყოველწლიურად.

მერაბ კოკოჩაშვილს ორი შვილიშვილი ჰყავს — ელენე და კატო. კატო ბელგიაში ცხოვრობს დედ-მამასთან და იქ, უმაღლეს სასწავლებელში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავ-



ლობს. ელენემ კი საქართველოს საზოგადოებრივ საქმე-თა ინსტიტუტი (GIPA) დაამთავრა. ელენე გოგლიძეც დიდი გულშემატკივარია ცნობილი წინაპრების. მას მერაბ კოკოჩაშვილის ქალიშვილის, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმის დირექტორის მაია კოკოჩაშვილის ჩანაფიქრის თანახმად, ნინო ჭავჭავაძის კაბა ჩაცეს, რითაც ელენე ფოტო-სესიებსა თუ სარეკლამო გადაღებებში პოზიორობს და კადრში თუ ფოტოზე ნინო ჭავჭავაძის სილუეტს „ტოვებს“... ნინო ჭავჭავაძის შავი კაბა, რომელიც ელენე გოგლიძეს რამდენჯერმე ჩაცეს, ერთადერთი შემონახული ფოტოსურათით აღადგინა დიზაინერმა სიმონ მაჩაბელმა. კაბის ყველაზე დიდი სირთულე იყო საყელო — უზარმაზარი ნაქარგი უთხელეს შიფონზე. დღეს წინანდლის ყველა სტუმარს შეუძლია ნახოს „წინანდლის შავი ვარდი“ სწორედ რომ უმშვენიერესი ელენე გოგლიძის დამსახურებით.

„ოჯახში ჩემს გარდა სამნი არიან — დედა, ბებია და ბაბუა. ყველასთან ინდივიდუალური ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ბაბუას გამოვარჩევ. ჩვენ სხვანაირი ურთიერთობა გვაქვს. არასდროს მახსოვს, თუნდაც შენიშვნის დროს, უხეშად ეთქვას ჩემთვის რაიმე ან ხმისთვის აეწიოს. სხვანაირი მშობელია ჩემთვის. დიდ პატივს ვცემ და დიდი რიდიც მაქვს, მაგრამ უფრო მეგობარია, მიუხედავად მისი ასაკისა. არის ძალიან პროგრესული და ყოველთვის შემ-



ელენე გოგლიძე ნინო ჭავჭავაძის კაბაში

იძლია, ნებისმიერ თემაზე დავუელაპარაკო. ჩემი მეგობრები დიდ პატივს სცემენ და აფასებენ მის შემოქმედებას, იმიტომ კი არა, რომ ჩემი ბაბუა... ახალგაზრდების დაფასება ძალიან ბევრს ნიშნავს მისთვის. ალბათ, დროსთან ერთად კიდევ და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისი შემოქმედება და მისი ფილმები“, — ამბობს ელენე.

იუმორიც და დრამაც ამ ოჯახის შარმია. ამას ამტკიცებს მერაბ კოკოჩაშვილის ოჯახში სტუმრობა და მასთან ბოლო გასაუბრებაც: „სიბერეს, ჯერჯერობით, ვერ ვგრძნობ, ცოტას თუ არ წავიკოჭლებ. არ მეშინია სიბერის... მახსოვს, დედა როგორ კვდებოდა. 1986 წელს 86 წლისა იყო. ამ პროცესში ორ-სამ დღეს გასტანა. სულ ერთად გვხედავდა მე, ჩემს შვილებს და იმათაც, ვინც ცოცხლები აღარ არიან. რომ ვეუბნებოდი — დედა, აქ მე და მაია ვართ-მეთქი, რატომ-ლაც ან რუსულად, ან ფრანგულად მიპასუხებდა — აი, მამა მოვიდა, ბიძაშენი მოვიდაო, რომელიც 24 წლის ასაკის მერე აღარ ენახა. მისთვის სიკვდილის წინა პერიოდი ყველას ერთად ყოფნა იყო. არსებობს რაღაც, რაც ჩვენს შემეცნებაზე მეტია. ამაზე სულ ყვიერობ. თუ ჩვენი ტვინის 12 პროცენტი აფიქსირებს იმას, რაც ხილულია, ეტყობა იმ 88 პროცენტში რაღაც ისეთია, რაც იმ „სხვასაც“ აფიქსირებს. მეცნიერებიც აღიარებენ, რომ სულის გაქრობა და დალუბვა შეუძლებელია. არ შეიძლება არსებული იყარგებოდეს. ამიტომ მე მშვიდად ვარ. ეს სიმშვიდე დედამ მოიტანა, რომელმაც სიკვდილის წინ ყველა ასე ერთად გვნახა“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი და ამით ასრულებს თავისი ოჯახის წევრების ჩვენთვის გაცნობას, რომლებიც მეუღლის, მამისა თუ ბაბუის გვერდით მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბნენ, რათა მერაბ კოკოჩაშვილის ლამაზ ოჯახზე ცნობების აკინძვაში დაგვხმარებოდნენ.

საგულდაგულოდ შენახული რელიკვია მერაბ კოკოჩაშვილის ოჯახში

კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი თბილისში, კინე-მატოგრაფისტებისთვის აშენებული სახლის ერთერთ ბინა-

ში 1976 წლიდან ცხოვრობს. ბინაში ვერ ნახავთ განსაკუთრებით ძვირადღირებულ ნივთებს. არც მერაბ კოკოჩაშვილის ჯილდოები ჩანს ოთახში გამოფენილი. ირგვლივ მხოლოდ იმ ნივთებს პოულობ, რომლებიც არა მხოლოდ მისი გვარისა და წინაპრების ისტორიას ასახავს, არამედ კოლეგებისა და მეგობრების დამოკიდებულებას გამოხატავს კინორეჟისორის მიმართ.

მას ბინაში საკუთარი კუთხე ან კაბინეტი არ აქვს.

„მაგიდა არ მაქვს. სცენარებს როიალთან ვწერ. სწორედ ეს ინსტრუმენტი მიწევს მაგიდის ფუნქციას, ჩემთვის იქ ჯდომა ძალიან მოსახერხებელია“, — ამბობს მერაბ კოკოჩაშვილი.

არასდროს ყოფილა კოლექციონერი. უცხო ქვეყანაში მხოლოდ სიძველით გამორჩეულ ნივთებს აქცევს ყურადღებას. უპირველესად, მისი ბინის მისალებში თვალში მოგხვდებათ კედლებზე გამოფენილი ფერწერული ნიმუშები თუ ფოტოები. აქ ნახავთ როგორც უცხოელი, ისე ქართველი მხატვრების შემოქმედებას: ფრანც შტუკის, პაბლო პიკასოს, ელენე ახვლედიანის, თამაზ ხუციშვილის, გია იაშვილის, ირაკლი ოჩიაურის, თენგიზ და გია მირზაშვილების...

„ერთხანს, მარჯანიშვილის თეატრი ქუთაისში იყო. მაშინ დედა და დეიდაჩემიც თეატრთან ერთად იქ იყვნენ და ელენე ახვლედიანის ეს ნამუშევარი სწორედ იქაა გაკეთებული. გვაქვს პიკასოს ორი ნამუშევარიც. იგი რამეს რომ დახატავდა, იმავე თემაზე ასლებს გასაყიდად ქმნიდა და აქ სწორედ ასეთი ორი ასლია გამოფენილი. ბიძაჩემი მერაბ ჯორჯაძე ემიგრაციაში გახლდათ საფრანგეთსა და ბელგიაში. ის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან ერთად წავიდა საქართველოდან.



ოლგა შჩერბატოვა

ცოლად შეირთო რუსი ხელოვნებათმცოდნე ოლგა შჩერბატოვა, რომელიც უშუალოდ იცნობდა და ახლობლობდა პიკასოსა და ილია ზდანევიჩთან. სწორედ ბიცოლაჩემისგან გვაქეს პიკასოს ეს ნამუშევრები და სულხან-საბას კონსულტაციით შექმნილი კავკასიის რუკა, რომელიც ჰოლანდიაში დამზადდა. აქვეა გერმანელი მხატვრის — ბტუკის ნამუშევარიც, ჩემს წინაპრებს ეკუთვნოდათ, მიყვარს და გამოვფინე“, — ამბობს რეჟისორი.

შუშებიან სერვანტზე რაც დევს, ერთი ჭავჭავაძების სამელნეა, რომელიც მერაბ კოკოჩაშვილს ბებიისგან შემორჩა, ხოლო მეორე არის საჩუქარი — მონღოლი მეომრების ფოლადის საგანი, რომელშიც აპედს ინახავდნენ და კვესავდნენ. როიალზე წვრილი ვარდისფერი ყვავილებით გაფორმებული თეფში დევს, რომელიც იმ სერვიზის ნაწილია — 1896 წელს მერაბ კოკოჩაშვილის ბებიას ქორწილში რომ აჩუქა მაშინდელმა რუსმა მთავარმართებელმა. დანარჩენი ჭურჭელი წინანდლის მუზეუმში ინახება, ისევე, როგორც ოჯახის ბევრი სხვა ნივთი.

მერაბ კოკოჩაშვილი ასევე სათუთად ეპყრობა უძველეს ეგვიპტურ ფიგურას, რომელიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე პერიოდისაა და რომელიც მას ბიცოლამ აჩუქა.

ლადო გუდიაშვილის მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ მერაბ კოკოჩაშვილს უშანგი ჩხეიძემ პირველ დაბადების დღეზე აჩუქა. „ვეფხისტყაოსანის“ გამოცემა მის ოჯახში 1935 წლიდან ინახება. მერაბ კოკოჩაშვილისთვის ძალიან ძვირფასია ეს საჩუქარიც და წარწერაც, რომელიც წიგნის პირველ გვერდზე უშანგი ჩხეიძეს დაუტანია.

ბევრ საინტერესო ნივთს შორისაა ბიზანტიური ხატის ფრაგმენტებიც. „სადაფის ხატი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. თავის დროზე, ეკლესიას რომ ებრძოდნენ, ეს ხატი ჩემს წინაპრებს სარდაფში გადაუმალავთ. წლების განმავლობაში ფიცარი დალბა და ტრიპტიხი დაიშალა, ნაწილი დაიკარგა. მე და ჩემმა მეუღლემ ხატი ჩვენი ხელით ნარჩენებისგან ავაწყვეთ და შეძლებისდაგვარად გავამთლიანეთ“, — ამბობს რეჟისორი.

„ძალიან ბევრი სამახსოვრო ნივთი გაიბნა ჭავჭავაძეების ოჯახებში. დავით ჭავჭავაძეს ძალიან ბევრი შვილი ჰყავდა და, აქედან გამომდინარე, ბევრ ოჯახში იყო გადანაწილებული ეს რელიკვიები. მოგეხსენებათ, შამილის დროს დაიწვა ყველაფერი და რაც შემორჩა, მნიშვნელოვან რელიკვიად გადაიქცა. ცოტაა ისეთი ნივთი, რომელსაც ისინი ხელით ეხებოდნენ. ასეთი გახლავთ სამელნე თავისი კალმისტრით, რომელიც ჭავჭავაძეების ბებიების ოჯახში შემორჩა და, ასევე, მონღოლური კვესი. მე ბევრი ნივთი წავიღე სახლიდან და ჭავჭავაძეების მუზეუმში განვათავსე, რადგან ვთვლი — ეს ნივთები ბევრად უფრო საინტერესოდ აღიქმება მუზეუმში, ვიდრე სახლში“, — გვიხსნის მერაბ კოკოჩაშვილის ქალიშვილი მაია კოკოჩაშვილი.

ბლიცი — პიროვნული შტრიხები

უურნალისტი ხათუნა კორთხონჯია მოკლე კითხვარის გზით ცდილობს გახსნას რეჟისორის პიროვნული ხასიათი. მერაბ კოკოჩაშვილი ყველა კითხვაზე საპასუხოდ მზადაა და ვფიქრობთ, მისი პასუხები რეჟისორის ბუნებას და ღირებულებებს დამატებით გვაცნობს.

•••

— მეტსახელი თუ გქონდათ?

— კი, მიუხედავად იმისა, რომ გვარად კოკოჩაშვილი ვარ, კლასში კოკოჩას ნაცვლად „ტრაკუჩას“ მეძახდნენ. თვითონ თვლით ენ, რომ ამის შესატყვისი მე არაფერი მქონდა, მაგრამ ასე უფრო ადვილი იყო, ალბათ.

— რისი გეშინიათ?

— ბედისწერის. ბედისწერა არის ის, რაც, შეიძლება, ნებისმიერ სიტუაციაში დაგემართოს, რასაც არ ელი. ბედისწერის შეცვლა შეუძლებელია, რადგან ის ჩემი დაგეგმილი არ არის. ბედისწერა — ეს ზეძალაა.

— შეგიძლიათ თუ არა ყველაფერის პატიება?

— საერთოდ, ქრისტიანული მოძღვრება გვეუბნება, რომ



ყველაფერი უნდა აპატიო და, სამწუხაროდ, ჩვენი კულტურა ქრისტიანულ მოძღვრებაზეა დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, ჩვენში ეს ზის. არა მგონია, არბატიება იყოს ისეთი რამ, რასაც, შეიძლება, კვდომა ან მოკვლა შეესაბამებოდეს. მე ვერ მოვკლავ! — ეს მე ვიცი და, აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ვაპატიებ, თუნდაც, ეს ძალიან მძიმე რამ იყოს. საერთოდ, ასე არის ქრისტიანულ მოძღვრებაში ნათქვამი, რომ „გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“. ესე იგი, თუ შენ თავს განირავ და კლავ, მაშინ ჩათვალე, რომ შენ შეგიძლია სხვაც მოკლა.

— რისი გწამთ?

— ერთი ის შემიძლია, გითხრათ, რომ მე ბევრი ისეთი რამის მჯერა, რაც არ მინახავს, რასაც ხელით არ შევხებივარ, მაგრამ ვიცი, რომ, ალბათ, არსებობს. ჩემი რწმენა არის იმასთან დაკავშირებული, რომ ადამიანი მუდმივად, უწყვეტად ცდილობს რაღაც გაიგოს და ყველაფერს ვერასდროს გაიგებს.

— სიკვდილის შემდეგ არსებობის გჯერათ?

— მჯერა, რადგან მე ვერ მივიღებ იმას, რომ მატერიის

კვდომასთან ერთად სულიერებაც და ყველაფერი კვდება. თუნდაც ის მაგალითი, რომ გარდაცვალების შემდეგ ადამიანზე მოგონება რჩება, ვინაიდან მან რაღაც დატოვა, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ შეუძლებელია — მატერიალურთან ერთად ყველაფერი გაქრეს.

— **შეგშურებიათ რამის?**

— ეს გრძნობა მე საერთოდ არ მაქვს

— **რა გწყინთ?**

— ტყუილსა და უსამართლობაზე ვბრაზდები, თუმცა, იშვიათად ვბრაზობ.

— **რას ნანობთ?**

— ბევრ რამეს ვნანობ. მე ვაჟი არ მყავს და ძალიან მინდოდა. თუმცა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ჩემი გოგონები ისევე მიყვარს, როგორც შეიძლება, ვაჟი მყვარებოდა. ვნანობ იმას, რომ ყველა ფილმი ისე ვერ გავაკეთე, როგორც მე მინდოდა; ვნანობ იმას, რომ ყველას ისე ვერ მოვუწყევ ცხოვრება, როგორც მე მინდოდა; ვნანობ იმას, რომ დღეს ჩვენ ისეთ საქართველოში გვიწევს ცხოვრება, რომელიც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სულ სხვანაირი წარმომედგინა. ხომ ხედავთ, თურმე, ცივილიზაციისკენ სვლამ შეიძლება სრულიად მოულოდნელი და ძალიან მძიმე შედეგები მოგვიტანოს.

— **შეგიძლიათ, ადამიანს თვალდახუჭული ენდოთ?**

— ჩემი საქმიანობა გრძნობასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, თუ გრძნობა ამას მკარნახობს, შემიძლია, ადამიანს თვალდახუჭული ვენდო.

— **რომ არა სიკეთე, ბოროტებას რით დავამარცხებდით?**

— ბოროტება ძალითაც მარცხდება, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ შენ ისევ ბოროტება გამოიყენე. ამიტომ, სიკეთით უნდა ამარცხებდე ბოროტებას.

— **რისკიანი ხართ?**

— როდესაც ეს შეეხება პრინციპულ საკითხს, მაშინ რისკიანი ვარ. როცა გინდა, გააკეთო ის, რისიც გჯერა, მაშინ რისკიანი ხდები.

— **თქვენი ყველაზე მძაფრი მოგონება...**

— როდესაც ბავშვობაში ძალლი ვერ დავიცავი და მისი

სიცოცხლე გაიწირა. ეს არასდროს მავიწყდება. ალბათ, მა-შინ შევშინდი და მას შემდეგ სულ ვცდილობ, არაფერს შე-ვუშინდე.



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქცია, 2020